პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 აპრილი **ხუთშაბათი** 2011
№080 (13377) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნახევარფინალისტები თითქმის ცნობილია

## ველით ევროკლასიკოს




UEFA CHAMPIONS LEAGUE

➪9



# ტატიშვილმა კირილენკო დაამარცხა და ასეული გაინაღდა

გუშინ ანა ტატიშვილმა (115) ამერიკის ქალაქ ჩარლსტონში დღის სენსაცია მოახდინა - 721-ათასიანი ტურნირის მე-2 წრეში დაამარცხა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, მე-9 ნომრად განთესილი მარია კირილენკო. ჩვენებურს აქამდე არასოდეს მოუგია ასეთი მაღალი რეიტინგის ჩოგბურთელისთვის, რუსი WTA-ს კლასიფიკაციაში ხომ მსოფლიოს 28-ე ჩოგანია. თამაში ნომერ მეორე კორტზე გაიმართა და თითქმის 3 საათი გაგრძელდა (2 წუთი დააკლდა). პირველ სეტში მარცხის შემდეგ ანამ მომდევნო ორი მოიგო - 5:7, 7:5, 6:3. 21 წლის ქართველმა 18 ბრეიქპოინტიდან 8 გამოიყენა, მასზე 3 წლით უფროს კირილენკოს ამის შანსი უფრო იშვიათად მიეცა, თუმცა 7-დან 6 ცდა გამოიყენა. კირილენკოს ანგარიშზეა 3 ეისი (ანას ეისი არ ჩაუგდია), ჩვენებურმა ორით მეტი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ სტატისტიკას რა აზრი აქვს, როცა საბოლოოდ გამარჯვებული სწორედ ანა დარჩა.

მესამე წრეში ტატიშვილი მე-6 ნომრად განთესილ იანინა ვიკმაიერს (20) შეხვდება. ქართველმა ჩოგბურთელმა უკვე გაინაღდა 72 სარეიტინგო ქულა. ვინაიდან მას სანუკვარ ასეულამდე დაახლოებით 60 ქულა აკლდა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მიზანი მიღწეულია - ტატიშვილი მსოფლიოს საუკეთესო ასეულშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# კარპინმა ანანიძე პორტუგალიაში წაიყვანა

➪9

ევროპის ლიგის 1/4 ფინალის წინ



➪2-3



გურამ დოლეჯგაშვილის ფოტო

# ზემოთ დიდი ამბებია

ლიდერები ცხრილში გასწორდნენ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გატ | გაშ | |
| 1 | ზესტაფონი | 28 | 17 | 6 | 5 | 52 | 15 | 57 |
| 2 | ოლიმპი | 28 | 17 | 6 | 5 | 41 | 20 | 57 |
| 3 | დინამო | 26 | 14 | 8 | 4 | 38 | 13 | 50 |

გუშინ „შატილზე“: ვიტ ჯორჯია-ოლიმპი 0:1



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# სუსხიანი გამარჯვება

06.04. თბილისი. შატილი
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ოლიმპი | 1 |

0:1 გენაძე (63, მაისურაძის პასით)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | ოლიმპი 4-1-4-1 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | ბედიაშვილი |
| ხურცილავა | მურველაშვილი |
| ადამაძე | ქემოკლიძე |
| კასრაძე | რეხვიაშვილი |
| ღანიაშვილი | დობროვოლსკი |
| ვასაძე | რაზმაძე |
| გურ. გურეშიძე | ქავთარაძე |
| ბექვაია | ი. მაისურაძე |
| ჯანელიძე | დ. ბოლქვაძე |
| კორიფაძე | გენაძე |
| ჩიმაკაძე | მოდებაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. კოჭლაშვილი | თ. მაისურაძე |

**ვიტ ჯორჯია**

72. ბექვაია - **ზაქრაძე**

*სათადარიგოები: ძაძამია, როსტიაშვილი, ჭანკვეტაძე, მაისაშვილი, გოგიაშვილი, გიორგი გურეშიძე*

**ოლიმპი**

58. ქავთარაძე - **გ. ჭელიძე**
77. მოდებაძე - **პავლიაშვილი**
85. დ. ბოლქვაძე - **ტყემალაძე**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ბახტაძე, ჯ. უგულავა, გორდეზიანი*

გაფრთხილება: ჩიმაკაძე (27), მოდებაძე (35), ქემოკლიძე (45), ვასაძე (59), დობროვოლსკი (82)

არბიტრი: გიორგი ვადაჭკორია (თბილისი)

ძლიერი ქარი, კოკისპირული წვიმა და საერთოდაც, აპრილისათვის უჩვეულოდ სუსხიანზე სუსხიანი ამინდი, — აი, ასეთ, მართლაც არასაფეხბურთო პირობებში ჩატარდა XXVIII ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. თუმცა, უამინდობის გარდა, „შატილის" სტადიონზე შეკრებილ ჟურნალისტთა სოლიდურ წარმომადგენლობას სხვა პრობლემაც ჰქონდა, მაგრამ მოდი, ამაზე ხვალ ვისაუბროთ, როცა ტურის მიმოხილვას შემოგთავაზებთ, მანამდე კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ უმაღლესი ლიგის გუნდები ასეთ პირობებში არ უნდა თამაშობდნენ...

... მასპინძლები, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდნენ, სტუმრებს კი დისკვალიფიცირებული **ალექსანდრე კვახაძე** აკლდათ და კაპიტნის სამკლავურით „ოლიმპი" გუშინ მოედანზე **ირაკლი მოდებაძემ** გაიყვანა. ზედიზედ მეორე მატჩია, ქვეყნის ჩემპიონი ერთფორვარდიან ტაქტიკას ირჩევს და იმის მიუხედავად, რომ მოდებაძეს გოლი არ გაუტანია, გუშინდელ შეხვედრაში ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო და მეტოქის მცველებსაც ხშირად ავიწროებდა; კიდევ ერთი სიახლე სტუმართა შემადგენლობაში კლუბის ახალწვეულის **ირაკლი მაისურაძის** ცენტრალურ ნახევარმცველად გამწესება იყო, არადა, წინა მატჩებში ამ სწრაფ ფეხბურთელს, უფრო ხშირად, ფლანგებზე ვხედავდით.

პირველი ტაიმი სანახაობრივი თვალსაზრისით დიდი ვერაფერი გამოდგა: ცალკე რთული მეტეოროლოგიური პირობები, ცალკე — დამძიმებული გაზონი და უამრავი წუნი გადაცემებშიც (თანაც, ამ უკანასკნელ კომპონენტში ორივე გუნდის ფეხბურთელები მოიკოჭლებდნენ). სახიფათო მომენტებიც, ფაქტობრივად, თითზე ჩამოსათვლელი შეიქმნა: შეხვედრის დასაწყისში ირაკლი მაისურაძემ საშუალო მანძილიდან დაარტყა, მაგრამ **არდალიონ მიქაბერიძემ** სწორი პოზიცია შეარჩია და ბურთს დაეუფლა. იქვე, საპასუხო შეტევაში **ბესიკ ჩიმაკაძე** ურტყამდა მახვილი კუთხიდან, მაგრამ არაზუსტად. „ვიტ ჯორჯიას" ცენტრფორვარდი პირველ ტაიმში კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში, როცა **გიორგი კორიფაძის** გამჭოლი გადაცემის შემდეგ, „დასწრებაზე" აპირებდა თამაშს, მაგრამ „ოლიმპის" მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილს** შეეჯახა და უკანასკნელიც კინაღამ შესაცვლელი გახდა. პირველი ტაიმის მიწურულს **გიორგი ქავთარაძე** ურტყამდა მახვილი კუთხიდან, მაგრამ ბურთი ამ შემთხვევაშიც მიზანს ასცდა.

შესვენებაზე წვიმამაც გადაიღო, ქარიც ჩადგა და, რაც მთავარია, მეორე ტაიმის დასაწყისი აშკარად უკეთესი სანახავი გამოდგა. ოღონდ, მატჩის პირველ ნახევარში თუ ფაქტობრივად თანაბარი თამაში მიმდინარეობდა და ახალგაზრდა „ვეტერინარები" არაფერში ჩამორჩებოდნენ ფავორიტ მოწინაალმდეგეს, აი, შესვენების შემდეგ (განსაკუთრებით, საწყის ოც წუთში) „ოლიმპის" უპირატესობა თვალშისაცემი გახდა. სტუმრები სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიც შექმნეს; პირველ ეპიზოდში **დავით ბოლქვაძის** საჯარიმოს შემდეგ **გიორგი რეხვიაშვილი** რთული მდგომარეობიდან თავით ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ მასპინძლები არდალიონ მიქაბერიძემ გადაარჩინა; მასპინძელთა მეკარემ ამის შემდეგ გიორგი ქავთარაძის დარტყმაც მოიგერია, მაგრამ **რევაზ გენაძის** საფირმო „ცაციას" ველარაფერი მოუხერხა! სხვათა შორის, „ოლიმპის" მარცხენა ნახევარმცველმა ამ სეზონში მეხუთე გოლი გაიტანა და თითქმის ყველა მათგანი გადამწყვეტი იყო...

აი, გოლის შემდეგ კი მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მატჩის ბოლო წუთზე განვითარებულ მოვლენებს; ჯერ იყო და, შეცვლაზე შემოსულმა **ვალიკო ტყემალაძემ** ხელსაყრელი სიტუაციიდან ბურთი კარს ზემოთ დაარტყა; საპასუხო კონტრშეტევისას კი **გიორგი კორიფაძემ** მარჯვენა ფლანგიდან ჩინებული გამჭოლი გადაცემა გაუკეთა თანაგუნდელებს, მაგრამ **ბექა ზაქრაძე** ბურთს ვერ მისწვდა. სხვათა შორის, მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიას" მეტოქის კარში... არც დაურტყამს. და აქედან გამომდინარე, მატჩის საბოლოო შედეგი, ალბათ, ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. აი, ასე დასრულდა „ვეტერინართა" ლამის ორთვიანი წაუგებელი სერია. საინტერესო ფაქტია: მეორე ეტაპზე „ვიტ ჯორჯია" მხოლოდ ორჯერ დამარცხდა და ორივეჯერ... „ოლიმპთან". ქვეყნის ჩემპიონი კი ამ გამარჯვებით ქულებით „ზესტაფონს" გაუთანაბრდა და მხოლოდ იმის გამოა მეორე ადგილზე, იმერულ კლუბთან ურთიერთშეხვედრებში უარესი მაჩვენებელი რომ აქვს.

**გია ტუხაშვილი**

# ქასრაშვილმა სიონი კომიდან გამოიყვანა

06.04. ბოლნისი. თ. სტეფანია
600 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| ბაია | 0 |

1:0 ჩირიკაშვილი (72. ჯიქიას პასით).

| სიონი 5-4-1 | ბაია 4-2-3-1 |
|---|---|
| ზუხბაია | სომხიშვილი |
| კობაური | აფაქიძე |
| სვანიძე | აქუბარდია |
| დიდავა | რ. ონიანი |
| გ. ოქროპირიძე | გამრეკლიძე |
| ადამაშვილი | სიხარულია |
| რეხვიაშვილი | ვართაგავა |
| ნოზაძე | რიგვავა |
| გოგობერიშვილი | შ. ლომია |
| ქუცურუა | წურწუმია |
| რ. ჯიქია | ქობალია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ხ. ქასრაშვილი | ე. ქომეთიანი |

**სიონი**

46. ქუცურუა – **შალამბერიძე**
55. რეხვიაშვილი - **ჩირიკაშვილი**
67. ადამაშვილი – **თარგამაძე**

*სათადარიგოები: მიქავა, მელქაძე, ნ. კვასხვაძე.*

**ბაია**

75. შ. ლომია – **ეხვაია**
70. წურწუმია - **გ. სამუშია**

*სათადარიგოები: მაქაცარია, სვირავა, ნ. შონია, ჩანგელია, გ. ქირია.*

გაფრთხილება: გამრეკლიძე (41), ჩირიკაშვილი (73), რ. ონიანი (84), ზუხბაია (88).

არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი)

ბოლნისის „სიონში" **ხვიჩა ქასრაშვილის** დაბრუნება წარმატებული გამოდგა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი გუნდი მესამე ტურია, არ დამარცხებულა და თანაც ბურთი არ გაუშვია. გუშინ „სიონმა" ზუგდიდის „ბაიასთან" პრინციპული შეხვედრა მოიგო.

ქასრაშვილი საკმაოდ ორიგინალურ სქემას იყენებს, დაცვაში ხუთ ფეხბურთელს აყენებს, სამს - ცენტრში, ორს - ფლანგზე, რომელთაც შეტევის დახმარება ევალებათ.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და საინტერესო სანახავი იყო. ბურთი მოედნის ცენტრში არ ჩერდებოდა. თუმცა პირველი ტაიმი საგოლე ეპიზოდის სიუხვით არ გამოირჩეოდა. ყველაზე რეალური მომენტი **ალექსანდრე გოგობერიშვილის** შესრულებულ კუთხურს მოჰყვა, როდესაც „სიონის" მცველი **დავით სვანიძე** კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

ქასრაშვილმა მეორე ტაიმში შეცვლები გამოიცნო: მოედანზე შესულმა **კობა შალამბერიძემ** და **ირაკლი ჩირიკაშვილმა** შეტევები გამოაცოცხლეს. შალამბერიძე უკვე მეორე მატჩია, ბოლნისელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მან „ბაიას" დაცვას თავსატეხი მარჯვენა ფლანგიდან გაუჩინა, ჩირიკაშვილმა - მარცხნიდან, გობერიშვილი კი მოედნის ცენტრში მოქმედებდა დამაჯერებლად.

შალამბერიძის გარღვევებს რამდენიმე საგოლე მომენტი მოჰყვა: პირველად „ბაიას" მცველი საჯარიმოს ხაზთან შეცდა, ჩაჭრა ბურთი და **რეზო ჯიქიას** მიუვიდა. ამ დროს ზუგდიდელთა დაცვა მოშიშვლებული იყო, მაგრამ თავდამსხმელმა ბურთი დაკარგა და შალამბერიძე დასარტყმელ პოზიციაზე ვერ გაიყვანა.

57-ე წუთზე „ბაიას" დაცვა კიდევ ერთხელ შეცდა და მეკარესთან პირისპირ ჩირიკაშვილი დარჩა, მაგრამ მცველებმა და სომხიშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს. სამ წუთში „ბაიას" საჯარიმოში შალამბერიძე წაიქცა, მაგრამ მთავარმა არბიტრმა პენალტის დანიშვნა საჭიროდ არ ჩათვალა.

თითქოს „სიონის" გოლი მწიფდებოდა, როდესაც შეტევით გართული მასპინძლები კინაღამ დაისაჯნენ: მცველს ბურთი თავზე გადაახტა და **დათა რიგვავა** მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

„სიონი" ამ მცირე შოკმაც ვერ შეაჩერა და 72-ე წუთზე შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა: საჯარიმოსთან ჯიქია-**კობაურის** სწრაფი კომბინაცია ჩირიკაშვილმა ზუსტი დარტყმით დაასრულა - 1:0.

მატჩის მიწურულს გოგობერიშვილმა ორჯერ სცადა ჯარიმით უპირატესობის გაზრდა, მაგრამ სომხიშვილმა ორივე შემთხვევაში საიმედოდ ითამაშა.

„სიონმა" კი ზედიზედ მესამე წარმატებული მატჩით ლიგაში დარჩენის შანსი გაიზარდა.

**მერაბ მამულაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 28 | 17 | 6 | 5 | 52 | 15 | 57 |
| 2 | ოლიმპი | 28 | 17 | 6 | 5 | 41 | 20 | 57 |
| 3 | დინამო | 26 | 14 | 8 | 4 | 38 | 13 | 50 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 27 | 12 | 3 | 12 | 29 | 31 | 39 |
| 5 | ბაია | 27 | 10 | 5 | 12 | 25 | 35 | 35 |
| 6 | ტორპედო | 28 | 8 | 11 | 9 | 17 | 17 | 35 |
| 7 | სიონი | 28 | 8 | 8 | 12 | 18 | 33 | 32 |
| 8 | კოლხეთი | 28 | 6 | 8 | 14 | 16 | 37 | 26 |
| 9 | სპარტაკი | 28 | 6 | 7 | 15 | 27 | 35 | 25 |
| 10 | სამტრედია | 28 | 6 | 6 | 16 | 23 | 50 | 24 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| ბელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 12 (1) |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 11 (1) |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 11 (1) |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |

**XXIX ტური**

**10 აპრილი. კვირა**

სამტრედია-სპარტაკი
კოლხეთი-სიონი
ზესტაფონი-დინამო
ბაია-ვიტ ჯორჯია
ტორპედო-ოლიმპი

COPA AMERICA ARGENTINA 2011

მოგზაურობა არგენტინაში
კოპა ამერიკის მატჩებზე
1-24 ივლისი 2011 წ

მსურველებს ვიწვევთ "კოპა ამერიკის" არგენტინისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდების ჯგუფური ეტაპის, 1/4ფინალების ნახევარფინალებისა და ფინალის მატჩებზე დასასწრებად.

ასევე, 17-19 წლის ფეხბურთელებს წარვადგენთ 3-6 თვიან სტაჟირებაზე არგენტინაში და მომზადების შემდეგ ტესტირებაზე არგენტინულ კლუბებში. საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ვთავაზობთ მაღალი კლასის არგენტინელ ფეხბურთელებსა და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს.

მსურველთა მიღება. შედგება 7 აპრილიდან 15-20 აპრილამდე 15-დან 17 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა, მოგზაურთა კლუბში მისამართზე: ლეონიძის ქ. №4 ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ ტელ: 92-10-60; 92-11-66; 92-00-28 მობილური: 8 79 41 53 35

„არგენტინის სახლისა" და „ხუარგ სპორტის წარმომადგენლობა საქართველოში.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

06.04. ქუთაისი. ტორპედო
4 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 0 |
| ზესტაფონი | 0 |

| ტორპედო | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| მიგინეიშვილი | რ. კვასხვაძე |
| ფოფხაძე | ალადაშვილი |
| ფარულავა | გ. ონიანი |
| თოდუა | ხიდეშელი |
| ჩიკვილაძე | ელიავა |
| სეთურიძე | ბენაშვილი |
| დილმელაშვილი | გორგიაშვილი |
| თარხნიშვილი | ძარია |
| დათუნაიშვილი | ბაბუნაშვილი |
| კვარაცხელია | გრიგალაშვილი |
| საბანაძე | წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი: გ. გიგატაძე | მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე |

**ტორპედო**

58. საბანაძე - **მეგრელაძე**
71. თარხნიშვილი - **დოლიძე**
81. დილმელაშვილი - **ქებაძე**
*სათადარიგოები: ქვილითაია, გოცირიძე, მაჭავარიანი, გუგუჩია*

**ზესტაფონი**

58. ბენაშვილი - **აფციაური**
61. წინამძღვრიშვილი - **ს. ლომია**
*სათადარიგოები: მეშველიანი, კობახიძე, გ. ფოფხაძე, გრუიცა, ჭანკოტაძე*

გაფრთხილება: **ხიდეშელი (47)**
არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**



ავტორის ფოტო

# უგოლო დერბი

ჩემპიონატის ლიდერმა მისთვის ძალზე პრინციპულ შეხვედრაში სამი საკვანძო ფიგურა - **მურთაზ დაუშვილი, ჯაბა დვალი** და **ნიკოლოზ გელაშვილი** მოისაკლისა. წინა მატჩისგან განსხვავებით, ქუთაისელთა რიგებში ერთადერთი ცვლილება იყო - ფეხმტკივანი **გია მეგრელაძის** ნაცვლად ძირითადში **ვახტანგ კვარაცხელია** გამოჩნდა

თამაშმა გაცემული ავანსები ბოლომდე ვერ გაამართლა. ამის მიზეზი მოედნის საფარი და ცუდი ამინდიც იყო. გუნდებმა სანახაობრივი ფეხბურთი ვერ აჩვენეს, მცირე იყო საგოლე ეპიზოდებიც, თუმცა ბრძოლა და დაძაბულობა შეხვედრის ბოლო წუთებამდე არ ჩამცხრალა. პირველი მეტ- ნაკლებად სახიფათო შეტევა მასპინძლებმა განახორციელეს. მე-10 წუთზე **გიორგი ონიანის** შეცდომის შემდეგ საბანაძემ კვარაცხელიას გადააწოდა, მაგრამ მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ქუთაისელთა მორიგი შეტევისას **თარხნიშვილმა** დაარტყა შორიდან და მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ზესტაფონელები ფლანგებიდან შეტევას ცდილობდნენ, მაგრამ მასპინძლებს საკუთარი საჯარიმოს მისადგომები კარგად ჰქონდათ ამოკეტილი. ფეროელებმა **მიგინეიშვილი** პირველად 23-ე წუთზე შეაწუხეს, როცა „ტორპედოს" კიპერმა **გრიგალაშვილის** რთული დარტყმა მოიგერია. ხუთიოდე წუთში მასპინძლებმა მეტად სახიფათო მომენტი შექმნეს - კვარაცხელიამ შემობრუნებით ჩააგდო ბურთი მეკარის ბაქანთან, სადაც საბანაძე იბრძოდა, თუმცა თავდამსხმელს ონიანმა დაასწრო და მდგომარეობა განმუხტა. პირველ ტაიმში დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა, გუნდები ერთფეროვნად, უგერგილოდ უტევდნენ და მეკარეებს საქმე აღარ ჰქონიათ.

მეორე ნახევარი შედარებით სანახაობრივი გამოდგა. ტემპმაც იმატა და რამდენიმე კარგი ეპიზოდიც ვიხილეთ. 55-ე წუთზე **რატი წინამძღვრიშვილმა** აშკარა საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან – **ბაბუნაშვილის** ჯარიმის შემდეგ **ფარულავა** შეცდა და ბურთი რატის მიუვიდა, თუმცა 5-6 მეტრიდან ძალიან სუსტად დაარტყა და მიგინეიშვილს არ გასჭირვებია ბურთის დაუფლება. იქვე **ბენაშვილმა** გაისროლა შორიდან და ხარიხას გადააცილა. **გია გიგატაძემ** მდგომარეობის გამოსწორება მეგრელაძის გამოყვანით სცადა და ქუთაისელთა ვეტერანი ფორვარდი მართლაც კარგად ჩაერთო თამაშში. 67-ე წუთზე მისი სახიფათო ჩაწოდების შემდეგ კვარაცხელია შემობრუნებით ურტყამდა, მაგრამ ბურთს მცველი გადაელობა. უპირატესობა ქუთათურების მხარეს გადავიდა. მათი შეტევები სულ უფრო მწვავე ხდებოდა. 69-ე წუთზე თარხნიშვილმა გაიბრწყინა, მარცხენა ფლანგზე რამდენიმე მცველს გასცდა და მეგრელაძეს თავზე დაასვა ბურთი, თუმცა ქუთაისელთა მთავარმეგოლემ მცირედით ააცილა -„ზესტაფონი" აშკარად გადარჩა. გატანის რეალური შანსი ჰქონდათ ზესტაფონელებსაც: 79-ე წუთზე **გორგიაშვილის** ჩაწოდების შემდეგ **საბა ლომია** ნახტომში თავით ურტყამდა, მაგრამ ბურთი ამჯერადაც მცირედით ასცდა მიზანს. ტორპედოელთაგან ბევრს აქტიურობდა **გიორგი სეთურიძე**, რომელმაც ორჯერ ეფექტური სოლორეიდიც განახორციელა, მაგრამ მის გარჯას შესაფერისი გაგრძელება არ მოჰყოლია. ბევრი მცდელობის მიუხედავად, გუნდებმა ერთმანეთის კარებს გასაღები ვერ მოუძებნეს და შეხვედრაც ლოგიკური ფრით დასრულდა. ეს შედეგი განსაკუთრებით მტკივნეული „ზესტაფონისთვის" იყო, რომელსაც მდევრები წამოეწივნენ.

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „სამ ქულას ვგეგმავდით, მაგრამ ამოცანის შესრულება არ გამოგვივიდა. მოედანი არ იყო სათანადო დონეზე და შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ. თანაც, „ტორპედო" კარგი გუნდია, დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია და თამაშიდან გამომდინარე ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა."

**გია გიგატაძე** (ტორპედო): „საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვხვდებოდით. სამი ქულა გვინდოდა, იყო ერთი-ორი ეპიზოდი, როცა გატანა შეგვეძლო, თუმცა მთლიანობაში ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო არა ვარ."

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# გოლები იყო, სანახაობა არა

06.04. გორი. ქართლი
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| დინამო | 3 |

0:1. კოშკაძე (15), 0:2. ტატანაშვილი (28. კოშკაძის პასით), 0:3. კოშკაძე (33. კახელიშვილის პასით)

| სპარტაკი | დინამო |
|---|---|
| 4-5-1 | 4-5-1 |
| გრიშიკაშვილი | ლორია |
| მანჩხავა | ლონლაძე |
| გოიომო | კაკუბავა |
| ტეტუნაშვილი | პოგოლა |
| სეფიაშვილი | ხმალაძე |
| კლოვისი | ჰაჯიბულიჩი |
| ჭაფოძე | არზიანი |
| ჯაკოგია | კოშკაძე |
| ბარაბაძე | რობერტინიო |
| დეკანოიძე | კახელიშვილი |
| მეტრეველი | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი ბ. კვარაცხელია | მწვრთნელი კ. კაჭარავა |

**სპარტაკი**

46. ბარაბაძე - **კილასონია**
46. კლოვისი - **უზრეხელიძე**
*სათადარიგოები: დაუშვილი, ალავიძე, ხაჭვანი, ჯიშკარიანი, ზერეკიძე*

**დინამო**

56. ლონლაძე - **თომაშვილი**
67. რობერტინიო - **თექთურმანიძე**
81. ჰაჯიბულიჩი - **კვეკვესკირი**
*სათადარიგოები: ზარქუა, ფირცხალავა, ჯუისი, კვარაცხელია*

გაფრთხილება: **მეტრეველი (27), ჭაფოძე (32), კახელიშვილი (36), მანჩხავა (70)**
არბიტრი: **ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)**

„დინამოს" სტუმრობა ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა და, ცხადია, ასეა გორშიც. მიუხედავად სუსხიანი ამინდისა, „ქართლზე" თავიდან 300-მდე ქომაგმა მოიყარა თავი, თუმცა პირველი ტაიმის მერე ტრიბუნაზე მათი ნახევარიც აღარ იჯდა. დიახ, შეუძლებელია რიგიანი ფეხბურთის მოყვარული ამისთანა სანახაობით კმაყოფილი დარჩენილიყო. არ მოგატყუოთ იმან, რომ ოთხი გოლი გავიდა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა ორივე კართან. მთელი მატჩი დაბალი სათამაშო ტემპით და უამრავი ტექნიკური წუნის თანხლებით მიმდინარეობდა. თუმცა „დინამოს" ამით არ უზარალია, სტუმრები ისე გასარჯნენ, მოსაგებად რომ კმაროდა, ხოლო ბოლო ხანს არცთუ ურიგოდ ათამაშებული „სპარტაკი" თავის თავს არ ჰგავდა. ცხინვალელების არც ერთ სათამაშო რგოლს ხეირიანად არ უასპარეზია. დიდი ხანია, მათი მცველების ასეთი უხეში შეცდომები არ გვინახავს, მოედნის ცენტრიც შეხვედრის დასაწყისიდანვე ლამის უბრძოლველად „ჩაიბარა" **კახა კაჭარავას** გუნდმა. მასპინძელთა ერთადერთმა თავდამსხმელმა **ზვიად მეტრეველმაც** ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. საპირისპირო უნდა ვთქვათ მოწინააღმდეგე გუნდის მოიერიშეზე, **დიმიტრი ტატანაშვილმა** თავადაც გაიტანა და **ალეკო კოშკაძის** პირველ გოლშიც მიიღო მონაწილეობა. ანგარიშის ორამდე გაზრდა კოშკაძის მიერ საჯარიმოში სახიფათოდ ჩაწოდებულ ბურთს მოჰყვა - ტატანაშვილმა საჰაერო ბრძოლაში ადვილად აჯობა მცველებს - 0:2. მესამე გოლი „დინამოს" სწრაფ კონტრიერიშს მოჰყვა - **რობერტინიომ** მოედნის თავისსავე ნახევარზე იბრძოლა ბოლომდე, მოპოვებული ბურთი **კახელიშვილს** გადააწოდა, მან უკეთეს პოზიციაში მყოფ კოშკაძეს გაატანა ბურთი, კაპიტანმა კი მომენტის განსამუხტავად წინ გამოსული მეტოქე გუნდის კოლეგა-კაპიტანი უშანსოდ დატოვა 0:3.

მასპინძლები ჯიუტად ცდილობდნენ მაინცდამაინც საჯარიმოში ჩაწოდებით ენახათ ხეირი, თუმცა იქ **გიორგი ლორია** ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო. სტანდარტულის შესრულება როგორ უნდა, თამაშის განახლებისთანავე უჩვენა მოწინააღმდეგეს მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელმა ალეკო კოშკაძემ. 48-ე წუთზე დაახლოებით 25-27 მეტრიდან მისი უძლიერესად დარტყმული ბურთი „სპარტაკის" კარის ხარიხას მოხვდა, იქიდან უკუგდებული კი მცველებმა მოიგერიეს. ცოტა ხანში „დინამოს" სწრაფი კონტრშეტევისას რობერტინიომ, რომელმაც ინდივიდუალური რეიდებით დაგვამახსოვრა თავი, მორიგი გარღვევა განახორციელა, მეურვეებს სისწრაფეშიც აჯობა და ტექნიკაშიც, თუმცა **გრიშიკაშვილს** პირისპირ ველარ აჯობა. ათიოდ წუთში რობერტინიო მორიგი გარღვევისას დაშავდა და მოედნიდან გაიყვანეს.

დარჩენილ დროში **ბადრი კვარაცხელიას** შეგირდებმა პრესტიჟის გოლის გასატანად უწინდელზე მეტად მოინდომეს, რაც მათმა ახალწვეულმა **ლაშა ჯაკობიამ** ერთ-ერთი შეტევისას მოახერხა კიდეც. საბოლოოდ 1:3 - ბევრი გოლი და მწირი სანახაობა, ასეთი ვითარება იყო გუშინ „ქართლის" არენაზე.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



ს.კ სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

# კოლხურ-სამტრედიული სატირალი:

## ერთს ვერ გააქვს, მეორე ვერ უგებს

06.04. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
700 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 0 |
| კოლხეთი | 0 |

| სამტრედია | კოლხეთი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| ჯინჭარაძე | ძაგანია |
| შალიკაშვილი | გავაშელიშვილი |
| ხუმარაშვილი | ცხვიტარია |
| გოგია | ინწკირველი |
| კირთაძე | მახვილაძე |
| ცხადაია | გოგონაია |
| ლომაშვილი | დათუნაიშვილი |
| მიქაბერიძე | გვალია |
| ბურჯანაძე | სიჭინავა |
| ჩხიკვაძე | მეგრელიშვილი |
| ალავერდაშვილი | წიქარიშვილი |
| მწვრთნელი ლ. ანჯაფარიძე | მწვრთნელი ს. ფილია |

**სამტრედია**

58. ბურჯანაძე - **ხვადაგიანი**
68. კირთაძე - **რუხაია**
*სათადარიგოები: ბანძავა, ენდელაძე, დვალიშვილი, ახობაძე, სუთიძე*

**კოლხეთი**

27. პ. დათუნაიშვილი - **გულუა**
46. წიქარიშვილი - **ჯანაშია**
77. გოგონაია - **მდივნიშვილი**
*სათადარიგოები: ლობჟანიძე, გელაჭეიშვილი, მოისწრაფიშვილი, კვერენჩხილაძე*

გაფრთხილება: **კირთაძე (27), მახვილაძე (50), გოგონაია (71)**
არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი (თბილისი)**

...პირველი დამატებული წუთი იყო, როცა „კოლხეთს" მეტად სახიფათო კონტშეტევისას საფინალო სასტვენმა მოუსწრო. არადა, **ალექსანდრე კრიჭაშვილმა** შეხვედრას 2 წუთი დაამატა და კოლხები მსაჯის გადაწყვეტილებამ ერთობ აღაშფოთა. ალბათ, სამართლიანადაც, რადგან მას შემდეგ, რაც მეოთხე მსაჯმა მატჩისთვის დამატებული დრო აჩვენა, 2 წუთი გასული ნამდვილად არ იყო. როგორც ჩანს, მსაჯმა „თავი დაიზღვია", თორემ სხვა მხრივ კრიჭაშვილმა და კომპანიამ მეტად პრინციპული და დაძაბული შეხვედრა, ფაქტობრივად, უშეცდომოდ განსაჯეს.

... მატჩის ბოლო გუნდებმა ორმხრივ შეტევებში გაატარეს და თუ მანამდე ორივე გუნდი დაცვაზეც ფიქრობდა, ბოლოს სტუმარ-მასპინძელმა 3 ქულისთვის გაიბრძოლა. შედარებით ფრთხილი მაინც „კოლხეთი" იყო, თუმცა ბოლოსაც და მანამდეც გატანის უკეთესი შესაძლებლობები სწორედ ფოთელებს მიეცათ. სანამ კოლხთა შეტევას საფინალო სასტვენი ჩაშლიდა, მანამდე წუთებით ადრე ჯერ მეკარე **ჯინჭარაძემ** მოიგერია საკუთარი მცველისგან რიკოშეტით ლამის „ცხრიანისკენ" წასული ბურთი, ხოლო შემდეგ მარჯვნიდან მწვავე შეტევის დროს ჩაკიდებული ბურთი მცველებისა და ფორვარდების „ერთობლივი" დარტყმის შემდეგ სამტრედიელთა ხარიხას მოხვდა.

რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილები არც მასპინძლები ყოფილან. მეტიც, ისინი სტუმრებზე მეტ დროს ატარებდნენ შეტევაში და მწვავედაც აკეთებდნენ ამას, თუმცა ბოლო მომენტში აშკარად სცოდავდნენ - ან შორიდან ურტყამდნენ, ანაც, უმეტესად, საჯარიმოში აწვდიდნენ და ბურთი **ლაშა ძაგანიას** იოლი ნადავლი ხდებოდა.

რაც შეეხება პირველ ტაიმს, ორიოდე რეალური ხიფათი შეიქმნა, რომელთაგან გამოვყოფთ **გავაშელიშვილის** ორ დარტყმულს (ერთი ასცდა კარს, მეორე ძელს მოხვდა) და **მიქაბერიძის** შორეულ გასროლას, რომელიც კოლხთა მეკარის საიმედო თამაშმა შეაჩერა.

ნამატჩევს ორივე გუნდი შედეგით უკმაყოფილო იყო. უშუალო კონკურენტების შეხვედრას ხომ ორივე მათგანისთვის, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამან შეხვედრას თავისი დაღიც დაასვა — გუნდები თამამად ვერ უტევდნენ. მობურთალებს ხელი მინდვრის საფარმაც შეუშალა. ნამატჩევს მატჩის დირექტორმა **ლევან ნოდიამ** აღნიშნა კიდეც — ასეთ მინდორზე არ ითამაშებაო. მოპოვებული ქულით სტუმრებმა ცხრილში დაწინაურება მაინც მოახერხეს, თუმცა გოლგაუტანელი შეხვედრების სერია 9-მდე გაზარდეს. ამასთან, „სამტრედია" ერთადერთი გუნდია, რომელმაც „კოლხეთს" ამ სეზონში ერთხელაც ვერ მოუგო.

**მამუკა ქანთარია**
სამტრედიიდან

# მეორე ლიგა

## აღმოსავლეთი. XXI ტური

| | |
|---|---|
| სამცხე-იმედი | 1:5 |
| ალგეთი-ზოოვეტი | 2:2 |
| გოლიადორი-საცკო | 0:0 |
| ერთობა-ივერია | 0:3 |
| 35-ე სკოლა-სტუ-თიანეთი | 0:3 |
| დუშეთი-აბული | 2:0 |
| მერანი-ავაზა | 0:2 |

*გაგრა-2-ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავაზა | 19 | 12 | 1 | 6 | 52-27 | 37 |
| 2. გაგრა-2 | 19 | 11 | 3 | 5 | 37-11 | 36 |
| 3. საცკო | 18 | 10 | 6 | 2 | 50-27 | 36 |
| 4. სტუ/თიანეთი | 19 | 11 | 2 | 6 | 44-26 | 35 |
| 5. ივერია | 19 | 11 | 2 | 6 | 34-18 | 35 |
| 6. ზოოვეტი | 18 | 9 | 6 | 3 | 36-20 | 33 |
| 7. გოლიადორი | 20 | 9 | 4 | 7 | 36-27 | 31 |
| 8. იმედი | 20 | 8 | 5 | 7 | 50-37 | 29 |
| 9. ალგეთი | 19 | 8 | 3 | 8 | 30-26 | 27 |
| 10. დუშეთი | 19 | 6 | 9 | 4 | 36-25 | 27 |
| 11. მერანი | 19 | 7 | 2 | 10 | 28-29 | 23 |
| 12. აბული | 17 | 7 | 1 | 9 | 17-26 | 22 |
| 13. 35-ე სკოლა | 20 | 3 | 6 | 11 | 23-40 | 15 |
| 14. სამცხე | 19 | 3 | 0 | 16 | 11-91 | 9 |
| 15. ერთობა | 19 | 2 | 0 | 17 | 10-64 | 6 |

*შენიშვნა: აღმოსავლეთ ზონაში „35-ე სკოლა" და „ერთობა" მოიხსნენ გათამაშებიდან. ყველა გუნდს მათთან გასამართ შეხვედრებში ჩაეთვლება ტექნიკური მოგება 3:0.*

## დასავლეთი. XVI ტური

| | |
|---|---|
| საირმე-მერცხალი-2 | 2:1 |
| გურია-2-ფაზისი | 2:1 |
| ბეთლემი-ქუთაისი | 3:2 |
| მართვე-სულორი | 1:2 |
| მარგვეთი-დინამო-2 | 0:0 |
| მერანი-2-ჩიხურა-2 | 1:1 |

*ბახმარო ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა-2 | 14 | 11 | 3 | 0 | 53-11 | 36 |
| 2. სულორი | 15 | 10 | 1 | 4 | 28-19 | 31 |
| 3. ბეთლემი | 15 | 9 | 2 | 4 | 33-18 | 29 |
| 4. დინამო-2 | 15 | 7 | 6 | 2 | 29-17 | 27 |
| 5. მარგვეთი | 15 | 8 | 2 | 5 | 34-24 | 26 |
| 6. გურია-2 | 15 | 6 | 3 | 6 | 24-31 | 21 |
| 7. ბახმარო | 14 | 6 | 3 | 5 | 20-27 | 21 |
| 8. მერანი-2 | 15 | 5 | 4 | 6 | 17-16 | 19 |
| 9. ქუთაისი | 15 | 5 | 2 | 8 | 22-34 | 17 |
| 10. ფაზისი | 15 | 5 | 1 | 9 | 25-34 | 16 |
| 11. საირმე | 14 | 2 | 4 | 8 | 10-22 | 10 |
| 12. მართვე | 15 | 2 | 3 | 10 | 15-33 | 9 |
| 13. მერცხალი-2 | 15 | 1 | 4 | 10 | 19-43 | 7 |

# ქართული ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ ზურაბ მენთეშაშვილთან

**ზურაბ მენთეშაშვილის პრობლემის შესახებ "ლელოს" მკითხველი კარგადაა ინფორმირებული. მაინც შეგახსენებთ, რომ ისრაელიდან სამშობლოში დაბრუნებულმა გამოცდილმა ნახევარმცველმა "ზესტაფონთან" კონტრაქტი კი გააფორმა, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მისი სატრანსფერო ფურცელი დღემდე არ ჩამოსულა, ფეროელთა შემადგენლობაში ჯერაც დებიუტს ელის. ახლახან მენთეშაშვილმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და უკვე ორი მიზეზის გამო ვერ თამაშობს. ამდენი უსიამოვნების მიუხედავად, იგი მომავალს იმედიანად უყურებს.**



# როცა ტრავმა შვებაა

## მენთეშაშვილი ნოსტალგიამ დააბრუნა, კარიერის დასრულებამდე კი შორია

**- ოპერაცია გარდაუვალი იყო თუ იძულებითი პაუზით ისარგებლე?**

- სხვანაირად აღარ გამოდიოდა, სამედიცინო ჩარევის გარეშე ჩემს კარიერას სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა. ასე რომ, აქ სატრანსფერო ფურცლის ჩამოუსვლელობა არაფერ შუაშია.

**- სად მიიღე ეს ტრავმა?**

- ისრაელში თამაშისას. ვცდილობდი, ფონს უოპერაციოდ გავსულიყავი, მაგრამ არ გამოვიდა.

**- რამდენ ხანში შეძლებ ვარჯიშისა და თამაშის განახლებას?**

- სამ-ოთხ კვირაში ვარჯიშიც შემეძლება და თამაშიც. სხვა საქმეა, იურიდიული ფორმალობები როდის მომცემს მოედანზე გასვლის საშუალებას.

**- რამდენად რთული გადასატანია შენთვის ეს უსიამოვნო პერიოდი?**

- კიდევ კარგი, სატრანსფერო ფურცლის პრობლემას ოპერაცია დაემატა, თორემ ალბათ, ჭკუიდან გადავიდოდი. ახლა კი თავს იმით ვიმშვიდებ, რომ საზარდული თამაშის საშუალებას არ მომცემდა.

**- საქართველოში დაბრუნება რამ გადაგაწყვეტინა?**

- დიდი ხანია, აქედან წასული ვიყავი და ნოსტალგია მომეძალა. ძალიან მომენატრა საქართველოში ცხოვრება, ჩემს ხალხთან ურთიერთობა. "ზესტაფონისგან" საინტერესო წინადადება მივიღე და ბევრი აღარ მიფიქრია. მიმაჩნია, რომ საქართველოს საუკეთესო კლუბში მოვხვდი, რომელთან ერთადაც ბევრის მიღწევა შემიძლია.

**- "ზესტაფონთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმე. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ეს კლუბი შენს კარიერაში უკანასკნელი იქნება?**

- "ზესტაფონში" ამ სამ წელიწადს დიდი სიამოვნებით გავატარებ, მაგრამ ის ნამდვილად არ ვიცი, რომელი კლუბის შემადგენლობაში დავასრულებ კარიერას - იქამდე ჯერ შორია და თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, ფეხბურთის თამაშს კიდევ დიდხანს ვაპირებ.

**- საქართველოს ჩემპიონატს ხანგრძლივი განშორების შემდეგ დაუბრუნდი. რა სხვაობაა მაშინდელ და ახლანდელ დონეებს შორის?**

- დიდი სხვაობა არ უნდა იყოს, დაძაბულობა და ინტრიგა კი ახლა გაცილებით მეტია. სხვა თუ არაფერი, ჩემპიონობისთვის ერთბაშად სამი გუნდი იბრძვის, მოვლენები საინტერესოდ ვითარდება ცხრილის ქვედა ნაწილშიც. მოკლედ, არცთუ ისე ხელწამოსაკრავი ჩემპიონატი გვაქვს, როგორც ბევრს ჰგონია.

**- ისრაელში საქმეები თავიდან კარგად წაგივიდა, რასაც ვერ ვიტყვით იქ გატარებულ ბოლო პერიოდზე.**

- თელ ავივის "ჰაპოელში" მართლაც წარმატებულად ვითამაშე და ისრაელის ჩემპიონიც გავხდი, მაგრამ მიზეზთა გამო კლუბის შეცვლამ და აშქელონის "ჰაპოელში" გადასვლამ მომიწია. მთლიანობაში, ორივეგან ყოფნა ცუდად მახსენდება, რადგან საერთო ენა ვერც მწვრთნელებთან გამოვნახე, ვერც თანაგუნდელებთან და ვერც სხვებთან. როცა გუნდი იმარჯვებდა, ჩემი დამსახურება ყველას ავიწყდებოდა, მარცხისას კი ყველა ჩემკენ იშვერდა ხელს. თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ ორივე "ჰაპოელში" ჩემს დონეზე ვთამაშობდი და სულაც არ მსიამოვნებდა განტევების ვაცის როლში ყოფნა. ერთი სიტყვით, ისრაელიდან წამოსვლის შემდეგ სულიერად დავისვენე. ტრავმამაც ცალკე გამაწამა და, მოკლედ, იქაურობის გახსენებაც აღარ მინდა.

**- საქართველოს ნაკრებში ბოლო დროს აღარ გიძახებენ. გაქვს თუ არა დაბრუნების იმედი?**

- რატომაც არა. თემურ ქეცბაია ჩემს შესაძლებლობებს კარგად იცნობს, მან ნაკრებში ორჯერ გამომიძახა კიდეც. ვიცი, რომ თემურს თვალთახედვის არეში ვეყოლები და თუ დავიმსახურებ, შანსსაც მომცემს. ძალიან კარგად ვიცი, როდის ვარ სანაკრებო ფორმაში და როდის – არა. როცა ფორმას აღვიდგენ და თამაშს დავიწყებ, შევეცდები, ნაკრებში დაბრუნება დავიმსახურო. ასეც რომ არ მოხდეს, გულს არ გავიტეხ და ეროვნული გუნდის უდიდეს ქომაგად დავრჩები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სიონი

## მადნეულს უნდა სიონი, სიონს უნდა მადნეული. მაშ, რატომ ვერა, რატომ?

საქართველო უნიკალური ქვეყანაა: კლუბები სპონსორებს ეძებენ და ვერ პოულობენ, "მადნეულს" კი ბოლნისის "სიონის" პატრონობა სურს და დღემდე ვერ გადაიფორმა. თუმცა კომპანიის მენეჯმენტი **მიხეილ სააკაშვილის** გამოსვლის შემდეგ დაიმედებულია. 1 აპრილს ხომ პრეზიდენტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლადო ვარძელაშვილსა** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** ფეხბურთის განვითარების პერსპექტივებზე ელაპარაკა. მისი თქმით, ყველა დიდ ქალაქში უნდა მოწესრიგდეს საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, მოედნები, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი ტრანსლირება. ცხადია, ეს ჩვენი ჩემპიონატის გაუმჯობესების მცდელობაა.

ჩვენთან მაგალითად აზერბაიჯანს ასახელებენ, სადაც საფეხბურთო ბუმი მას შემდეგ დაიწყო, რაც პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** ბიზნესმენებს ფეხბურთის მიხედვა დაავალა. ასევე იყო რუსეთში, უკრაინაში, ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, სადაც ფეხბურთში კერძო ბიზნესის მისასვლელად საფუძველი იყო ჩასაყრელი - სახელმწიფოს მეთაურის დაინტერესების გარეშე კი ჩვენნაირ ქვეყანაში ფეხბურთის განვითარება ძნელი წარმოსადგენია.

კომპანია "მადნეული" ბოლნისის "სიონის" მეურვეობას გასული წლიდან ცდილობს, მაგრამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსიდან ვერა და ვერ გადაიფორმა.

გუნდში "მადნეულის" წარმომადგენელი **გიორგი არევაძე** პრობლემებზე გველაპარაკა.

"პრეზიდენტმა ზუსტად იმ მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება, რომელთა მოგვარებაც ჩვენს ფეხბურთს წაადგება. ხალხი რომ სტადიონებისკენ მოტრიალდეს და ფეხბურთელებს მეტი სტიმული გაუჩნდეთ, ინფრასტრუქტურა, მოედნები და ეროვნული ჩემპიონატის პრომოუშენია საჭირო.

კაცმა რომ თქვას, რაიონების ხელმძღვანელებისთვის გუნდების დაფინანსება არავის აუკრძალავს. ასე რომ იყოს, ფოთის, ზუგდიდის და კიდევ ბევრი სხვა ქალაქისა თუ რაიონის ბიუჯეტებიდან გუნდებს როგორ აფინანსებდნენ? მთავარი სურვილია, ფეხბურთის პატრონობისთვის კი ჯერ არავინ დაუჭერიათ. პირიქით, ეს სოციალურად მნიშვნელოვანი სფეროა, მაგრამ პრეზიდენტი ვერ ჩამოვა და რაიონის ხელმძღვანელებს არ ეტყვის, გუნდი რომ გყავთ, მიხედეთ, სტადიონზე ფიცრები შეცვალეთო და სხვა... ამას ადგილზე უნდა ხვდებოდნენ.

ვფიქრობ, პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ფეხბურთში სასიკეთო პროცესები დაიწყება. მაგალითად, "სიონმა" ბოლნისის სტადიონზე რომ ითამაშოს, "მადნეული" 15000 ლარს იხდის. რატომ, სპონსორი „მეწველი ძროხაა"? უმჯობესი არ იქნება, თანხა გუნდს მოხმარდეს, სტადიონსაც მოევლება და უკეთესი გუნდიც გვეყოლება. არადა, საქართველოს რაიონების 80 პროცენტს არ აქვს ბოლნისის ოდენობის ბიუჯეტი და ჩვენს რაიონს არ უნდა უჭირდეს.

პრობლემაა გუნდის გადაფორმებაც. რას იფიქრებს საქართველოში ჩამოსული ინვესტორი, როდესაც გაიგებს, რომ "მადნეულის" მსგავსი მსხვილი კომპანია ერთი წელია, გუნდის აყვანისა და დაფინანსების უფლებას ვერ იღებს? მჯერა, ახლა ამასაც მოევლება" – ამბობს არევაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

● მომავლის ფეხბურთი

საქართველოში მცხოვრებმა იტალიელმა ქალბატონმა დანიელა ტიეციმ, რომელიც ქართველთა ყოფა-ცხოვრებას დიდი ინტერესით ეცნობა, მითხრა, ქართველებს შუადღემდე რატომ გძინავთ და როგორ ავხსნა, რომ სპორტულ დარბაზში, სადაც ხშირად დავდივარ, მრავალი უცხოელის გვერდით ორ-სამ ქართველს თუ აღმოაჩენო. რა უნდა მეთქვა? იუმორი მოვიშველიე და ვუთხარი, ძილში ან ფიქრში ვვარჯიშობთ-მეთქი. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ვერსად გავექცევით. ჩვენი არასპორტულობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ უცხოელიც კი გააოცა.

საქართველოში უამრავი სასწავლო დაწესებულებაა, თუმცა მათი უმრავლესობა სპორტს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. ბოლო წლებში სასწავლებელთა, მათ შორის, "საქართველოს უნივერსიტეტის" ხელმძღვანელებმა სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის პოპულარიზაციაზეც დაიწყეს ზრუნვა.

გვესაუბრება "საქართველოს უნივერსიტეტის" სპორტული სკოლის დირექტორი გივი ნეფარიძე.

# საუნივერსიტეტო გამოწვევა

- საფეხბურთო სკოლა, რომელსაც "საქართველოს უნივერსიტეტი" ხელმძღვანელობს, 2004 წელს დაარსდა. თავდაპირველად შპს "სპორტ ლიდერი" ერქვა, მაგრამ 2007 წლიდან სკოლა ჩვენი უნივერსიტეტის მფლობელობაში გადმოვიდა და ფეხბურთის გარდა კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ბადმინტონის, ჭადრაკის, სპორტული ცეკვებისა და რაგბის სექციები დაემატა.

**- საფეხბურთო სკოლა მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტებს ემსახურება?**

- ფეხბურთის სექციის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში 170 ბავშვი ვარჯიშობს. სკოლაში ფეხბურთის სწავლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. გარდა ამისა, უნივერსიტეტის უკლებლივ ყველა პირველკურსელი არჩევანის მიხედვით სპორტის გაკვეთილებს ისევე გადის, როგორც სალექციო კურსს, არჩეულ სახეობებში ფეხბურთიცაა.

**- სკოლაში რა ასაკის ბავშვები ვარჯიშობენ?**



- ამჟამად სკოლაში 16 სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი ვარჯიშობს, ზოგი კი ელიტლიგის ჩემპიონატებშიც მონაწილეობს. რაც მთავარია, აღსაზრდელებთან მუშაობენ შესაბამისი ლიცენზიის მქონე მწვრთნელები და მათი დამხმარე პერსონალი. სულ ბავშვებთან 12 სპეციალისტი მუშაობს.

**- სწავლის გადასახადი რამდენია?**

- უნივერსიტეტის სტუდენტები თანხას არ იხდიან. რაც შეეხებათ ბავშვებს, მათთვის სწავლის საფასური 40 ლარია. ეს ძირითადად მწვრთნელთა სახელფასო ხარჯებსა და კომუნალურ გადასახადებს ხმარდება.

**- საფეხბურთო სკოლა აღსაზრდელებს რა სახის მომსახურებას სთავაზობს?**

- ბავშვების განკარგულებაშია საშხაპე-გასახდელები, სამედიცინო შემოწმება, ერთი სტანდარტული და ერთიც პატარა მოედანი. ავდარში დახურულ დარბაზში შევდივართ. იმედია, კიდევ ერთ არასტანდარტულ მოედანსაც შევიმატებთ.

**- საფეხბურთო სკოლის მოედნებზე მინდვრის საფარი უხარისხოა.**

- გეთანხმებით, იმის საშიშროებაც იყო, ბავშვებს ვარჯიშისას ტრავმა მიეღოთ. ახალი საფარის დაგებას მას შემდეგ დავიწყებთ, რაც ბავშვებს საზაფხულო არდადეგები დაეწყებათ. ზამთარში მინდვრის საფარს ვერ გამოვცვლიდით, ამიტომ იძულებული გავხდით, რამდენიმე თვე მოგვეცადა.

**- საფეხბურთო სკოლები სალიცენზიო შემოწმებას გადიან. ფეხბურთის ფედერაციის გამოწვევაში თქვენი სკოლაც ჩაება?**

- ჩვენი სკოლის მოედნები და ინფრასტრუქტურა მოინახულეს სალიცენზიო კომისიის წევრებმა ქალაქისა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებიდან. მათ ყურადღებით დაათვალიერეს ჩვენი სკოლა.

**- ძირითადად, რა მოთხოვნები აქვთ?**

- შეუძლებელს არაფერს ითხოვენ. წესდებაში ბევრი საინტერესო პუნქტია. აუცილებელიცაა, რომ საფეხბურთო სკოლა ამ ყველაფერს აკმაყოფილებდეს, რადგან სკოლები ბავშვთა აღზრდას ემსახურება. მათთვის სრულფასოვანი გარემოს შექმნა საფეხბურთო სკოლების უმთავრესი მოვალეობაა და თუ რომელიმე სკოლა შეუსაბამო პირობების გამო დაიხურება, მისასალმებელია. მშობლებს სურთ, შვილი კარგ სკოლაში მიიყვანონ.

**- რა სიახლეებს გეგმავთ სამომავლოდ?**

- მოედნებზე საფარის გამოცვლაზე უკვე გითხარით, "საქართველოს უნივერსიტეტი" ახალ კორპუსს აშენებს, რომელშიც ჩვენი სკოლის აღსაზრდელებისთვის სატრენაჟორო დარბაზი განთავსდება.

**სალომე ხარატიშვილი**

● ლეგიონერები

## სპორტ-ექსპრესის სიმბოლურში სამი ქართველი მოხვდა

რას გაუგებ რუსებს: პრემიერლიგის მესამე ტურის შემდეგ თითქმის ყველა გაზეთმა და საინფორმაციო საშუალებამ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" პლეიმეიკერი **გოჩა ხოჯავა** ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა და ტურის გმირად მონათლა.

გამონაკლისი „სპორტ-ექსპრესია", რომელმაც სიმბოლური ნაკრები მოგვიანებით შეადგინა. მიუხედავად მოსკოვის "დინამოსთან" გოჩას მშვენიერი თამაშისა, ჩვენებური საუკეთესო თერთმეტეულში ამჯერად ვერ ვიხილეთ.

ზოგიერთი გამოცემა ფეხბურთელის ეფექტურობას უფრო აფასებს, ვიდრე მეტ კილომეტრაჟსა თუ შრომისუნარიანობას. ალბათ, „სპორტ-ექსპრესი" შეფასების ამ, მეორე კრიტერიუმით სარგებლობს.

თუმცა ცოდვა იქნება, გაზეთს ქართველების დაჩაგვრა დავაბრალოთ: მესამე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ საქართველოს ნაკრებისა და „ანჟის" მეკარე **ნუკრი რევიშვილი** (რომელმაც ყაზანის „რუბინთან" ძალიან საიმედოდ ითამაშა და 6,5 შეფასება მიიღო), მარჯვენა მცველის პოზიციაზე - ვოლგელი **ლაშა სალუქვაძე**, ცენტრალურ მცველად კი „კრასნოდარის" კაპიტანი **ალეკო ამისულაშვილი**.

„სპორტ-ექსპრესი" თხუთმეტი წელია, სიმბოლურ ნაკრებებს ადგენს, მაგრამ სამი ქართველი ერთდროულად თითქმის არასდროს დაუსახელებია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არსენალი

# ვენგერი გიყურებთ და გამოგცვლით

„არსენალის“ ვეტერანი მცველი **მარტინ კიოუნი** ამბობს, რომ „მეთოფეების“ დღევანდელმა შემადგენლობამ სეზონი წარმატებით უნდა ჩაამთავროს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრ მათგანს გუნდიდან გააპანღურებენ. გეხსომებათ: „არსენალს“ ერთბაშად ოთხი ტიტულის მოგების იმედი ჰქონდა და ერთთან მეტისმეტად ახლოსაც იყო — „ქარლინგის თასის“ ფინალში გახლდათ გასული, მაგრამ ბირმინგემელი **ობაფემი მარტინსის** მიერ ბოლოწამს გატანილმა გოლმა ჯილდო ხელიდან გამოსტაცა და წარუმატებლობებსაც იქ დაედო საფუძველი. შემდეგი ხელის მოცარვა ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგაში ელოდათ, სადაც მერვედფინალიდან „ბარსელონამ“ გამოაგდო. ამას მოჰყვა მარცხი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე, „მანჩესტერ იუნაიტედთან“.



მარტინ კიოუნი

ამრიგად, „მეთოფეებს“ ოთხი მიზნიდან ერთილა შემორჩათ — პრემიერლიგა, სადაც, ბოლო ტურში, „ბლექბერნთან“ 0:0 ითამაშეს (თან, „ბლექბერნი“ ბოლო 15 წუთის განმავლობაში ათი კაცით დარჩა მოედანზე) და ლიდერს უკვე 7 ქულით ჩამორჩნენ. ამ ყოველივეს შემყურე კიოუნი ამბობს, რომ „არსენალის“ რამდენიმე ფეხბურთელისთვის ეს გაზაფხული გუნდში ადგილის შესანარჩუნებლად იქნება მნიშვნელოვანი. ყოფილმა ვარსკვლავმა, რომელმაც **არსენ ვენგერის** ხელმძღვანელობით სამჯერ მოიგო პრემიერლიგის ტიტული, თქვა:

„მე, როგორც შეჯიბრებებში გამოცდილი ადამიანი, ვგრძნობ, რომ „არსენალს“ ჯერ კიდევ შეუძლია გახდეს ინგლისის ჩემპიონი, მაგრამ ამისათვის საჭიროა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წააგოს. ცხოვრებაში კი ყველაფერი ხდება. ხანდახან, როდესაც გგონია, რომ შენთვის ყველაფერი ცუდად მიდის, სწორედ მაშინ გეძლევა ძალა. „არსენალმა“ ახლა უნდა აჯობოს საკუთარ თავს და სეზონი ეფექტურად ჩაამთავროს, თორემ შანსი თითებს შორის წყალივით გაუცურდება. ამწუთას ფეხბურთელებს კიდევ აქვთ შესაძლებლობა გმირობა ჩაიდინონ და კლუბის ისტორიაში ჩაეწერონ, თუმცა ამას გამარჯვების საგანგებო წყურვილი სჭირდება. თუ ფეხბურთელები გულის სიღრმეში მეორე ადგილზე ყაბულს არიან, მაშინ სადღაც რაღაც არის შესაცვლელი.

ყველაზე ადვილია გამოაცხადო, რომ ზაფხულში ახალ ფეხბურთელებს იყიდი და მდგომარეობას ასე გამოასწორებ. მეორე მხრივ, ეს, ალბათ მართლა ასე მოხდება, რადგან „არსენალი“ სიახლეს საჭიროებს. ამ გუნდში წლები მაქვს გატარებული და ვენგერს კარგად ვიცნობ. ეს ადამიანი თითოეულ ფეხბურთელზე გარკვეულ დროს ხარჯავს, მაგრამ რომ დაინახავს, რომ მავანისგან მეტს ველარაფერს გამოსწურავს, ახალს ყიდულობს. ზუსტად იგივე მოუვა „არსენალის“ დღევანდელ მოთამაშეთა ჯგუფს, თუკი ისინი ამ გაზაფხულზეც ძველებურად განაგრძობენ და ტიტულის გარეშე დარჩებიან“.

თუკი ჩრდილოლონდონელებმა ვერც ამ სეზონში გაიმარჯვეს, გამოვა, რომ მათ ზედიზედ შვიდი სეზონია არაფერი მოუგიათ. ეს შემაშფოთებელი რიცხვია. „მეთოფეებმა“ ბოლო წარმატებას 2005 წელს მიაღწიეს, როდესაც ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხეს. ბოლო ტურში, „ბლექბერნთან“ უკვე ნახსენები 0:0-ის შემდეგ „ემირეიტ სთედიუმი“ გამაყრუებელმა „ბუუმ“ წალეკა, მაგრამ ამის მიუხედავად კიოუნი ამბობს, რომ ფანები ვენგერზე უკეთეს მწვრთნელს ვერ იპოვნიან და მას მხარი უნდა დაუჭირონ.

„არსენმა ამ წლების განმავლობაში ფანებიც გაზარდა. მან ისინი დიდ ფეხბურთს მიაჩვია და დღეს „არსენალი“ მდიდარი კლუბი რომ არის, ესეც ვენგერის სწორი მუშაობის დამსახურებაა.

გულშემატკივარს გუნდში ზოგიერთ პოზიციაზე უკეთესი ფეხბურთელის მიყვანა უნდა, მაგრამ ხალხს ავიწყდება, რომ კლუბმა სპეციალურად შეიმუშავა ფეხბურთელების აღზრდის ხუთწლიანი პროგრამა. საქმე ის გახლავთ, რომ „ემირეიტ სთედიუმის“ აშენებას დიდძალი ფული დასჭირდა და „მეთოფეები“ მზა ვარსკვლავების ყიდვაზე დიდძალი თანხების ხარჯვას გაურბოდნენ. მაგრამ, თუ ეს სეზონიც ტიტულის გარეშე დასრულდება, „არსენალს“ სხვა გზა არ ექნება, ზაფხულში ბაზარში გავა და ჯიბეზე ხელსაც გაიკრავს. და თუ საქმე ფულის ხარჯვაზე მიდგა, დედამიწის ზურგზე არ მეგულება ადამიანი, რომელმაც არსენ ვენგერზე უკეთ იცის ეს საქმე“.

მაინც რა სჭირდება „არსენალს“ მომავალ ზაფხულს? კიოუნის აზრით, განსაკუთრებული არაფერი.

„ვფიქრობ, გუნდს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის შეძენა მოუხდებოდა. დაე, ამ ფეხბურთელებს ნუ ექნებათ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული, მაგრამ კონკურენციას სხვა საფეხურზე აიყვანენ. ყველაფერს ერთი გამოცდილი ნახევარმცველისა და მეკარის დამატება აჯობებდა. მანუელ ალმუნიას მუდამ თავდაჯერებულობა აკლია, ვოიცეხ შჩესნიმ კი კარგად დაიწყო, მაგრამ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს, შეძლებს თუ არა „არსენალის“ ძირითად მეკარეობას.

ტომას ვერმაელენის გამოჯანმრთელება ნამდვილად ახალი მცველის ყიდვასავით იქნება, ლორან კოშელნის თვისებები კი მომწონს, მაგრამ ჯერ პირველი სეზონი ჰქონდა.

ერთადერთი კაცი, ვინც გუნდში სუფთა ჰაერივით შემოიჭრა ჯეკ უილშირია. საოცარია, საკმარისია ამ ბიჭმა ბურთი მიიღოს, რომ შეტევას იწყებს“.

● ლივერპული



# რაფას ნაქვალევზე

„ლივერპულის“ მეპატრონე **ჯონ ჰენრიმ** სასტიკად გააკრიტიკა გუნდი, რომელიც წინა პატრონებისგან მემკვიდრეობით ერგო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჰენრიმ ესპანელი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** გაკიცხა, რადგან „ლივერპულის“ წინა მეპატრონეებს **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტს** ყველაფერი შეიძლება დაჰბრალდეს ფეხბურთელების შერჩევის გარდა. ამ საქმით „ენფილდზე“ ბენიტესი იყო დაკავებული. შეგახსენებთ, რომ ახალმა მეპატრონემ, რომელიც კორპორაცია „ფინევეი სპორტს გრუპის“ პრეზიდენტია, „ლივერპულში“ თითქმის 500 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ჰენრიმ თქვა: „ყველაზე დიდი პრობლემა მოკლე სათადარიგოთა სკამი გახლავთ. ჩვენ თავიდანვე ვფიქრობდით, რომ მთავარი თავსატეხი სწორედ ეს იქნებოდა და ყოველდღიურმა მუშაობამ გვაჩვენა, რომ მართლებიც ვიყავით. ძალიან დიდი ფული იყო გადახდილი გუნდში, რომელსაც რეზერვი არ ჰყავდა“.

გეხსომებათ, რომ იანვარში ჰენრის უკვე მოუხდა სატრანსფერო საქმიანობაში ჩაბმა — „ჩელსის“ 50 მილიონ ფუნტად **ფერნანდო ტორესი** მიჰყიდა და მთელი შემოსული თანხა „ნიუკასლიდან“ **ენდი ქეროლისა** და „აიაქსიდან“ **ლუის სუარესის** შეძენაში დახარჯა. მერსისაიდელთა ამერიკელი შეფისგან მომავალ ზაფხულსაც უნდა ველოდოთ საბაზრო აქტიურობას. ამბობენ, რომ მის სიაში უპირველეს ყოვლისა **სტიუარტ დაუნინგი, ეშლი იანგი** და **ჩარლი ადამი** წერია. ჰენრი დარწმუნებულია, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში „ლივერპული“ აუცილებლად გახდება ინგლისის ჩემპიონი.

ახალშეძენილმა ლუის სუარესმა, მოგეხსენებათ, წითელი მაისურით თავიდანვე მოახდინა ეფექტი. დღეს ის უკვე ლაღად პასუხობს ინგლისელი ჟურნალისტების კითხვებს და ამბობს, რომ თამაშის უკომპრომისო სტილი ბავშვობის დროინდელ კერპ **გაბრიელ ბატისტუტასგან** გადაიღო. მან ისიც თქვა, რომ „ლივერპულის“ თავკაცმა **კენი დალგლიშმა** ახალ გუნდთან შეგუებაში განსაკუთრებული დახმარება გაუწია.

„გაბრიელ ბატისტუტა თავდამსხმელის ნიმუში გახლდათ. ეს იყო დიდი მაგალითი, იგი სრულყოფილად გამოხატავდა ფორვარდის ჭეშმარიტ სულს. არასდროს ნებდებოდა და ვფიქრობ ეს თვისება მისგან გადავიღე“.

დალგლიშთან დაკავშირებით კი 24 წლის ურუგვაელმა ასე თქვა: „მისგან უკვე ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ამ ადამიანს რომ უყურებ რჩება შთაბეჭდილება, რომ მწვრთნელობისთვის თავი სულ ახალი დანებებული ჰქონდა. იცით, პირველად რომ დამინახა, როგორ მომესალმა? ესპანურად. ასე მითხრა: ოლა, ბენვენიდო. ის დღესაც ესპანურად მელაპარაკება, რადგან ინგლისური ჯერ კარგად არ ვიცი. მაგრძნობინებს, რომ მე გუნდს ვჭირდები“.

● ამბები

# არავის უგინებია

„ვესტ ჰემის“ თავდამსხმელმა **ვიქტორ ობინამ** თქვა, რომ ტყუილია, თითქოს „აპტონ პარკზე“ მის ახლობლებს რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს. მეტიც, ობინას, თურმე, ლონდონში ნათესავები საერთოდ არ ჰყავს.

ყველაფერი კი ორშაბათს დაიწყო, როდესაც „ვესტ ჰემმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ აუცილებლად გამოიძიებს, ვინ მიაყენა ობინასა და **ფრედერიკ პიკიონის** ახლობლებს შეურაცხყოფა. მანამდე დაირხა ხმა, თითქოს მასპინძელთა გუნდის ამ ორი ფერადკანიანი მოთამაშის ოჯახის წევრებს შაბათს, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრის მსვლელობისას აგინეს. 24 წლის ნიგერიელმა ობინამ ჭორები კატეგორიულად უარყო:

„მსგავსი არაფერი ყოფილა. მე ინგლისში ნათესავები საერთოდ არ მყავს, მარტო ვცხოვრობ. საერთოდ ვერ ვხვდები, რას მეკითხებით, საიდან გავრცელდა ასეთი ხმები. როდესაც გავიგე, ობინას ახლობლებისთვის „აპტონ პარკზე“ უგინებიათო, გაოცებისგან ყბა ჩამომივარდა“.

„ჩაქუჩების“ თანამფლობელმა **დევიდ სალივანმა** განაცხადა, რომ ცნობებმა რასიზმის შესახებ ის დაზაფრა.

„ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით და ახლაც განვაცხადებთ, რომ ნებისმიერ დისკრიმინაციას შევებრძოლებით“ — თქვა პრესმდივანმა **დენი ლინჩმა**.

# მარუანი არსად გაუშვათო

„ევერტონის“ ამერიკელი მეკარე **ტიმ ჰოვარდი** დარწმუნებულია, რომ მისი კლუბი ყველა ღონეს იხმარს, რათა 23 წლის ბელგიელი ნახევარმცველი **მარუან ფელაინი** რამენაირად შეინარჩუნოს. საქმე ის გახლავთ, რომ ფელაინით, ბოლო დროს, ძალიან ბევრი ევროპული კლუბი დაინტერესდა. ცოტა ხნის წინ „ევერტონის“ მწვრთნელმა **დევიდ მოიესმა** განაცხადა, რომ ნახევარმცველთან კონტრაქტის განახლებაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს, მაგრამ მოვლენები სხვადასხვანაირად შეიძლება განვითარდეს.



მოგეხსენებათ, მიმდინარე სეზონში ფელაინი ველარ ითამაშებს - კოჭი სტკივა. მისი გადაბირებით დაინტერესებული გუნდების რაოდენობა კი მართლაც შთამბეჭდავია. როგორც ამბობენ, მათ შორის ყველაზე სახელგანთქმული მიუნხენის „ბაიერნია“. ჰოვარდმა თქვა:

„მარუანი დაშავებულია და „ევერტონს“ ეს ძალიან ეტყობა. თან მას ბედიც არ სწყალობს — შარშან მძიმე ტრავმა ჰქონდა და წლეულსაც იგივე განმეორდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ მას არ გავყიდით, რამდენიმეწლიან კონტრაქტს გავუფორმებთ და ზაფხულის შემდეგ კარგად გამოჯანმრთელებული და დასვენებული ძველებური ენერგიით შეუდგება საქმეს“.

გასული სამი ზაფხულის განმავლობაში „ევერტონი“ სატრანსფერო ბაზარზე არ აქტიურობდა. არადა, ბევრი ამტკიცებდა, რომ ამ გუნდის გაძლიერების ერთადერთი გზა რომელიმე ძვირად ღირებული ფეხბურთელის გაყიდვა და მის ნაცვლად რამდენიმეს ახლის ყიდვა იყო. და რასაკვირველია, როდესაც ლაპარაკია ძვირად ღირებულ ევერტონელზე, უპირველეს ყოვლისა ფელაინი იგულისხმება.

ჰოვარდი იმედოვნებს, რომ „გუდისონ პარკზე“ ახალი სახეები ფელაინის ხარჯზე არ გამოჩნდებიან, თუმცა ის, რომ ახალი სისხლი საჭიროა, ამერიკელს სადავოდ არ მიაჩნია.

# კაპელო და ასი სიტყვა



ინგლისის ნაკრების იტალიელმა თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** განაცხადა, რომ მისთვის საჭირო 100 სიტყვა ინგლისურად უკვე იცის. საქმე ის გახლავთ, რომ ადრე, როდესაც მოკირკიტე ინგლისელმა ჟურნალისტებმა მწვრთნელს ინგლისურის არცოდნა უსაყვედურეს, მან უპასუხა, რომ გუნდის ხელმძღვანელობას ას სიტყვაზე მეტი არ სჭირდება. როგორც ჩანს, კაპელომ სიტყვათა საჭირო მარაგი უკვე დააგროვა, თუმცა როგორც ირკვევა, აქ ზოგად ლექსიკაზე კი არა, პროფესიულ ჟარგონზე იყო ლაპარაკი.

კრიტიკოსებს ალიზიანებთ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია მილიონებს უხდის ადამიანს, რომელმაც იმ ქვეყნის ენაც კი არ იცის, რომლის სიამაყე - ეროვნული გუნდი აბარია. ამ დღეებში, იტალიის ქალაქ ბარიში გამართულ ერთ-ერთ პრეზენტაციაზე ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული კითხვა მას იტალიელმა ჟურნალისტებმაც დაუსვეს. კაპელო გაბრაზდა:

„როდესაც ვთქვი, რომ ასი სიტყვის ცოდნა სრულიად საკმარისია, საფეხბურთო ჟარგონი ვიგულისხმე. ეს ის სიტყვებია, რომელთა დახმარებით მე ფეხბურთელებს გავაგებინებ ყველაფერს, რისი თქმაც მათთვის თამაშთან დაკავშირებით მინდა. ჩვენ იტალიაშიც გვაქვს პროფესიული ჟარგონი — სიტყვები და ფრაზები, რომელთაც მუშაობის დროს ვიყენებთ. მათი რაოდენობა დიდი არ არის. როდესაც ვამბობდი, რომ მხოლოდ ასი სიტყვის შესწავლა მჭირდებოდა, სწორედ პროფესიულ ჟარგონს ვგულისხმობდი, თორემ ინგლისურად, რასაკვირველია, მეტი ვიცი“.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A



# პრანდელიმ დაუწერელი კანონი დაარღვია

## ჩეზარე ნაპოლის გულშემატკივრობს

მას შემდეგ, რაც „მადონინაში“ „მილანმა“ „ინტერი“ გაანადგურა და მთელი ხუთი ქულით ჩამოიტოვა თანაქალაქელი, იტალიაში უკვე აღარ სჯერათ, რომ ლეონარდოს გუნდს სკუდეტოსთვის ბრძოლა შეუძლია. „როსონერის“ ერთადერთ კონკურენტად „ნაპოლი“ მიიჩნევა, გუნდი, რომელიც მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება ლიდერს და მაღალი დონის ფეხბურთს სტაბილურად თამაშობს. გასულ ტურში, ნეაპოლელებმა ფანტასტიკური მატჩი მოიგეს „ლაციოსთან“ და საბრძოლო განწყობა კიდევ უფრო აიმაღლეს. შეგახსენებთ, რომ შეხვედრა 4:3 დასრულდა მასპინძელთა სასარგებლოდ - არადა, სტუმრები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ და თითქოს თამაშსაც სრულად აკონტროლებდნენ. ასეთი დრამატული მატჩის მოგების შემდეგ, ძალიან ბევრი ალაპარაკდა იმაზე, რომ ნეაპოლელებს შესწევთ სკუდეტოს მოპოვების ძალა და მეტიც, ფავორიტებიც კი არიან ამ ბრძოლაში. სწორედ ამ მოსაზრებას იზიარებს იტალიის ეროვნული ნაკრების თავკაცი, **ჩეზარე პრანდელი:**

*„ვფიქრობ, რომ სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტი „ნაპოლია“ და ამ სიტყვებს ჰაერზე ნამდვილად არ ვამბობ - ბოლო ტურებში სწორედ ნეაპოლელები აჩვენებენ საუკეთესო თამაშს და იგრძნობა, რომ კიდევ უფრო შეუძლიათ მომატება. საერთოდ, ძალიან მომწონს ეს გუნდი და რა დასამალია, ვგულშემატკივრობ კიდეც. მომწონს ტაქტიკა-სტრატეგია, რომელსაც ვალტერ მაძარი ირჩევს, შემადგენლობა და ის არანორმალური ატმოსფერო, რომელიც „სან პაოლოს“ სტადიონზე სუფევს. გამომდინარე აქედან, სწორედ სამხრეთელებს ვქომაგობ და იმედია, ჩემპიონებიც გახდებიან“.*

როგორც წესი, ეროვნული ნაკრების მწვრთნელები თავს იკავებენ ამა თუ იმ გუნდის მიმართ სიმპათიების გამოხატვისგან, მაგრამ ჩეზარე პრანდელიმ ეს დაუწერელი კანონი დაარღვია: *„არ მესმის, რატომ უნდა დავმალო ვის ვგულშემატკივრობ ამა თუ იმ თამაშში და გნებავთ, მთლიანად ტურნირზე... არასდროს მავიწყდება, რომ იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვარ და მხოლოდ იმათ ვიძახებ შემადგენლობაში, ვინც კონკრეტული მომენტისთვის საუკეთესო ფორმაშია. როდესაც ვამბობ, რომ „ნაპოლის“ ჩემპიონობა უფრო გამახარებს, ვიდრე „მილანის“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებში ფავორიტი გუნდიდან მივიწვევ ფეხბურთელებს. საკუთარი თავის მტერი ნამდვილად არ ვარ და შემადგენლობასაც იმის მიხედვით ვარჩევ, ვინ უკეთ თამაშობს ფეხბურთს და ვინ ჯდება ჩემს ტაქტიკურ მონახაზში“.*

პრანდელიმ მაძარის შესახებ ისაუბრა ვრცლად და შემდეგი განაცხადა: *„ვალტერი გენიალური სპეციალისტია და ამაში ტურიდან ტურამდე ვრწმუნდები. კარგად გრძნობს თამაშის პულსს და იცის, რა დროს რა ცვლილებას უნდა მიმართოს. არასდროს ეშლება შემადგენლობის თუ ტაქტიკა-სტრატეგიის შერჩევა. მოკლედ, მისი მისამართით კარგის მეტი არაფერი მეთქმის. ჩემი პირადი აზრია, რომ ის ისეთივე მნიშვნელოვანია „ნაპოლისთვის“, როგორც თავის დროზე დიეგო მარადონა იყო - განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დიეგო ფეხბურთელი იყო, ვალტერი კი მწვრთნელია“.*

„ნაპოლის“ შანსებთან დაკავშირებით, მოსაზრება გამოთქვა **ანტონიო კარეკამ**, ფეხბურთელმა, რომელიც 90-იან წლებში ასპარეზობდა სამხრეთულ კლუბში და **დიეგო მარადონასთან** ერთად, სკუდეტოც მოუგია. აი, რას ფიქრობს კარეკა: *„მთავარია ირწმუნონ ნეაპოლელებმა და ასეთ შემთხვევაში, სკუდეტოს მოგებაც შესაძლებელია. რწმენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ამას ჩემი პირადი გამოცდილებიდან ვამბობ - მახსოვს, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში თითოეულ ფეხბურთელს ემოციების მოზღვავება ჰქონდა და რომ არა საქმისადმი სწორი მიდგომა და საკუთარი თავის ხელში აყვანა, სკუდეტო ხელიდან გაგვექცეოდა. იმდროინდელი და ამჟამინდელი გუნდების შედარება? - ჩვენ სამი გამოკვეთილი თავდამსხმელით ვთამაშობდით და გაცილებით უფრო შემტევი გუნდი გვყავდა, ამიტომ ხშირად მეტოქეებს, უბრალოდ, ვანადგურებდით. მაძარიც სამი შემტევით თამაშობს, მაგრამ იქიდან მხოლოდ ერთი, ედინსონ კავანია გამოკვეთილი ფორვარდი. მარეკ ჰამშიკი და ესეკილ ლავეცი კი უკნიდან თამაშობენ და ნახევარდაცვას გვარიანად ეხმარებიან. განსაკუთრებით ლავეცი მომწონს, მაგრამ ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა აიღოს თამაში საკუთარ თავზე - ხშირად აქვს დასარტყმელი პოზიცია და მაინც პასის გაკეთებაზე ფიქრობს. არადა, კარგი დარტყმა აქვს და თუ უფრო ხშირად დაემუქრება მეტოქეთა კარს, მისთვისაც უკეთესი იქნება და მთელი გუნდისთვისაც“.*

გასაკვირი არ არის, რომ ნეიტრალურად განწყობილი გულშემატკივრების აბსოლუტური უმეტესობა „ნაპოლის“ გულშემატკივრობს. ეს ბუნებრივია, რადგან „მილანი“ მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული გრანდია, ობიექტურად უფრო ძლიერ გუნდად ითვლება, უმეტესობა კი, როგორც წესი, სწორედ სუსტს ქომაგობს - ასე უფრო საინტერესოა და ალბათ სამართლიანიც.

დავუბრუნდეთ პრანდელის განცხადებას მისი „ნაპოლისადმი“ სიმპათიების შესახებ და **ადრიანო გალიანის** მოვუსმინოთ, რომელიც ძალიან გაანაწყენა „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელის კომენტარმა: *„უკვე დავურეკე ფედერკალჩოს პრეზიდენტს და ჩემი აზრი პირადად მოვახსენე - არა მგონია, სწორი იყოს, როდესაც ეროვნული ნაკრების თავკაცი ამა თუ იმ გუნდს სიყვარულში უტყდება. ამან შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს ფეხბურთელებზე, რომლებიც „აძურას“ კანდიდატები არიან და ყველანაირად ცდილობენ, რომ ჩეზარეს თავი მოაწონონ. ჯანკარლო აბეტემ გაიზიარა ჩემი მოსაზრება და პირობა მომცა, რომ ამ თემაზე პრანდელის აუცილებლად დაელაპარაკება“.*

მართალია, უმეტესობამ „ინტერი“ უკვე ჩამოწერა სასკუდეტო მარათონიდან, მაგრამ ასე კატეგორიულად ლაპარაკი არა გვგონია, რომ სწორი იყოს. ლეონარდოს გუნდი მესამე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და ხუთი ქულით ჩამორჩება „მილანს“, სამით კი „ნაპოლის“. ბოლოს, დარჩენილი შეხვედრების კალენდარს გადავხედოთ...

**XXXII ტური**

ფიორენტინა-მილანი
ბოლონია-ნაპოლი
ინტერი-კიევო

**XXXIII**

მილანი-სამპდორია
ნაპოლი-უდინეზე
პარმა-ინტერი

**XXXIV**

ბრეშა-მილანი
პალერმო-ნაპოლი
ინტერი-ლაციო

**XXXV**

მილანი-ბოლონია
ნაპოლი-ჯენოა
ჩეზენა-ინტერი

**XXXVI**

რომა-მილანი
ლეჩე-ნაპოლი
ინტერი-ფიორენტინა

**XXXVII**

მილანი-კალიარი
ნაპოლი-ინტერი

**XXXVIII**

უდინეზე-მილანი
იუვენტუსი-ნაპოლი
ინტერი-კატანია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 31 | 19 | 8 | 4 | 54-22 | 65 |
| 2. ნაპოლი | 31 | 19 | 5 | 7 | 50-30 | 62 |
| 3. ინტერი | 31 | 18 | 6 | 7 | 56-35 | 60 |

**ლაშა ნიკლაური**

● პალერმო

# ძამპარინიმ დი ბენედეტოს რჩევა მისცა

მას შემდეგ, რაც "რომას" მფლობელი ოფიციალურად გახდა **ტომას დი ბენედეტო**, არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ თუ ვის გადაიბირებს ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში იტალიური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი. "გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომაელთა მთავარი სამიზნე, "პალერმოს" შემტევი ნახევარმცველი **ხავიერ პასტორე** იქნება. არგენტინელი პლეიმეიქერი სიცილიური გუნდის ლიდერი, მთავარი დამრტყმელი ძალაა და ბუნებრივია, რომ ასეთი ხმები გუნდის გულშემატკივრებს ძალიან არ სიამოვნებთ. აღშფოთებულია "პალერმოს" პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** და კიდევ ერთხელ ამბობს, რომ ხავიერი ხელშეუხებელია:

*"ძალიან მიკვირს, როდესაც პრესაში პასტორეს "რომაში" შესაძლო გადაბარგების შესახებ ვკითხულობ. მეტიც, გაბრაზებული ვარ, რადგან ასეთი საუბრების საბაბი არავისთვის მიმიცია. ჯერ ერთი, დედაქალაქიდან არავინ შემხმიანებია და მეორე, პასტორეს გაყიდვა აზრადაც არ მომსვლია. არგენტინელი ხელშეუხებელია და მინდა, რომ ეს დი ბენედეტომ კარგად იცოდეს. ძალიან კარგია, რომ ამხელა ინვესტიციას აბანდებს ფეხბურთში, მაგრამ ვურჩევდი, რომ საზღვრებს გარედან მოიყვანოს ძლიერი ფეხბურთელები და ამით, კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახადოს კალჩო. პასტორე შეუფასებელია, ის არ იყიდება და მოლაპარაკების დაწყებასაც არავითარი აზრი არ აქვს".*

**ლაშა ნიკლაური**

● პრობლემა

# პრემიერლიგამ გამორიცხა

ინგლისური პრემიერლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა **რიჩარდ სკადამორმა** გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ მისმა ორგანიზაციამ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შეამციროს. ამასთან, მან მოუწოდა ფიფასა და უეფას, რათა მათ განტვირთონ საერთაშორისო კალენდარი იმისთვის, რომ გუნდებს ზამთარში უფრო ხანგრძლივი პაუზის აღება შეეძლოთ. როდესაც პრემიერლიგა იქმნებოდა, ის განსაზღვრული იყო, როგორც ტურნირი 18 გუნდისთვის, თუმცა 1991/92 წლების სეზონიდან მასში 22 გუნდიც კი ასპარეზობდა. ახლანდელ ფორმატზე კი ჩემპიონატი 1995/96 წლების სეზონში გადავიდა. სკადამორის თქმით, მას ესმის, რომ შიდა კალენდარი ინგლისში ძალიან მძიმეა, რაც ხშირად იწვევს ფეხბურთელების გადაღლასა და მათ ტრავმიანობას, თუმცა ამის გათვალისწინებითაც კი, ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირებაზე ფიქრითაც არავინ ფიქრობს. *"მთავარი დამნაშავეები, ვისი მიზეზითაც კალენდარი ფეხბურთელებისთვის უკვე აუტანელია, ფიფა და უეფა არიან, - განაცხადა მან ინგლისის პარლამენტის სპორტისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას. – უეფას 13 დღე აქვს თავის კალენდარში (იგულისხმება ჩემპიონთა ლიგა, სადაც გუნდი მაქსიმუმ 13 მატჩს ატარებს. რედ), ახლა მათ კიდევ მეტი მოინდომეს და 21 დღის დაბევება უნდათ. ფიფას ადრე 9 ან 10 საერთაშორისო დღე ჰქონდა. დღეს კი საშუალოდ კლუბები 12 სანაკრებო თამაშისთვის ათავისუფლებენ თავის ფეხბურთელებს. ფაქტია, რომ ვიღაცა უნდა წავიდეს დათმობაზე და ეს ჩვენ ვერ ვიქნებით, რადგან 2 გუნდის მოკლებაც კი წელიწადში მატჩების რაოდენობის 380-დან 306-მდე შემცირებას ნიშნავს".*



რიჩარდ სკადამორი

● ამბები

## ლილმა სტადიონი გაავსო

"ლილი" საფრანგეთის ლიგა 1-ის სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად უდგას სათავეში. უკანასკნელი საშინაო დაპირისპირება ჩრდილოეთ საფრანგეთის მკვიდრებს 29 მაისს "რენის" წინააღმდეგ უწევთ. თუკი დღევანდელი სტატუს-კვო შენარჩუნდა, გუნდს ჩემპიონობის განაღდება სწორედ აღნიშნულ შეხვედრაში შეეძლება. „ლილი" ამჟამად 18-ათასიან "ვილნევ დ'ასკეზე" ასპარეზობს. მომავალი წლიდან კი ის 50-ათასიან "გრან სტადზე" გადაბარგებას გეგმავს.

## ტიგანა და კარასო რჩებიან

"ბორდოს" პრეზიდენტმა **ჟან-ლუი ტრიომ** დაადასტურა, რომ კლუბის მმართველებს **ჟან ტიგანას** მიმართ ნდობის ვოტუმი არ ამოწურვიათ და არ აპირებენ ზეგამოცდილი სპეციალისტის გუნდიდან გაშვებას. ჟირონდელები ამჟამად ცხრილში მე-8 ადგილზე არიან და დიდი შანსია, მომავალი სეზონისთვის ევროტურნირების გარეშე დარჩნენ.

"ბორდოს" მეკარე **სედრიკ კარასომ** ბოლო მოუღო სპეკულაციებს იმის შესახებ, რომ თითქოს მას გუნდიდან წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდეს. ეს ფეხბურთელი "შაბან დელმაზე" 2009 წელს გადავიდა სათამაშოდ და მაშინვე განაცხადა, რომ სურდა იქ რაც შეიძლებოდა დიდხანს დარჩენილიყო. *"მერე რა, რომ ეს სეზონი წარუმატებელია? ეს სამომავლოდ მეტი მუშაობისკენ მიბიძგებს. მინდა, რომ რაც შეიძლება მალე გადავფურცლოთ ისტორიის ეს გვერდი,"* – თქვა კარასომ.

## გიანი უკან საფრანგეთში?

"ლიონს" "სანდერლენდის" განელი თავდამსხმელის, 25 წლის **ასამოა გიანის** შეძენა უნდა. შეგახსენებთ, რომ აფრიკელი 2008/10 წლებში საფრანგეთში, კონკრეტულად კი "რენში" საკმაოდ კარგად ასპარეზობდა. მისი ტრანსფერი ინგლისელებს 13 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. "ლიონი" კი მზადაა, ფეხბურთელში 10 მილიონი გაიღოს და პლუს ერთი ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებებიც დათმოს.

## კოკა-კოლამ რუნის უგანა

ამერიკული გიგანტი "კოკა-კოლა" **უეინ რუნისთან** თანამშრომლობაზე უარს აცხადებს, ეს კომპანიის წარმომადგენლებმა უკვე დაადასტურეს. მათი თქმით, ამისთვის უკვე მრავალი მიზეზი დაგროვდა და ფეხბურთელის იმიჯი უკვე იმდენად შელახულია, რომ მისი სარეკლამო სახედ გამოყენება უკვე აღარ არის მომგებიანი. შარშან, როცა უეინის მეუღლე **კოლინი** ფეხმძიმედ იყო, პრესამ მას მეუღლის ღალატში დასდო ბრალი და ეს ფაქტი მოგვიანებით დადასტურდა კიდეც, რის გამოც რუნიმ ბოდიში მოიხადა. მაშინ ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ფეხბურთელთან თანამშრომლობას გააგრძელებდნენ. თუმცა ამას სხვა სკანდალები მოჰყვა. ალბათ იცით, რომ რუნი რამდენჯერმე საჯაროდ დააფიქსირეს, როცა სიგარეტს ეწეოდა, შემდეგ კი მთლად უარესი მოხდა და პაპარაცმა ის მაშინ "დაიჭირა", როცა ნასვამი შუა ქუჩაში იკმაყოფილებდა ბუნებრივ მოთხოვნილებას. ყოველივე ამან და ბოლო ტურში "ვესტ ჰემთან" ჰეთთრიკის შემდეგ კამერაში საჯაროდ გინებამ, ეტყობა, "კოკა-კოლას" ბოსების მოთმინებას წერტილი დაუსვა.

## იუვე მონტოლივოს უახლოვდება

ტურინის "იუვენტუსი" "ფიორენტინასგან" ცენტრალური ნახევარმცველის **რიკარდო მონტოლივოს** შეძენას გეგმავს. როგორც "ტუტუმერკატო" გვამცნობს, მხარეები უკვე დასხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან. ტურინელთა ხელმძღვანელობა რიკარდოში **ალბერტო აკვილანის** შემცვლელს ეძებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს სამშობლოში დარჩენა უნდა, "ლივერპული" ფეხბურთელის იჯარით გაშვებას მომავალ სეზონში უკვე აღარ აპირებს. მონტილივო 18 მილიონ ევროდ არის შეფასებული, თუმცა "იუვეში" იმედი აქვთ, რომ ფლორენციელები ნაკლებ თანხასაც დასჯერდებიან.

## ზეედორფი კორინთიანსში?

ცოტა უცნაური იდეა მოუვიდათ ბრაზილიური "კორინთიანსის" ხელმძღვანელებს. მათ "მილანის" 35 წლის ნახევარმცველის **კლარენს ზეედორფის** გადაბირება სურთ. ზაფხულზე ჰოლანდიელს "როსონერისთან" კონტრაქტი ეწურება და "მილანი" მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას აღარ აპირებს. "კორინთიანსის" მხრიდან მოლაპარაკებათა პროცესში **რონალდო** მონაწილეობს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს კლარენსის გადაწყვეტილებაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზეედორფის მეუღლე ბრაზილიელია და ფეხბურთელი დასასვენებლად ამ ქვეყანას ხშირად სტუმრობს ხოლმე. "გლობე ესპორტეს" ცნობით, ლეგენდარული ბრაზილიელი რონალდო "მილანის" ბაზაზე მეგობარსა და ყოფილ თანაგუნდელს უკვე შეხვდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. კლაუსურა. VIII ტურის მიმოხილვა


ხუან რიკელმე „ესტუდიანტესის" კარში გატანილ საჯარიმოს ზეიმობს

# ისევ ის რიკელმე

## ესტუდიანტესის ფეხბურთელი მძიმე მდგომარეობაშია

**ხიმნასია-ინდეპენდიენტე 1:2**

**გოლები:** 1:0 მასუერო (18), 1:1 სილვერა (54), 1:2 პელერანო (90)
**გაძევება:** მატეუ (56. ინდეპენდიენტე)

**ბანფილდი-არხენტინოსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ნიელი (31), 0:2 ბოგადო (79)

**ოლიმპო-ველესი 1:2**

**გოლები:** 0:1 რ. ალვარესი (1), 1:1 როლე (39-პენ), 1:2 პაპა (51)

**ნიუელსი-არსენალი 2:2**

**გოლები:** 0:1 ლეგისამონი (26), 0:2 ობოლო (29), 1:2 კობელი (46), 2:2 ალმირონი (53)
**გაძევება:** სპერდუტი (79. ნიუელსი)

**რასინგი-ტიგრე 1:2**

**გოლები:** 0:1 მარიანო პერნია (23), 0:2 სტრაკვალურსი (51), 1:2 იაკობი (76)
**გაძევება:** ლიხტი (43), ფარინა (85)

**გოდოი კრუსი-ურაკანი 3:1**

**გოლები:** 1:0 ნავარო (4), 1:1 კამპორა (6), 2:1 ნავარო (15), 3:1 სალინასი (39-პენ)

**კილმესი-რივერი 0:1**

**გოლი:** 0:1 ფერარი (13)

**სან ლორენსო-კოლონი 1:2**

**გოლები:** 0:1 აკოსტა (19), 0:2 აკოსტა (35), 1:2 კარმონა (90)
**გაძევება:** ლედესმა (58)

**ბოკა-ესტუდიანტესი 2:1**

**გოლები:** 0:1 რ. ლოპესი (7), 1:1 რიკელმე (15), 2:1 ვიატრი (89)

**ოლ ბოისი-ლანუსი 0:0**

### ტურის მოვლენები

კლაუსურას მე-8 ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ „ბოკა ხუნიორსისა" და „ესტუდიანტესის" დაპირისპირება იყო. „ბოკამ" კლუბის დაარსებიდან 106 წლისთავი 2:1 გამარჯვებით აღნიშნა. სხვათა შორის, უკვე სამი წელიწადია, რაც ის ვერ ახერხებდა „სტუდენტების" დამარცხებას და როგორც იქნა, 7-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყდა.

„რივერ პლეიტი" ქულებით დაეწია „ესტუდიანტესს", თუმცა კლაუსურას პოტენციური ლიდერი „ველეს სარსფილდია", რომელსაც თამაშით ნაკლები აქვს გამართული და დაწინაურებულებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. „ველესი" მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია, ზედიზედ 4 მატჩი მოიგო.

■ ■ ■

„რასინგი" კი კვლავ აგებს. თუკი „ესტუდიანტესთან" და „ლანუსთან" მარცხს რაღაც გამართლება ჰქონდა, სუსტ „ტიგრესთან" წაგება უკვე მეტისმეტია. არადა, „რასინგი" ცუდად არ თამაშობდა, უბრალოდ, ბურთს არა და არ სურდა სტუმართა კარში შესვლა. შეგახსენებთ, რომ სეზონის წინ „რასინგი" კლაუსურას მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, ესეც არგენტინის ჩემპიონატის დამახასიათებელია - ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაპროგნოზირებადია.

მოგეხსენებათ, არგენტინაში გავარდნა-დარჩენა მხოლოდ ერთი სეზონის შედეგების მიხედვით არ ხდება. ასე რომ, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია - მე-7 ადგილზე მყოფი „ოლიმპო" დარჩენა-გავარდნის ცხრილში მე-17 ადგილზეა და თუ არ გაიუმჯობესა მდგომარეობა, სეზონის ბოლოს გადათამაშებაში მოუწევს მონაწილეობა.

**რობერტო პომპეიმ** პირველად წააგო, როგორც „ურაკანის" მწვრთნელმა.

### ტურის ციფრები

შედეგიანობა კარგია - 26 გოლი 10 მატჩში (2,6 გოლი საშუალოდ ერთ შეხვედრაში), მეტი გოლი სტუმრებმა გაიტანეს - 15:11.

სხვათა შორის, ჩემპიონატში ჯერ ჰეთ თრიკი არ დაფიქსირებულა, ტურში დუბლით თავი ორმა ფეხბურთელმა გამოიჩინა. სხვათა შორის, არც **ალვარო ნავარო** „გოდოი კრუსიდან" და არც **ლუკას აკოსტა** „კოლონიდან" არ ითვლებიან თავიანთ კლუბებში სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელებად. ჩემპიონატში ჯერ არ წაუგია მატჩი „არხენტინოს ხუნიორსს", ხოლო „კილმესს" არ მოუგია.

### ტურის მატჩი

**ბოკა vs ესტუდიანტესი**

სანახაობრივი თვალსაზრისით, ეს თამაში „სან ლორენსოსა" და „კოლონის" შეხვედრას აშკარად ჩამორჩებოდა, შეიძლება - სხვასაც, მაგრამ „ბომბონერაზე" მაინც განსაკუთრებული ატმოსფერო იყო.

„ბოკა ხუნიორსი", შეიძლება, ვერ გამოირჩევა კარგი შედეგებით, მაგრამ კლასით არგენტინაში ბევრს სჯობს, ყველას თუ არა. თანაც, გუნდის ლიდერი **ხუან რომან რიკელმე** შესანიშნავ ფორმაშია. 32 წლის ნახევარმცველი დიდებული ფეხბურთელია მან ეს „სტუდენტებთან" მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცა. რიკელმეს, ზედიზედ ორი ტურია, საჯარიმო დარტყმით გააქვს გოლები. თანაც, მან ისე უნაკლოდ შეასრულა დარტყმა, რომ **აგუსტინ ორიონს** გუნდის გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. ამ თამაშში კარგად გამოჩნდა, რომ 24 წლის **ლუკას ვიატრი** ბევრად სჯობს მარტი პალერმოს და დროა, ვეტერანს სათადარიგოთა სკამზე მიუჩინონ ადგილი.

ხუან რიკელმე: *„როცა იმარჯვებ, მშვიდდები. ახლა ჩვენ უნდა ვიფიქროთ თითოეულ მატჩზე. გუნდს ჯერ კიდევ ბევრ ასპექტში აქვს მოსამატებელი. მეტოქეს „კოპა ლიბერტადორესზე" მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა, მიუხედავად ამისა, ჩვენ არაფერი დაგვითმო. ძალიან დაძაბული შეხვედრა იყო და მატჩის მიწურულს ცოტა გაგვიმართლა კიდეც. როცა საჯარიმოს ვურტყამ, ყოველთვის მჯერა, რომ გოლს შევაგდებ. ასე რომ არ იყოს, აუცილებლად სხვას დავუთმობდი ბურთს".*

ცუდი ამბავი შეემთხვა „ესტუდიანტესის" 19 წლის ნახევარმცველ **მაიკლ ოიოსს** - თამაშის წინაღამით მან ლა პლატაში ავტომობილი ვერ დაიმორჩილა და ხეს შეეჯახა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა მძიმე დაზიანებები მიიღო და გონებაც დაკარგა. საბედნიეროდ, კლინიკაში ის გონს მოვიდა, ექიმები მის მდგომარეობას მძიმეს, მაგრამ სტაბილურს უწოდებენ. ოიოსი ამერიკაშია დაბადებული, თუმცა არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრების წევრია. ამ სეზონში მან 7 თამაშში 1 გოლი გაიტანა.

### ტურის გმირი

ლუკას აკოსტა (კოლონი)

23 წლის ნახევარმცველი ერთ დროს ძალზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, 2008 წელს მას „კოლონის" 10-ნომრიანი მაისურაც გადასცეს, თუმცა აკოსტას პროგრესის ნაცვლად რეგრესი დაეწყო. ეს სეზონი კი მისთვის დიდებულად დაიწყო, „სან ლორენსოს" კარში **ლუკასმა** ორი გოლი გაიტანა, ორივე - თავით.

### ტურის ულოგიკობა

„რასინგმა", „სან ლორენსომ" და „ხიმნასიამ" კარგად ითამაშეს, აჯობეს მეტოქეებს, მაგრამ სამივემ წააგო, თანაც ერთნაირი ანგარიშით - 1:2.

### ტურის გოლები

**ხუან რომან რიკელმეს** („ბოკა") გოლი „ესტუდიანტესის" კარში.

**ლუკას ვიატრის** („ბოკა") თავური გოლი „ესტუდიანტესის" კარში.

**პაულო ფერარის** („რივერი") გოლი შესანიშნავი კომბინაციის შემდეგ „კილმესის" კარში.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტუდიანტესი | 8 | 5 | 0 | 3 | 10-5 | 15 |
| 2. რივერი | 8 | 4 | 3 | 1 | 8-4 | 15 |
| 3. გოდოი კრუსი | 8 | 4 | 2 | 2 | 17-12 | 14 |
| 4. ველესი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-7 | 14 |
| 5. არხენტინოსი | 8 | 3 | 5 | 0 | 7-2 | 14 |
| 6. სან ლორენსო | 7 | 4 | 1 | 2 | 10-5 | 13 |
| 7. ოლიმპო | 8 | 4 | 1 | 3 | 15-12 | 13 |
| 8. კოლონი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-12 | 13 |
| 9. რასინგი | 8 | 4 | 0 | 4 | 13-12 | 12 |
| 10. ბანფილდი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-10 | 12 |
| 11. ლანუსი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-9 | 11 |
| 12. ტიგრე | 8 | 3 | 2 | 3 | 9-10 | 11 |
| 13. ინდეპენდ. | 8 | 2 | 4 | 2 | 10-9 | 10 |
| 14. ურაკანი | 8 | 2 | 4 | 2 | 12-13 | 10 |
| 15. ბოკა | 8 | 3 | 1 | 4 | 5-9 | 10 |
| 16. არსენალი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 9 |
| 17. ხიმნასია | 8 | 2 | 2 | 4 | 8-12 | 8 |
| 18. ნიუელსი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-17 | 5 |
| 19. ოლ ბოისი | 8 | 1 | 2 | 5 | 2-11 | 5 |
| 20. კილმესი | 8 | 0 | 2 | 6 | 4-11 | 2 |

**ბომბარდირები:** 6 - ხავიერ კამპორა (ურაკანი), დენის სტრაკვალურსი (ტიგრე); 5 - ხუან ანხელ ნეირა (ხიმნასია), ესეკიელ მაჯოლო (ოლიმპო), ტეოფილო გუტიერესი (რასინგი), ესტებან ფუერტესი (კოლონი); 4 - ალვარო ნავარო (გოდოი), დიეგო ვალერი (ლანუსი).

**მომდევნო ტური**

**8 აპრილი: ესტუდიანტესი-სან ლორენსო, ინდეპენდიენტე-გოდოი კრუსი.**

**9 აპრილი: კოლონი-ოლიმპო, არსენალი-კილმესი, ურაკანი-რასინგი, რივერი-ბანფილდი.**

**10 აპრილი: არხენტინოსი-ხიმნასია, ტიგრე-ოლ ბოისი, ველესი-ნიუელსი, ლანუსი-ბოკა.**

● ალმერია

# გადაარჩენს ბასკი ალმერიას?

პრიმერადივიზიონის მაჩანჩალა „ალმერიამ" ახალი მწვრთნელი დანიშნა, ის ბასკი სპეციალისტი **რობერტო ოლაბეა**. ამ სეზონის დაწყებიდან ლა ლიგაში 8 მწვრთნელი გაათავისუფლეს და აქედან ორი „ალმერიაში". რაც გასაკვირი სულაც არ არის, ანდალუსიური კლუბი 26 ქულით ცხრილის ბოლო ადგილზეა. „ალმერიას" მხსნელ, მე-17 ადგილამდე 4 ქულა აშორებს. არადა, სულ 8 ტურიღა დარჩა, მათ შორის ვიზიტი „კამპ ნოუზე" - შაბათს აუტსაიდერი ლიდერს ეწვევა, რომელთანაც შინ 0:8 წააგო.

**ხოსე ლუის ოლტრა** ბილბაოს „ატლეტიკთან" ორშაბათის მატჩს შეეწირა, რომელიც „ალმერიამ" მშობლიურ „მედიტერანეოზე" 1:3 წააგო. მეორე დილით, ოლტრამ ვარჯიში, რომ ჩაამთავრა, მასთან კლუბის ხელმძღვანელები მივიდნენ და უთხრეს, შეეძლო შინ წასულიყო.

ანდალუსიელები უმწვრთნელოდ დღეზე მეტი არ დარჩენილან, გუშინ რობერტო ოლაბე ამ სეზონში „ალმერიას" მესამე მთავარი მწვრთნელი გახდა. აგვისტოდან ნოემბრამდე ეს მძიმე ჭაპანი **ხუან მანუელ ლილომ** ზიდა, ნოემბრიდან დღემდე - ოლტრამ. გუნდი საშინლად ასპარეზობს მიუხედავად იმისა, რომ შემტევ სტილს არ ღალატობს და კარში პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, ბრაზილიელი **დიეგო ალვეში ჰყავს**. „ალმერიას" ერთადერთი გამონათება ესპანეთის თასის ნახევარფინალში გასვლა იყო, რაც ამ არცთუ დიდი ტრადიციების გუნდის (1988 წელს არის დაარსებული) ყველაზე დიდი მიღწევაა.

43 წლის ოლაბემ პირველი ვარჯიში გუშინ ჩაატარა, მედიას კი დღეს წარუდგენენ. ბასკი მხოლოდ სეზონის ბოლომდე უთავკაცებს „ალმერიას". სხვათა შორის, ის აქამდე კლუბის სპორტული დირექტორი იყო და კარგად იცნობს შიდა სამზარეულოს. ყოფილ მეკარეს 2005 წლის შემდეგ მწვრთნელად არ უმუშავია (მანამდე „რეალ სოსიედადს" და „ეიბარს" წვრთნიდა). ოლაბემ ასისტენტად **მიკელ ანტია** აიყვანა.

**2010/11 წლების სეზონის სამწვრთნელო ცვლილებები**

| თარიღი | გათავისუფლებული | კლუბი | დანიშნული |
|---|---|---|---|
| 26 სექტ. | ანტონიო ალვარესი | სევილია | გრეგორიო მანსანო |
| 2 ნოემბ. | ჟეზუალდო ფერეირა | მალაგა | მანუელ პელეგრინი |
| 17 ნოემბ. | ხოსე აურელიო გაი | სარაგოსა | ხავიერ აგირე |
| 20 ნოემბ. | ხუანმა ლილო | ალმერია | ხოსე ლუის ოლტრა |
| 7 თებერ. | მიგელ ანხელ პორტუგალი | რასინგი | მარსელინო |
| 14 თებერ. | ხოსე ანტონიო კამაჩო | ოსასუნა | ხოსე ლუის მენდილიბარი |
| 20 მარტი | ესტებან ვიგო | ერკულესი | მიროსლავ ჯუკიჩი |
| 5 აპრილი | ხოსე ლუის ოლტრა | ალმერია | რობერტო ოლაბე |


რობერტო ოლაბემ მწვრთნელობა უნდა გაიხსენოს

**ალმერიას სტატისტიკა ამ სეზონში**

**მეკარე:** დიეგო ალვეში (30 თამაში)

**მცველები:** კარლოს გარსია (27, 1 გოლი), მიშელ მასედო (24), მარსელო სილვა (16, 1), აკასიეტე (16), იაკობსენი (16), ლუნა (6), ლილო (2), პელერანო (2), რიგო (1).

**ნახევარმცველები:** მბამი (28, 1), კრუსატი (27, 3), ბერნარდელო (26, 1), კორონა (22, 1), ხუანმა ორტისი (19), ვარგასი (17, 1), ვალერი (9), ფეგული (8, 2), ხუანიტო (4), ნიეტო (1).

**თავდამსხმელები:** პიატი (28, 7), ულოა (28, 7), კალუ უჩე (25, 5), გოიტომი (22, 1), ხოსე ორტისი (12).

● ამბები

## ფარინოსის გარეშე

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ერკულესს" „ესპანიოლთან" მატჩში არ ეყოლება გამოცდილი ნახევარმცველი და კაპიტანი **ხავიერ ფარინოსი**, რომელმაც „რეალ სოსიედადთან" მატჩში ბარძაყი იტკინა. *„ჯერჯერობით ვერ გეტყვით შევძლებ თუ არა მომავალი ტურისთვის გამოჯანმრთელებას, ალბათ არა. თუმცა მთავარი ისაა, რომ გუნდმა სტუმრად თამაშის კომპლექსი დასძლია. სამწვრთნელო ცვლილება აშკარად მოგვიხდა, გუნდში სულ სხვა განწყობაა, თუმცა დამსახურებას არც ყოფილ თავკაც ესტებან ვიგოს ვუკარგავ"*, - განუცხადა „მარკას" 33 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ყველას „ვალენსიაში" და „ინტერში" თამაშით გვახსოვს. ფარინოსს ესპანეთის ნაკრებში 2 მატჩი აქვს ნათამაშები.

## სევილიამ კანუტე დაკარგა და ტროხოვსკი იპოვა

ამ სეზონში „სევილიას" მთავარი პრობლემა ტრავმებია. ანდალუსიურმა კლუბმა ამჯერად ფორვარდი **ფრედერიკ კანუტე** დაკარგა, რომელიც ორ-სამ ტურს გამოტოვებს. მალელმა ტრავმა კვირას „სარაგოსასთან" მატჩში მიიღო. ექიმთა დასკვნით, გამორიცხულია, ბარძაყნატკენმა კანუტემ „მალიორკასთან" და „ხეტაფესთან" მატჩებში ითამაშოს. **გრეგორიო მანსანოს** განკარგულებაში ერთადერთი ჯანმრთელი ფორვარდია - **ალვარო ნეგრედო**. მწვრთნელმა მას შეიძლება 20 წლის **როდრი** შეუწყვილოს, ან ხორვატი **ივან რაკიტიჩი** წასწიოს წინ.

„ჰამბურგის" ნახევარმცველ **პიოტრ ტროხოვსკის** აგენტმა დაადასტურა, რომ მისი კლიენტი „სევილიაში" გადადის. ასე რომ, მართალი ყოფილა „მარკა", რომელიც ჯერ კიდევ გასულ კვირაში იუწყებოდა მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. ტროხოვსკი ანდალუსიურ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. გერმანიის ნაკრების 27 წლის ფეხბურთელს ივნისის ბოლოს უსრულდება კონტრაქტი „ჰამბურგთან" და ის „სევილიას" უსასყიდლოდ ერგება.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# შალკეს მაგიური საღამო ჯუზეპე მეაცაზე

## სად გაქრა კბილებითა და ფრჩხილებით მებრძოლი ინტერი? ლეონარდოს ნუ ჰკითხავთ! ეს მარტო მოურინიომ იცის...

1997 წლის 21 მაისის გახსენებისას, „შალკეს“ გულშემატკივრებს თმები დღემდე ყალყზე უდგებათ. იმ დღეს, გელზენკირხენულმა კლუბმა, უეფას თასის ფინალში მილანის „ინტერი“ დაამარცხა (4:1 პენალტების სერიაში) და სწორედ მაშინ „დაიბადა“ ტერმინი Euro Fighter, რომელიც მხოლოდ „შალკესთან“ მიმართებაში იხმარება. 1997 წელს „შალკეს“ ფეხბურთელები **იოჰან დე კოკი, მარკ ვილმოტსი, ინგო ანდერბრიუგე** და სხვები უკვდავნი გახდნენ.

2011 წლის 5 აპრილი, ისევ მილანი, ისევ „ჯუზეპე მეაცა“ და ამჯერად ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ მატჩში განადგურებული „ინტერი“, რომელიც ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის მოქმედი გამარჯვებულია - უკვე საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ „შალკეს“ დღევანდელი ფეხბურთელებიც უკვდავები გახდნენ. გუშინწინ, „შალკეს“ ისტორია, ლეგენდარულ **რაულთან** ერთად, ყველასათვის უცნობმა ფეხბურთელებმა დაწერეს – **ჯოელ მატიპი, კირიაკოს პაპადოპულოსი, ედუ**... უეფას თასის მოგებიდან 14 წლის შემდეგ, „შალკეს“ ახალი Euro Fighter-ები ჰყავს.

5:2 მილანში – ეს ისეთი შედეგია, რომელიც მინიმალურ ეჭვსაც კი აღარ ტოვებს, რომ „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავა და ეს სასწაულია. არადა, „ნერაძური“ პირველივე წუთზე დაწინაურდა და მართალია, მერე მატიპმა წონასწორობა აღადგინა, მაგრამ 34-ე წუთზე „ინტერი“ **დიეგო მილიტოს** გოლით ისევ წინ გავიდა. და რომელი სულიერი იფიქრებდა, რომ „შალკე“ „ინტერს“ კიდევ 4 გოლს გაუტანდა?

თამამად უნდა ვთქვათ, რომ 13 აპრილს დაგეგმილი საპასუხო მატჩი ფორმალობაა – გელზენკირხენში პირველიდან ბოლო წუთამდე მხოლოდ უდიდესი ზეიმი იქნება.

### მატჩის წინ

შეხვედრის წინ ვწერდით, რომ „შალკეს“ ახალი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** მილანში შემტევი ფეხბურთის თამაშს აპირებდა, რადგან იცოდა, რომ „ნერაძურის“ წელს დაცვაში ძალიან უჭირს. ასეც მოხდა: „პროფესორმა რალფმა“ ტრავმირებული საყრდენი **პეერ კლუგე მანუელ ხურადოთი** შეცვალა, რის გამოც, ისე გამოვიდა, რომ აუტსაიდერად მიჩნეულ „შალკეს“ „ჯუზეპე მეაცაზე“ ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი შემტევი ფეხბურთელი (**რაული, ედუ, ფარფანი, ბაუმიოჰანი** და ხურადო) და მხოლოდ ერთი ტიპური საყრდენი (პაპადოპულოსი) ჰყავდა. დაცვის ცენტრში, ტრავმირებული **მეტცელდერი** ახალგაზრდა მატიპმა შეცვალა, რომელიც ზოგადად ნახევარდაცვაში თამაშობს ხოლმე.

**1/4 ფინალი. პირველი მატჩი**

**ინტერი (იტალია) 2:5 შალკე (გერმანია)**

5 აპრილი. მილანი. ჯუზეპე მეაცა. 80 000 მაყურებელი

**ინტერი (4-3-1-2)**: ჟულიო სეზარი – მაიკონი, რანოკია, კივუ, ძანეტი – სტანკოვიჩი (24. ხარჯა – 62. კორდობა), მოტა (76. ნაგატომო), კამბიასო – სნეიდერი – ეტოო, მილიტო.

**შალკე (4-4-2)**: ნოიერი – სარპეი, უჩიდა, ჰიოვედესი, პაპადოპულოსი – ბაუმიოჰანი (76. შმიცი), ხურადო (83. დრაქსლერი), მატიპი, ფარფანი – რაული (87. კარიმი), ედუ.

**გოლები**: 1:0 სტანკოვიჩი (1), 1:1 მატიპი (17), 2:1 მილიტო (34), 2:2 ედუ (40), 2:3 რაული (53), 2:4 რანოკია (57-საკ. კარში), 2:5 ედუ (75).

**გაძევება:** კივუ (62).

**არბიტრი:** ატკინსონი (ინგლისი)



„ინტერის“ სასტარტოში კი, 0:3-ზე წაგებული მილანური დერბისგან განსხვავებით, ორი ცვლილება ვიხილეთ: **პანდევისა** და **პაცინის** ნაცვლად, **ლეონარდომ** ძირითადში **სტანკოვიჩი** და მილიტო გაამწესა, დისკვალიფიცირებული **ლუსიოს** ნაცვლად კი, დაცვის ცენტრში, **რანოკიას** მხარდამხარ **კივუ** ათამაშა.

### ანალიზი

თამაში საკმაოდ სწრაფ ტემპში და ტაქტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად უდისციპლინოდ დაიწყო. „ინტერმაც“ და „შალკემაც“, მეტოქის დაზვერვაზე, ფრთხილ სტარტზე ან დაცვით ფეხბურთზე უარი თქვეს, თავიდანვე შეტევებზე გადავიდნენ და პირველივე წუთზე გატანილმა გოლმა (სტანკოვიჩმა **ნოიერის** მოგერიებული ბურთი, „შალკეს“ მეკარეს ლამის მოედნის ცენტრიდან თავზე გადაუგდო) „ინტერი“ წინ გაიყვანა.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ „შალკეს“ კონცენტრაცია არც სტანკოვიჩის გოლმა დააკარგვინა, არც მილიტოს გოლმა და არც იმ მომენტებმა, მილანელებს მეორე ტაიმის დასაწყისში რომ შეექმნათ. სხვა დროს ზანტი და არამებრძოლი ფეხბურთელები, **ხურადო** და **ბაუმიოჰანიც** კი ძალიან თავდაჯერებულები იყვნენ, ორთაბრძოლებზეც ვაჟკაცურად მიდიოდნენ და რაც მთავარია, იგებდნენ! საოცარია ისიც, რომ „შალკეს“ ოდნავადაც არ დაეტყო უკანა ხაზში ორი მთავარი ფიგურის, მეტცელდერისა და კლუგეს არყოფნა. პაპადოპულოსი და მატიპი იდეალურად გამოიყურებოდნენ.

მილანური გრანდი კი წარმოუდგენლად აჭრილი და არეულ-დარეული იყო. „ნერაძურის“ ფეხბურთელები ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ, გუნდურობა პირველიდან ბოლო წუთამდე დაკარგული ჰქონდათ. ლეონარდოს შეგირდები პირველ წუთებში კიდევ ახერხებდნენ ძალიან სახიფათო კომბინაციების გათამაშებას, მერე კი მაგრად აირივნენ და მეორე ტაიმში მხოლოდ ინდივიდუალურად ცდილობდნენ „შალკეს“ კართან ხიფათის შექმნას. საბოლოოდ 2:5, რაც „ინტერის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო, საეჭვო და ისეთი მარცხია, **მასიმო მორატიმ** დიდხანს რომ უნდა იმტვრიოს თავი იმაზე ფიქრით, თუ რატომ მოხდა ასე.

### გამოხმაურება

„შალკეს მაგიური საღამო“ - მეორე დღეს გერმანული პრესა სწორედ ასეთი სათაურებით იყო გადაჭედილი. თვითონ შალკელებიც აღიარებენ, რომ მატჩის შედეგი არც ერთ ლოგიკას არ ექვემდებარება, თვითონ შალკელებსაც არ სჯეროდათ, რომ „ინტერი“ „ჯუზეპე მეაცაზე“ 5:2 დაამარცხეს. დაძაბულ ბრძოლაში „ინტერის“ დამარცხებას გელზენკირხენელები სულ სხვანაირად, გაცილებით ემოციურად იზეიმებდნენ, სამშაბათს კი, საფინალო სასტვენის შემდეგ მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს „შალკემ“ ბუნდესლიგის ერთი, არაფრით გამორჩეული შეხვედრა მოიგო. „ინტერის“ კარში გოლები იმდენად მარტივად გავიდა, რომ რანგნიკის შეგირდები ჩვეულებრივად ხარობდნენ. სად იყო ის „ინტერი“, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინ კბილებითა და ფრჩხილებით ებრძოდა გრანდიოზულ „ბარსელონას“? ამ კითხვაზე პასუხი ალბათ მხოლოდ **ჟოზე მოურინიოს** ექნება...

რაც უნდა პათეტიკურად და ბანალურად ჟღერდეს, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ ეს იყო ერთ-ერთი დიდი სენსაცია ჩემპიონთა ლიგისა და ზოგადად ევროტურნირების ისტორიაში – განუმეორებელი საღამო „შალკესთვის“, რომლის შესახებაც გელზენკირხენში 10, მეტიც, 20 წლის შემდეგაც ისაუბრებენ და ერთ-ერთი ყველაზე შავი ლაქა „ნერაძურის“ ისტორიაში. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რანგნიკმა თქვა, ფეხბურთელებს ჯერ კიდევ არ ესმით, რამდენად დიდი სენსაცია გამოაცხვესო.

თუმცა ეს მაინც არ იყო პირველი შემთხვევა, როცა გერმანულმა კლუბმა ევროტურნირზე სასწაულებრივი გამარჯვება იზეიმა. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მოგვიანებით ანულირებული 7:1 ასევე „ინტერის“ წინააღმდეგ (1971 წელი); „კაიზერსლაუტერნის“ 5:0 მადრიდის „რეალთან“ (1982); „ვერდერის“ 6:2 მოსკოვის „სპარტაკთან“ (1987); „კარლსრუეს“ 7:0 „ვალენსიასთან“ (1993) და ყველაზე ახალი, „ბაიერნის“ 4:1 ტურინში, „იუვენტუსთან“ (2009). მაგრამ „შალკე“ პირველია იმ მხრივ, რომ ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული მისსავე მოედანზე 5:2 გაანადგურა. იტალიის მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი აქამდე არასდროს დამარცხებულა ასე სამარცხვინოდ გუნდთან, რომელიც კლასით მასზე მინიმუმ ორჯერ სუსტია.

*„ჯერ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რა მოხდა დღეს საღამოს. პირადად მე, ბედნიერი მხოლოდ მაშინ ვიქნები, როცა საპასუხო მატჩი დამთავრდება და ოფიციალური ნახევარფინალისტები ვიქნებით. მანამდე კი, „ვოლფსბურგთან“ ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს,“* - თქვა მატჩის შემდეგ რანგნიკმა.

მანუელ ნოიერი: *„ასეთ შედეგზე ვერც ვიოცნებებდით. მარტო კმაყოფილი კი არა, უბედნიერესი ვარ.“*

რაული: *„მეორე ტაიმში „ინტერი“ ყველაფერში დავჯაბნეთ. ცალი ფეხით ნახევარფინალში ვართ, მაგრამ მხოლოდ ცალი ფეხით.“*

„ინტერის“ თავკაც ლეონარდოს კი, თამაშის შემდეგ, ლაპარაკი უჭირდა: *„ყველაფერი კარგად დაიწყო და როცა სტანკოვიჩმა ანგარიში გახსნა, ვირწმუნე, რომ ამ თამაშს მოვიგებდით. ყველაფერი ის, რაც მერე და განსაკუთრებით მეორე ტაიმში მოხდა, ჩემთვის აუხსნელი და გაუგებარია. საშინელი, ამაზრზენი კვირა გვქონდა. შოკში ვარ...“*

### TOP ფეხბურთელი

რაული (შალკე)

ვეტერანმა ესპანელმა გოლეადორმა კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი ჩამოწერა არ შეიძლება. როცა „ინტერი“ ორჯერ დაწინაურდა, აბსოლუტურად ყველა შალკელი რაულს მისჩერებოდა, გონსალეს ბლანკო კი თითოეული თანაგუნდელისთვის სამაგალითო იყო. ხოლო ის ფაქტი, რომ „შალკე“ წინ სწორედ რაულმა გაიყვანა, პირველიდან ბოლო წუთამდე ნალვაწის მნიშვნელოვანი დაგვირგვინება გახლდათ.

### FLOP ფეხბურთელი

კრისტიან კივუ (ინტერი)

რუმინელი მცველი „ნერაძურის“ საშინელი თამაშის სახე იყო. ის, რაც კივუმ ედუს პირველი გოლის დროს გააკეთა, ძალიან სუსტ მცველსაც კი არ ეკადრება, 62-ე წუთზე კი წითელი ბარათიც აუფრიალეს.

### მსაჯი

უამრავი პატარა თუ დიდი ფოლი, დაძაბული ატმოსფერო და თამაშგარის ზღვარზე მოთამაშე თავდამსხმელები - **მარტინ ატკინსონს** ბევრი საქმე ჰქონდა, მაგრამ მისი გადაწყვეტილებების უმრავლესობა მართებული გახლდათ. ოფსაიდის შეფასებისას რეალურად მხოლოდ ერთხელ შეცდა, როცა მეორე ტაიმში მილიტოზე თამაშგარე დააფიქსირა.

*P.S. რა სამწუხაროა, რომ* ***ლევან ყენია*** *ტრავმირებულია...*

# რეალი იქაა და ბარსას ელის!

**1/4 ფინალი. პირველი მატჩი**

**რეალი (ესპანეთი) 4:0 ტოტენჰემი (ინგლისი)**

5 აპრილი. მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ. 70 000 მაყურებელი

**რეალი (4-2-3-1)**: კასილიასი – სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, მარსელო – ჩაბი ალონსო, ხედირა (61. დიარა) – დი მარია (77. კაკა), იოზილი, რონალდო – ადებაიორი (75. იგუაინი).

**ტოტენჰემი (4-4-1-1)**: გომეში – ჩორლუკა (80. ბასონგი), გალასი, დოუსონი, ასუ-ეკოტო – ჯენასი, სანდრო, მოდრიჩი, ბეილი – ვან დერ ვაარტი (46. დეფო) - კრაუჩი.

**გოლები**: 1:0 ადებაიორი (5), 2:0 ადებაიორი (57), 3:0 დი მარია (72), 4:0 რონალდო (87).

**გაძევება:** კრაუჩი (15).

**მსაჯი**: ფელიქს ბრიხი

**ადებაიორის დუბლი, ანხელ დი მარიას საოცნებო და კრიშტიანო რონალდოს რეგულარული გოლები, კაცნაკლული, უიმედო „ტოტენჰემი“ და „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტაბლოზე დაფიქსირებული, „სამეფო გუნდისთვის“ საამაყო ანგარიში 4:0 – საპასუხო მატჩი ფორმალობაა, „რეალი“ ნახევარფინალშია! შეგვეძლო, მიმოხილვა აქვე დაგვესრულებინა...**

### მატჩის წინ

როგორც მოსალოდნელი იყო, **ჟოზე მოურინიომ** რონალდო მაინც ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და ბოლომდეც ათამაშა. „რეალის“ ერთადერთი ცენტრფორვარდი კი ადებაიორი გახლდათ, რადგან **ბენზემა** ვერ თამაშობდა, **იგუაინი** კი ჯერ არ არის კარგ ფორმაში.

„ტოტენჰემის“ თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** დაცვითი ტაქტიკა აირჩია. მას არ ჰყავდა **ბენტი**, სამაგიეროდ, თამაშობდა **გარეთ ბეილი**, ნახევარდაცვის ცენტრში კი, **მოდრიჩის** გვერდით, **სანდრო** ვიხილეთ. ერთადერთი ცენტრფორვარდის, **პიტერ კრაუჩის** უკან **რაფაელ ვან დერ ვაარტი** მოქმედებდა – არ გამართლდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ რედნაპი **პავლიუჩენკოსაც** სასტარტოში ათამაშებდა.

### ანალიზი

„ტოტენჰემის“ მიზანი პირველივე წუთზე ნათელი გახდა: ინგლისელების უპირველესი სურვილი საკუთარი კარისკენ მიმავალი გზების მაგრად გადაკეტვა იყო. „ტოტენჰემი“ შეტევაში წასვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში დააპირებდა, თუკი „ოდესმე“ კონტრშეტევის შანსი გაუჩნდებოდა. ინგლისური კლუბის კარიდან 40 მეტრში, მადრიდელები ბურთს აბსოლუტურად თავისუფლად აკონტროლებდნენ და მხოლოდ მაშინ ხვდებოდნენ წინააღმდეგობას, თუკი ამ 40-მეტრიან ბარიერს გადაკვეთავდნენ.

შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ რედნაპმა ჭკვიანური ტაქტიკა აირჩია და ამას ისიც დაემატა, რომ „რეალის“ სწრაფმა გოლმა „ტოტენჰემის“ გეგმები თავიდანვე ჩაშალა, მერე კი, კრაუჩის უაზრო საქციელმა ინგლისელები საერთოდ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო და ცხადი გახდა, რომ თუ მადრიდელები მოინდომებდნენ, „ტოტენჰემს“ შავი დღე დაადგებოდა. საქმეც მაგაშია, რომ მოინდომეს და საწადელსაც მიაღწიეს.

კრაუჩის გაგდებამ „ტოტენჰემს“ კიდევ უფრო ღრმა დაცვაში ჩაჯდომა აიძულა, მაგრამ მოურინიოს შეგირდებმა უფრო მედგრად არ შეუტიეს, რამაც რედნაპის გუნდს რამდენიმე საინტერესო იერიშის განხორციელების საშუალება მისცა. ამრიგად, „ტოტენჰემს“ თავიდან მართლა შეეძლო „რეალის“ დასჯა – ინგლისელთაგან განსაკუთრებით **ბეილი** აქტიურობდა, რომელიც **სერხიო რამოსმა** ვერა და ვერ გააუვნებლა.

როგორც ჩანს, შესვენებაზე მოურინიომ შეგირდებს შემოუძახა, რადგან მეორე ტაიმში უკვე გაცილებით აგრესიული და შემტევი „რეალი“ ვნახეთ. თუმცა ჟოზეს ბიჭები ზედმეტ რისკზე მაინც არ მიდიოდნენ. ადებაიორის მეორე გოლი ფაქტობრივად არაფრისგან გავიდა, „რეალმა“ კი მასირებულ იერიშებს კვლავ კარგად გაკონტროლებული შეტევები ამჯობინა. მერე იყო ანხელ დი მარიას ულამაზესი გოლი, რომელმაც მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა, ხოლო კრიშტიანო რონალდოს გოლმა კი, რომლის წყალობითაც ანგარიში 4:0 გახდა, საერთოდ ამ წყვილს გამოუტანა განაჩენი: „ტოტენჰემს“ საპასუხო მატჩისთვის მინიმალური შანსიც აღარ აქვს, „რეალი“ ნახევარფინალშია.

### TOP ფეხბურთელი

ემანუელ ადებაიორი (რეალი)

ვფიქრობთ, ბენზემას თამაში რომც შესძლებოდა, მოურინიო „ტოტენჰემთან“ მაინც ადებაიორს ათამაშებდა, რადგან ინგლისური კლუბების წინააღმდეგ სწორედ ემანუელია მისწრება. გარდა იმისა, რომ დუბლი შეასრულა, ადებაიორს „ტოტენჰემის“ მცველები მუდმივად უმძიმესი წნეხის ქვეშ ჰყავდა მოქცეული.

### FLOP ფეხბურთელი

პიტერ კრაუჩი (ტოტენჰემი)

ბურთთან მხოლოდ ოთხი შეხება, ერთი დარტყმა, ორი ფოლი და ეს ყველაფერი არ არის. როგორ შეიძლება, რომ თავდამსხმელი, რომელსაც უკვე მიღებული აქვს ერთი გაფრთხილება, მეტოქის საჯარიმოში ორთაბრძოლისას ისე სულელურად მოიქცეს, როგორც კრაუჩი მოიქცა, აუხსნელია და ეს სამუდამოდ პიტერის საიდუმლო იქნება...

### მსაჯი

გერმანელმა **ფელიქს ბრიხმა** არც მეტი, არც ნაკლები, ნორმალურად იმსაჯა. კრაუჩის გაგდება მას უფრო ადრეც შეეძლო, დოუსონს რომ ბურთი ხელზე მოხვდა და პენალტი არ დანიშნა, ესეც სამართლიანი გადაწყვეტილება გახლდათ, აი, სერხიო რამოსმა ბეილის წინააღმდეგ რომ მაგრად იუხეშა, დოქტორ ბრიხს „რეალის“ მცველი მკაცრად უნდა დაესაჯა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

1/4 ფინალი. პირველი მატჩები

## 1/4 ფინალი. პირველი მატჩი

**ჩელსი (ინგლისი) 0:1 მანჩესტერი (ინგლისი)**

6 აპრილი. ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი. 39 000 მაყურებელი

**ჩელსი:** ჩეხი – ბოსინგვა (ობი მიკელი 78), ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი, ჟირკოვი (მალუდა 70) – დროგბა (ანელკა 71), ტორესი.

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი – რაფაელი (ნანი 51), ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა – ქერიკი, გიგზი, ჯი სუნ პარკი (სმოლინგი 90), ვალენსია – ერნანდესი (ბერბატოვი 78), რუნი.

გოლი: რუნი 0:1 (24)

| | სტატისტიკა | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: მანჩესტერ იუნაიტედი | |
| | პირველი კუთხური: მანჩესტერ იუნაიტედი | |
| | პირველი ჯარიმა: მანჩესტერ იუნაიტედი | |
| | პირველი გაფრთხილება: ჩელსი | |
| 16 (7) | დარტყმა | 9 (3) |
| 15 | ჯარიმა | 15 |
| 3 | კუთხური | 5 |
| 4 | გაფრთხილება | 2 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

**არბიტრი:** ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)



ერთადერთი გოლი უეინ რუნიმ (№10) გაიტანა

## 1/4 ფინალი. პირველი მატჩი

**ბარსელონა (ესპანეთი) 5:1 შახტარი (უკრაინა)**

6 აპრილი. ბარსელონა. კამპ ნოუ. 95 000 მაყურებელი

**ბარსელონა:** ვალდესი – დანი ალვეში, პიკე, ადრიანო (მაქსველი 77) ბუსკეტსი – მასკერანო, ჩავი, ს. კეიტა, ინიესტა (აფელაი 90) – მესი, ვილია (პედრო 71).

**შახტარი:** პიატოვი – სრნა, იშენკო, რაცი, რაკიცკი – ვილიანი (ტეიშეირა 75), ჰიუბშმანი (ედუარდო 83), კოსტა, ჟადსონი (ფერნანდინიო 70) – მხითარიანი, ლუის ადრიანო.

**გოლები:** 1:0 ინიესტა (2), 2:0 დანი ალვეში (34), 3:0 პიკე (53), 3:1 რაკიცკი (60), 4:1 კეიტა (61), 5:1 ჩავი (86)

| | სტატისტიკა | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: შახტარი | |
| | პირველი კუთხური: ბარსელონა | |
| | პირველი ჯარიმა: შახტარი | |
| | პირველი გაფრთხილება: ბარსელონა | |
| 17 (10) | დარტყმა | 6 (2) |
| 9 | ჯარიმა | 20 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 64% | ბურთის ფლობა | 36% |

**არბიტრი:** კრეიგ ალექსანდერ ტომსონი (შოტლანდია)



დანი ალვეშს გააქვს მეორე გოლი შახტარის კარში

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# კლასიკოს ლიგაზე წყალი აღარ გაუვა

## ლიგის მარტოსული ინტრიგა

გუშინაც ასე იყო, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტებმა ბევრი და ლამაზი გოლი გაიტანეს. დღევანდელის ჩათვლით 4 შეხვედრაში 18 გოლი გავიდა, რაც ამ ტურნირის არსებობის ისტორიაში აღნიშნულ ეტაპზე სარეკორდო მაჩვენებელია. დაფიქსირდა რამდენიმე საინტერესო მიღწევა: **უეინ რუნიმ** "მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულ თავდამსხმელ სერ **ბობი ჩარლტონს** გაუთანაბრა ევროთასებზე გატანილი გოლების რაოდენობით. "შრეკის" ანგარიშზე ახლა უკვე 23 გოლია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რუნიმ ზედიზედ მეხუთედ გაიტანა ლიგის ამ ეტაპზე, რითიც **ანდრეი შევჩენკოს** მიღწევა გაიმეორა. სერ **ალექს ფერგიუსონს** თავის გუნდთან ერთად ცხრა წელი იყო "სტემფორდ ბრიჯზე" არ ემარჯვა და ფერგი რისი ფერგი იქნებოდა, ამ დანავსული სერიისთვისაც არ მოეღო ბოლო? თუკი რუნი თავის მიღწევებს სიამოვნებით მოუყვება შთამომავლობას, არ გვგონია, რომ "ჩელსიში" რიგით მე-500 მატჩი კარგად გაიხსენოს **ფრენკ ლემპარდმა**. ეს ყველაფერი მხოლოდ მშრალი სტატისტიკაა... რაც შეეხება მომხდარის შეფასებას - არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ პირველი მატჩების შემდეგ ოთხიდან სამ წყვილში ინტრიგა ფაქტობრივად აღარ არსებობს. ერთადერთი, ვისაც გასარკვევი ჯერ კიდევ ბევრი დარჩა, ეს "ჩელსი"-"მანიუს" წყვილზე ითქმის.

"სტემფორდ ბრიჯზე" მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე-2 წუთზე **ფერნანდო ტორესი** სტუმართა საჯარიმოში წაიქცა - აშკარა იყო, რომ **რიო ფერდინანდმა** ზუსტად ითამაშა. "ჩელსი" ინიციატივას პირველი 12-15 წუთი ფლობდა, თუმცა მალე სტუმრებმა ბურთი ხელთ იგდეს და ამისი შედეგი მალევე ვნახეთ: **ქერიკის** გამოზომილი გადაცემის შემდეგ **რაიან გიგზმა** ბურთი საჯარიმოში შეაგდო. **ხავიერ ერნანდესი** სიტუაციაში მშვენივრად გაერკვა, ვინც ბურთი რუნისკენ გაატარა და ამ უკანასკნელმა **პეტრ ჩეხისგან** შორეულ მარცხენა კუთხეში დაარტყა - 0:1. ბუნებრივია, თამაშის დასრულებამდე "ჩელსის" უამრავი მცდელობა ჰქონდა გოლის გასატანად, მათ შორის თითქმის ასპროცენტიანიც, მაგრამ ხან **ვან დერ სარი** ირჯებოდა შესანიშნავად, ხან კი ცარიელი კარიდან ბურთი **პატრის ევრას** გამოჰქონდა. განსაკუთრებით გაძლიერდა სტუმრებზე ზეწოლა მატჩის მიწურულს, მაგრამ "მანიუმ" გაძლო და ფეხბურთის გულშემატკივარს ლიგის მარტოსული ინტრიგა დაუტოვა.

და რა შეიძლება ითქვას "ბარსელონაზე"? ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი ორიწლისწინანდელი მიღწევების გამეორებასთან ძალიან ახლოს დგას. ჩემპიონატში ყველაფერი რიგზე აქვს, თასის ფინალში გასულია, რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, უკვე თამამად ვიტყვით, რომ შემდგომ ეტაპზე კატალონიელებს "რეალი" ელოდებათ. ვფიქრობთ, სუპერკლასიკოების მთელი სერიით ნეიტრალური გულშემატკივარი უფრო მეტად დატკბება, ვიდრე "ბარსა"-"შახტარის" ცალკარას ყურებით...

**ლევან ბიბილაშვილი**

● ევროპის ლიგა. 1/4 ფინალები.

ბიბლიოთეკა

# პორტუ: რიგში მეორე ტიტულია

## ითამაშებს ანანიძე პორტუგალიაში?

**დღეს, 23:05**

**ბენფიკა (პორტუგალია) VS ეინდჰოვენი (ჰოლანდია)**

სავარაუდო შემადგენლობები

**ბენფიკა:** რობერტო - მაქსი პერეირა, ლუიზაო, სიდნეი, კოენტრაო - სალვიო, ხავი გარსია, აიმარი, გაიტანი - სავიოლა, კარდოსო.

**პსვ:** ისაკსონი - მანოლევი, მარსელო, ბოუმა, პიეტერსი - ჰატჩისონი, ბაკალი, ენგელაარი - ლენსი, ბერგი, ჯუჯაკი.

**დღეს, 23:05**

**დინამო (უკრაინა) VS ბრაგა (პორტუგალია)**

სავარაუდო შემადგენლობები

**დინამო** შოვკოვსკი - სილვა, იუსუფი, ალმეიდა, პოპოვი - ვუკოევიჩი - ერიომენკო, ჰუსევი, იარმოლენკო - შევჩენკო, მილევსკი.

**ბრაგა** არტური - პაულაო, გარსია, კაკა, სილვიო - უგო ვიანა, ვანდინიო, სალინო - პაულო სესარი, ალანი, ლიმა.



ჯანო ანანიძე პორტუგალიაში

**დღეს, 23:05**

**პორტუ (პორტუგალია) VS სპარტაკი (რუსეთი)**

სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუ:** ჰელტონი - ფუსილე, როლანდო, ოტამენდი, ფერეირა - გუარინი, ფერნანდო, მოუტინიო - ვალერა, ჰალკი, ფალკაო.

**სპარტაკი:** დიკანი - მაკეევი, სუხი, შეშუკოვი, კ. კომბაროვი - მაკგიდი, იბსონი, კარიოკა, დ. კომბაროვი - ალექსი - ველიტონი.

**დღეს, 23:05**

**ვილიარეალი (ესპანეთი) VS ტვენტე (ჰოლანდია)**

სავარაუდო შემადგენლობები

**ვილიარეალი:** დ. ლოპესი - მარიო, გონსალო, მუსაჩიო, კატალა - ბ. ვალერო, მარჩენა, ბრუნო, კასორლა - ნილმარი, როსი.

**ტვენტე** : მიჰაილოვი - როსალესი, ვიზგერჰოფი, დუგლასი, ბუიზე - ბრამა, ლანდზაატი, იანსენი; რუისი, დე იონგი, ჩადლი.

სამი პორტუგალიური, ორიც ჰოლანდიური კლუბი ცდილობს უეფას თასის მემკვიდრის, ევროპის ლიგის მე-2 გათამაშების მოგებას. ევროპის საკლუბო გრანდი ქვეყნებიდან (ესპანეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია) მხოლოდ ერთი წარმომადგენელია დარჩენილი - „ვილიარეალი". სამაგიეროდ, თითო მონაწილე ჯერ კიდევ შერჩათ რუსებსა და უკრაინელებს. ბოლოს კი ჩვენთვის ყველაზე საამაყო დეტალს დავამატებთ - ლიგის მოგების კანდიდატთა შორის ერთი ქართველია - **ჯანო ანანიძე**.

ჯანოს, მოგეხსენებათ, ტრავმა აწუხებდა, რის გამოც მან საქართველოს ნაკრებისა და „სპარტაკის" 2-2 თამაში გამოტოვა, თუმცა **ვალერი კარპინმა** ქართველი პორტუგალიაში წაიყვანა. ახლახან გამოჯანმრთელებული ქართველი იმ 20 ფეხბურთელს შორის მოხვდა, რომელთაგანაც მწვრთნელი „პორტუსთან" მატჩში 11 სასტარტოსა და 7 სათადარიგოს შეარჩევს. გუშინ რუსებმა პორტუში პირველად ივარჯიშეს. ჯანომ სრული დატვირთვით ივარჯიშა, ჩვენ მას თავიდან სათადარიგოთა სკამზე ვვარაუდობთ.

„პორტუმ" ახლახან გაიფორმა ჩემპიონობა, მას შემდეგ, რაც უშუალო დაპირისპირებაში აჯობა ერთადერთ კონკურენტ „ბენფიკას". „პორტუს" 33 წლის მწვრთნელი **ანდრე ვილას-ბოასი** ჯერჯერობით დაუმარცხებელია შინაურ პირველობაზე: *„ბენფიკას" და „სპარტაკს" ერთმანეთს ვერ შევადარებ, სხვადასხვა სტილის გუნდებია. ჩვენი მომავალი მეტოქის რამდენიმე მატჩი ვნახე და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ „სპარტაკი" საკმაოდ სერიოზული გუნდია. ძალიან სახიფათოა მათი სწრაფი ფორვარდი ველიტონი, მით უფრო, როცა რუსული გუნდი კონტრშეტევებზე თამაშობს. ჩვენ რაც შეგვეხება, ჩემპიონობით მოპოვებული ემოცია უკვე წარსულს ჩავაბარეთ და ბრძოლისთვის მზად ვართ".*

ვილას-ბოასმა განაცხადიდან გამოიყვანა მცველი **კრისტიან საპუნარუ**, მის ნაცვლად ალბათ **ვალტერი** ითამაშებს. მიზეზი უცნობია, ვფიქრობთ, საქმე მცირე უთანხმოებასთან გვაქვს: *„ჩვენ დავარწმუნეთ საპუნარო, რომ მის პოზიციაზე არანაკლები დონის ფეხბურთელი გვყავს"*, - განაცხადა ახალგაზრდა მწვრთნელმა.

**ვალერი კარპინი:** *„რა უნდა ვთქვა „პორტუზე"? ჩვენ ვეთამაშებით პორტუგალიის ჩემპიონს, მისსავე მოედანზე, გველის ძალიან ძნელი მატჩი. პორტუგალიელებს კარგი დაცვა და ძალიან ძლიერი შეტევა აქვთ, რომლის საკვანძო ფიგურა ფალკაოა".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ინტერვიუ რევაზ ლაშხთან

# გინდა ჩემპიონობა? მოინდომე




დორტმუნდში კვირას დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული ნაკრები კატასტროფული მარცხისგან ბორჯომელმა **რევაზ ლაშხმა (60)** იხსნა - ჩემპიონატის ბოლო დღეს გუნდს ერთადერთი მედალი მოუტანა. თანაც - ოქროსი, რაც ამ ნაკრებისთვის პირველია სამწლიანი პაუზის შემდეგ. არადა, ტურნირის დაწყებამდე მასზე ნაკლებად დებდნენ ფსონს, გუნდის ლიდერებად სხვები მოიაზრებოდნენ. თუმცა სწორედ მაშინ, როცა ის სხვები ერთმანეთის მიყოლებით აგებდნენ, ლაშხი ისეთ ძლიერ ფალავნებს ამარცხებდა, როგორიც ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, აზერბაიჯანელი **ჰასან ალიევი** და რუმინელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის მედალოსანი **ეუსებიო დიაკონუ** არიან. ლაშხის საჩემპიონო შანსები ამ წილისყრამ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა, მაგრამ მონდომებამ და თავდადებამ შედეგი გამოიღო. თვითონაც ამბობს, რომ ყველაზე ძნელი ნახევარფინალში ალიევთან შეხვედრა იყო და ეს არცაა გასაკვირი - აზერბაიჯანელმა შარშანწინ ახალგაზრდებში შეასრულა დუბლი, შარშან - უფროსებში. მას ორი სეზონის განმავლობაში უმთავრეს შეჯიბრებაზე შეხვედრა არ წაუგია, თუმცა ლაშხს ხეზე ასვლა პირადმა მწვრთნელმა **ოთარ ტატიშვილმა** ასწავლა, რომელიც შარშანწინ აზერბაიჯანის ნაკრებსაც წვრთნიდა. მართალია, მაშინ ალიევი ახალგაზრდებში გამოდიოდა, მაგრამ ეროვნულთანაც გადიოდა შეკრებებს, ტატიშვილმა კი ერთხელ ვარჯიშზე დაგვიანებისთვის დარბაზიდან გააგდო. ამჯერად მწვრთნელმა კონკრეტული დავალება მისცა შეგირდს - ალიევისთვის არ მიეცა თავისუფალი სივრცე, დისტანციიდან ჭიდაობის საშუალება, ეჭიდავა ახლო მანძილზე, მჭიდროდ და კონტაქტურად. ლაშხმა ეს დავალება პირნათლად შეასრულა და უძნელეს ბრძოლაში მოიპოვა ფინალის საგზური.

ან უკვე ევროპის ჩემპიონმა რევაზ ლაშხმა ჭიდაობაში ვარჯიში მშობლიურ ბორჯომში დაიწყო **გიორგი რაზმაძესთან.** მერე, როცა მისმა ნიჭმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელებამდე მიაღწია, სავარჯიშოდ თბილისში გადმოიყვანეს, სადაც რეზოს დაოსტატებას ხელი ტატიშვილმა მოჰკიდა. ლაშხს სპორტის სამინისტროში შევხვდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.

**- იქიდან გამომდინარე, რამდენად ძლიერ მეტოქეებს მოუგეთ, ალბათ, ძალიან ძნელი იქნებოდა ტურნირში გამარჯვება...**

- რა თქმა უნდა, რთული იყო, რადგან მართლაც ძლიერი მეტოქეები მყავდნენ - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. თუმცა ამ დონის შეჯიბრებაზე სუსტი მონინააღმდეგე არც არსებობს - ჭიდაობა უკვე ყველამ ისწავლა, მთელი ევროპა ჭიდაობს, წარმატების მოსაპოვებლად ყველაფერს აკეთებენ და გამარჯვება ყოველთვის ძნელია. აქედან გამომდინარე, ჩემპიონობა იოლი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ მონდომების ხარჯზე მაინც გავიმარჯვე.

**- ყველაზე ძნელი რომელი შეხვედრა იყო?**

- ნახევარფინალი აზერბაიჯანელ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ ჰასან ალიევთან. ამ შეხვედრაში ისეთი მომენტებიც იყო, როცა მსაჯებს შეხვედრის ბედის გადაწყვეტა მეტოქის სასარგებლოდ შეეძლოთ, მაგრამ მოვინდომე და არ დავანებე. ვიცოდი, არბიტრები თუ წაგვართმევდნენ, თორემ ჩვენ არაფერს მოგვცემდნენ, ამიტომ ყველაფერი გავაკეთე, მათთვის დაჩაგვრის საშუალება რომ არ მიმეცა.

**- ალბათ, ალიევთან შეხვედრაში ოთარ ტატიშვილის რჩევებიც ფრიად წაგადგებოდათ - ის ხომ კარგად იცნობს აზერბაიჯანელს...**

- ალიევთან შენახვედრი არ ვიყავი, მაგრამ როგორც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, წონის ლიდერი, მეც კარგად ვიცოდი, რას წარმოადგენდა და მწვრთნელებმაც. ტატიშვილმაც და მწვრთნელებმაც მითხრეს, რომ ახლო დისტანციიდან მეჭიდავა. თან მეც ძალიან მონდომებული ვიყავი მოსაგებად და გავიმარჯვე.

**- ალიევთან და რუმინელ დიაკონუსთან შედარებით, ფინალში ბულგარელი ივო ანგელოვი არც ისე ძლიერი მეტოქე იყო...**

- კენჭისყრამ მართლაც არ გამიმართლა - ძლიერი ჯგუფი მერგო, მეტი რთული არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ბულგარელი მათთან შედარებით მართლაც არ იყო იმდენად ძლიერი, თუმცა ყველა მეტოქე სათანადოდ უნდა შეაფასო. თუმცა, როცა ისეთი ბადე გავიარე და ისეთი კონკურენტები დავამარცხე, ფინალში ანგელოვთან არ უნდა გამჭირვებოდა. ვერც ვიტყვი, რომ დიდად გამიძნელდა.

**- საინტერესოა, ჩემპიონატზე რა გეგმით გაემგზავრეთ, ელოდით მოგებას?**

- კი, ნამდვილად ვგეგმავდი. იმაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ უმედლოდ არ დავბრუნდებოდი, მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი ჩემპიონობა იყო. საბედნიეროდ, დასახული მიზანი კიდეც ავასრულე.

**- როცა ამდენი წელიწადი შედეგს ვერ აღწევდით და იმედებს ვერ ამართლებდით, როგორ ფიქრობთ, დღეს ეს წარმატება რამ განაპირობა?**

- აქამდე ჩემგან მედალს მართლაც ელოდნენ... ამ გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, ახლანდელი წარმატება უფრო მონდომებამ განაპირობა. მთავარ პირობად ეს მიმაჩნია. ადრეც თითქოს ყველაფერს ვაკეთებდი მოსაგებად, მაგრამ, ეტყობა, მონდომება მაკლდა.

**- სავარჯიშო პროცესში, მზადების სისტემაში ხომ არ ყოფილა რაიმე რადიკალური სიახლე?**

- რადიკალური არა, მაგრამ გარკვეული ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად კი მიდიოდა მუშაობა. ამიტომ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მწვრთნელს - ოთარ ტატიშვილს, ბეგი დარჩიას, აკაკი ჩაჩუას, რომლებიც გვერდში მედგნენ ამ მინუსების აღმოსაფხვრელად.

**- წინ მსოფლიოს ჩემპიონატი და მისი შესარჩევ-მოსამზადებელი ტურნირებია, მერე - ოლიმპიადაც... მეტოქეებზე მეტ-ნაკლებად წარმოდგენაც გაქვთ, ეს წარმატება კი თავდაჯერებას მოგიტანდათ.**

- მთავარია, ჯანმრთელობა იყოს და მოგება ყველასთან შეიძლება, დაუმარცხებელი არავინაა. წონაც ხელს მიწყობს, თუმცა ოლიმპიადამდე არც ისე დიდი დროა და ამ პერიოდში წონის შეცვლა ან რაიმე მსგავსი მკვეთრი გადაწყვეტილება ისედაც გამორიცხულია. ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრად ძლიერი მეტოქეები იქნებიან - ახლანდელებს დაემატებიან აზიელები, კუბელები, სხვებიც. ევროპელთაგან ბევრის შემადგენლობაც უფრო ძლიერი იქნება, რადგან ახლა ბევრი ლიდერი ისვენებდა. თუმცა ვინც უნდა იყოს მეტოქე, ყველა შესაფასებელია. ვნახოთ, მსოფლიომდე ჯერ კიდევ საკმაო დროა.

**ირაკლი თავაძე**

პარაოლიმპიზმი

# ცურვამ მეორე სიცოცხლე დაუბრუნა

ეს იყო თერთმეტი წლის წინათ: ბიჭებმა მინდორში თამაშისას უცხო საგანი - დეფორმირებული საბრძოლო ნივთი იპოვეს, რომელიც **ნიკა თვაურს** ხელში აუფეთქდა. შედეგი სავალალო აღმოჩნდა: 16 წლის ყმაწვილმა, რომელიც მაშინ მორაგბეთა ახალგაზრდულ გუნდ „მარდში" თამაშობდა, მარჯვენა ხელის მტევანი და ორივე თვალის ჩინი დაკარგა. მრავალწლიანი სამედიცინო ჩარევა უშედეგო აღმოჩნდა - ნიკას მხედველობა ვერ დაუბრუნეს. კიდურებში დღემდე ჭურვის 16 ნამსხვრევს ატარებს. სხვა მის ადგილას ცხოვრებაზე ხელს ჩაიქნევდა. ნიკამ კი მშობლების, ახლობლებისა და მეგობრების თანადგომით მომავლის რწმენაც შეინარჩუნა და იუმორის გრძნობაც.

- ჩვეულებრივ ასეა მიღებული - თუ უსინათლო ხარ, შენთვის ყველაფერი დამთავრებულია, - მითხრა ნიკამ. - იმ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ კარგა ხანს მეც ასე ვფიქრობდი. მაგრამ მერე მივხვდი, რომ კარჩაკეტილობა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. უშედეგო ოპერაციების მიუხედავად, იმედი არ დამიკარგავს - ხან რას ვსაქმიანობდი, ხან რას. რუსული და ფრანგული ენები ვისწავლე, ახლა ინგლისურს ვმეცადინეობ. ჩემს სიძესთან - ცოტნე ტონიასთან ერთად სარაგბო მატჩებსაც ვესწრები. ვერ ვხედავ, მაგრამ ინტუიციით ვგრძნობ, რა მდგომარეობაა მოედანსა და ტრიბუნებზე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რამდენიმე წლის წინათ „ბორჯღალოსნებმა" რუსების დამარცხებით მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპის საგზური რომ მოიპოვეს. მერეც არაერთხელ გავუხარებივარ ჩვენი ბიჭების წარმატებას. ჩემი ყოფილი თანაგუნდელი სიმონ მაისურაძე ახლა საფრანგეთში თამაშობს. თბილისში ისე არ ჩამოვა, რომ არ მინახულოს, ჩვენი მორაგბეების საგმირო საქმეები არ მიამბოს.



**- ცისფერი ბილიკებისკენ გზა როგორ გაიკვლიე?**

- ერთხელ რადიოთი მოვისმინე - ხელფეხშეკრულმა ჰენრი კუპრაშვილმა დარდანელის სრუტე გადაცურაო. ქართველი კაცის ასეთმა გმირობამ გამაკვირვა და აღმაფრთოვანა კიდეც. გადავწყვიტე, კოლხური ცურვა მესწავლა. შარშან დედის დახმარებით ბატონ ჰენრის დავუკავშირდი. ჯერ ჩვეულებრივი ცურვა ვისწავლოთო, მითხრა. მერე „ლაგუნა ვერეს" დირექტორი ბატონი ვლადიმერ გოიაშვილი დაგვიდგა გვერდით. ამ ლვთისნიერმა კაცმა სრულიად უანგაროდ მომცა აუზით სარგებლობის უფლება. 10 წელიწადი ჩემთვის ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლებოდა, ამიტომ ახლობლები ჩემს აუზში ჩასვლას და პირველი მეტრების გაცურვას გულისფანცქალით ელოდნენ. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. კეთილი ადამიანების დახმარებითა და თანადგომით მალე გავიწაფე. ერთ წელიწადში იმდენი მოვახერხე, რომ დღეს 5 კილომეტრის გაცურვა თავისუფლად შემიძლია. საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ ცხოვრება გრძელდება, ჩემს არსებობას მეტი აზრი მიეცა. დიდი პაუზის შემდეგ აქტიურ სპორტულ ცხოვრებას დავუბრუნდი. ერთს ვნანობ მხოლოდ - რატომ ცოტა ადრე არ დავიწყე ცურვა.

საინტერესო ეპიზოდი მინდა გიამბოთ: შარშან ცურვის შესწავლის შემდეგ ერთი სული მქონდა, ზღვაში როდის მოვსინჯავდი ძალებს. ახლობლებთან ერთად ბათუმში გავემგზავრე. ზღვაში ღრმად შევცურე, ორიენტაცია დავკარგე. გვერდით არავინ მახლდა. ნაპირისკენ მობანავეთა ხმას გამოვყევი. მოულოდნელად ერთ ქალს დავეჯახე და წავაქციე. ვაი-უშველებელი დამაწია. მოვუბოდიშე - ვერ დაგინახეთ-მეთქი. კარგი ხუმარა ყოფილხარ, რომ ამხელა ქალი ვერ შემამჩნიეო. ქალბატონო, არ ვიცი, რამხელა ხართ, უსინათლო ვარ და ვერ გხედავთ-მეთქი, ვუპასუხე და გავშორდი. საამისო არაფერი გეტყობაო და ქოქოლაც მომაყოლა...

**- შევიტყვე, საასპარეზოდ გამგზავრება გადაგიწყვეტია.**

- დიახ, ანტალიაში ქალაქი ალანია უნარშეზღუდულთა მსოფლიოს პირველობას მასპინძლობს, სადაც 2012 წლის ლონდონის პარაოლიმპიური თამაშების ლიცენზიები გათამაშდება. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პირველ ლედის - ქალბატონ სანდრა რულოვსსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილს, რომლებმაც მორალური და მატერიალური დახმარება გამიწიეს ამ შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად და თურქეთში გასამგზავრებლად. ხელი გამიმართა კომპანია „ვისოლმაც". ანტალიაში სრულიად უსინათლოთა კატეგორიაში ვიასპარეზებ და ყოველმხრივ ვეცდები, 2012 წლის პარალიმპიური თამაშების ლიცენზია მოვიპოვო. ეს ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი სტიმული იქნება. მედიცინა ახლა სწრაფად ვითარდება და, ვინ იცის, იქნებ დადგეს ის დღეც, რომ ექიმებმა მხედველობა დამიბრუნონ. ასეთ ბედნიერებას თუ ვეღირსე, ცხოვრების თავიდან დაწყება არ მომიწევს...

თურქეთში გამგზავრებამდე ნიკა თვაურის მწვრთნელს **ჰენრი კუპრაშვილსაც** ვესაუბრე: *„არაერთხელ მითქვამს, მთავარია, კაცმა რწმენა და სიმტკიცე არ დაკარგოს, თორემ ხსნა თითქმის გამოუვალი მდგომარეობიდანაც მოიძებნება. ნიკა თვაური ოპტიმიზმით აღსავსე პიროვნებაა და ცხოვრებას არ ნებდება. ფიზიკური ნაკლის მიუხედავად, ცდილობს, ჯანსაღი ადამიანის ცხოვრებით იცხოვროს.*

*ცურვის შესასწავლად უამრავი პრობლემის გადალახვა მოგვიხდა. რომ შეიტყვეს, პარაოლიმპიური თამაშებისთვის ვემზადებოდით, კეთილი ადამიანები დაგვიდგნენ გვერდით. ალანიაში ნიკა ბრასით 50, 100 და 200 მეტრზე იასპარეზებს. კარგი ამინდი თუ იქნა, შესაძლოა, 5-კილომეტრიან მარათონშიც მიიღოს მონაწილეობა. საერთაშორისო ნორმატივით, 50 მეტრი 55 წამში უნდა გაცუროს, ჩემს შეგირდს კი ვარჯიშებზე 45 წამში აქვს ეს დისტანცია დაფარული, რაც გვაიმედებს ლონდონის საგზურის მოსაპოვებლად."*

**ვლადიმერ გოიაშვილი:** *„ამ ახალგაზრდა კაცის ოპტიმიზმმა და შემართებამ გამაოცა. თავს დატეხილი უბედურების მიუხედავად, ნიკამ სულის სიმხნევე შეინარჩუნა. ცურვამ მეორე სიცოცხლე დაუბრუნა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ჰენრი კუპრაშვილის ხელმძღვანელობით ის მიზანს მიაღწევს".*

ჰენრი კუპრაშვილი და ნიკა თვაური უკვე ანტალიაში არიან მსოფლიოს პირველობაზე, სადაც 10 აპრილამდე დარჩებიან.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# გორგოძე ისევ იგებს

**ეკა გორგოძე** (554) კვლავ წარმატებით ასპარეზობს ანთალიის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი). გასული კვირის ტურნირი მე-4 ნომრად განთესილმა ქართველმა მოიგო, ახლა კი განთესვის მე-7 ნომრით ჩაება ბრძოლაში. პირველ წრეში გორგოძემ რუს **იულია პარასიუკს** (732) იოლად აჯობა - 6:1, 6:2. ქართველს მერვედფინალში ავსტრიელი **კრისტინ კანდლერის** (657) მომგები სლოვაკი **ნიკოლა ვაიდოვა** (916) დაუპირისპირდება. წყვილთა ბადეში ჩვენებური ბულგარელ **იზაბელა შინიკოვასთან** (704) ერთად ასპარეზობს.

იტალიური პომეციას ტურნირის (10 ათასი დოლარი) პირველი ეტაპი ორი ჩვენებურიდან ერთმა დაძლია - პირველ ნომრად განთესილმა **მაკა ჩახნაშვილმა** (234) იტალიელ **კაროლინა პილოტს** (476) მოუგო - 6:2, 7:5 და ახლა რუს **მარინა შამაიკოს** (396) შეხვდება. **სოფიო ქვაცაბაიამ** (409) კი მე-7 ნომრად განთესილ მასპინძელ **ანალიზა ბონასთან** (357) წააგო - 6:7 (3), 6:7 (0).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჭადრაკი

# ჩვენებურს კვარტეტმა გაუსწრო

ჯაკარტაში გუშინ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ბოლოსწინა ტურის პარტიები გაიმართა. თბილისელ **მერაბ გაგუნაშვილს** დაწინაურების შანსი ჰქონდა, მაგრამ მე-8 ტურში თეთრი ფიგურებით **სადიკინ ირვანტოს** (ინდონეზია) დამარცხება ვერ შეძლო - ყაიმს დასჯერდა. სამაგიეროდ, ფილიპინელ **ეუგენიო ტორემ** შავებით სინგაპურელ **ჟან ჟონგს** სძლია და ქულებით ირვანტოს დაეწია, ისევე, როგორც ვიეტნამელი **ჰაი დაო** და ინდონეზიელი **გერდას ბარუსი,** რომლებმაც **პრაიიტოს** და **გუნავანს** (ორივე - ინდონეზია) გააჩერებინეს საათი. ბოლო ტურის წინ ზემოთ დასახელებულ კვარტეტს 6,5-6,5 ქულა აქვს. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით 5 მოჭადრაკე ჩამორჩება, მათ შორის - გაგუნაშვილი. იგი გადამწყვეტ პარტიაში **ჩანდრა პურნამას** (ინდონეზია) დაუპირისპირდება. მთავარი პრიზის მფლობელი, ალბათ, ტორე-დაოს, ივანტო-ბარუსის შეხვედრებში გამოვლინდება.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა

# დარჩა მხოლოდ გელაშვილი

ქართველ სამთო მოთხილამურეთა უმრავლესობისთვის სეზონი დასრულდა, აპრილში საერთაშორისო ტურნირებში მხოლოდ 18 წლის **ჯაბა გელაშვილი** განაგრძობს ასპარეზობას. მან ჯერ ავსტრიაში კიუჰტაის ოთხ სლალომში მიიღო მონაწილეობა (საუკეთესო შედეგი, მე-13 ადგილი), შემდეგ კი ფრანგულ მერიბელში გადაბარგდა. იქ საფრანგეთის სათხილამურო ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მიიღო მონაწილეობა, სადაც დიდებში მე-13 ადგილზე გავიდა, ახალგაზრდებში კი პოდიუმზე მოხვდა (მე-3 ადგილი).

გუშინ გელაშვილმა კურშეველში დიდი ბრიტანეთის სათხილამურო ფედერაციის ეგიდით გამართულ გიგანტურ სლალომში მიიღო მონაწილეობა. ქართველმა აქაც კარგად ისრიალა და საბოლოოდ მე-4 ადგილზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაჩულია პლეი ოფზე

# გვინდა: გამარჯვებულის ფსიქოლოგია

## არ გვინდა: ტრავმები



გამოცემა „ფოქსსპორტის" ჟურნალისტმა **ჯონ მანასომ** კიდევ ერთი სტატია მიუძღვნა „ატლანტას". პუბლიკაცია **ზაზა ფაჩულიას** სიტყვებზე დაყრდნობითაა აგებული და ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს.

„ჯორჯიელი კალათბურთელები „სან ანტონიოსთან" დამარცხების შემდეგ გასახდელში ადევნებდნენ თვალს „ბოსტონი"-"ფილადელფიას" მატჩის ბოლო წუთებს. „სელტიქსის" მოგებამ საბოლოოდ გაარკვია, რომ პლეი ოფის პირველ ეტაპზე „ატლანტა" (მეხუთე ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში) „ორლანდოს" (მეოთხე) შეხვდება.

*- „მეჯიქთან" შეხვედრა სასიამოვნოა. თუმცა, პლეი ოფზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, რადგან მანამდე კიდევ 4 თამაში გვაქვს ჩასატარებელი. ახლა მთავარია რეგულარული ეტაპის კარგად ჩატარება, რათა პლეი ოფს გამარჯვებულის მენტალიტეტით შევხვდეთ. ასევე მნიშვნელოვანია, ტრავმებს ავცდეთ,* - აღნიშნა ფაჩულიამ, რომელიც პარასკევს „ბოსტონთან" მატჩში შთამბეჭდავად გაისარჯა. „სან ანტონიოსთან" კი ნაკლებად ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა, თუმცა მწვრთნელმა 28 წუთი ათამაშა, რასაც ორი მიზეზი ჰქონდა: ფაჩულიას ენერგიული მოქმედება, ჯოშ სმითისა და ჯეისონ კოლინზის ტრავმები.

*- კოლინზმა კოჭი იტკინა, თუმცა იმედია, ტრავმა სერიოზული არაა და პლეი ოფს მწყობრში შევხვდებით. „ორლანდოსთან" მატჩებისთვის მზადება უკვე დავიწყეთ. ამ გუნდს შარშანდელ პლეი ოფშიც დავუპირისპირდით და კარგად ვიცნობთ. ვიცით, როგორ უნდა ვითამაშოთ „ორლანდოს" წინააღმდეგ, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.*

„სან ანტონიოსთან" ბოლო მატჩზე „ატლანტას" მეფარე **ელ ჰორფორდი** მოგვითხრობს:

- „სპურსი" ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. სან ანტონიოს კალათბურთელები ყველა მატჩს მაღალ დონეზე ატარებენ, სწორ გზაზე დგანან... ჩვენც ურიგოდ არ გავრჯილვართ და პლეი ოფისთვის დამახასიათებელი კალათბურთი გამოვიდა. ბოლოს ზედიზედ რამდენიმე ტყორცნა გავაცუდეთ, რამაც საბოლოო შედეგზე მოახდინა გავლენა".

ექსპერტის აზრი



# მეორე ნაკრები...

გუშინ გაგაცანით გამოცდილი სპეციალისტის, **თამაზ ოქრუაშვილის** მოსაზრება ბავშვთა კალათბურთზე. დღეს გაგრძელებას გთავაზობთ, სუპერლიგასა და ეროვნულ ნაკრებზე შევჩერდებით.

### სუპერლიგა

- საქართველოს ჩემპიონატში სიტუაცია უმჯობესდება. ამის მიზეზი გუნდებში მეპატრონეების გამოჩენაა, რაც მისასალმებელია. შეიძლება ერთბაშად ევროლიგის დონის გუნდები არ შეიქმნას, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერს ეშველება.

### ლეგიონერები

- წლეულს სუპერლიგაში არაერთი ლეგიონერი გამოჩნდა. კარგი უცხოელი ჩემპიონატს დამატებით ხიბლს შესძენს. ნელ-ნელა, გუნდების ამბიციების მატებასთან ერთად მაღალი დონის ლეგიონერების რაოდენობაც იმატებს.

### სანაკრებო პერსპექტივა

- ჩვენს პირველობაზე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა. სასიამოვნოა, რომ მათ შორის ბევრი 2 მეტრსაა გადაცილებული. ძალიან მომწონს ილია ლონდარიძე, ბექა ბექაური, აკაკი დვალიშვილი, მიხეილ ბერიშვილი და კიდევ არაერთი სხვა. ვფიქრობ, საჭიროა მეორე ნაკრების შექმნა, რომელიც კვირაში ერთხელ შეიკრიბება და სხვადასხვა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. გუნდის წევრები ნაკრების თავკაცთა თვალთახედვის არეში მოხვდებიან, რაც ეროვნული გუნდისთვისაც სასარგებლო იქნება და თავად კალათბურთელსაც სტიმულს მისცემს.

### თუნდაც უნივერსიადაზე

- უკრაინელები მეორე ნაკრების შექმნას აპირებენ და ზაფხულში ჩინეთში გასამართ უნივერსიადაზე ითამაშებენ. ასეთ შეჯიბრებაზე მეორე ნაკრების მივლინება ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება. ზემოთ რამდენიმე გვარი გამოვარჩიე. მათ გვერდზე უნდა დავასახელო ბექა ჩიკვილაძე, ბექა წივწივაძე, მიხეილ ჭოჭუა, გიგი ბარბაქაძე, გიორგი გაფრინდაშვილი, რიჩარდ მათიაშვილი. მიხეილ ფანჩულიძეც მშვენიერი კალათბურთელია... რატომ არ შეიძლება გუნდს ნუგზარ ჭეიშვილი გაუძღვეს?! ჭეიშვილი-ზურაბ ტომარაძე კარგი ტანდემი იქნება.

### მადა ჭამაში...

- საქართველოს ნაკრები პირველად მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე. ეს არაერთი თაობის ოცნება იყო, რომელსაც ხორცი ახლა შეესხა. ვფიქრობ, ნაკრების წარმატება ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, ვისაც ეროვნულ გუნდთან შეხება აქვს. მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია - ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდით და იქაც შედეგის ჩვენება გვინდა. ამას რა სჯობს, მაგრამ არც პირველ ჯგუფურ ეტაპზე სამეულში ვერმოხვედრა იქნება ტრაგედია. ჩვენი გუნდი ხომ პირველად გამოდის ასეთი დონის შეჯიბრებაში. სიტუაციას რეალისტურად შევხედოთ: კარგი ნაკრები გვყავს, თუმცა ევრობასკეტის მონაწილე სხვა გუნდებიდანაც არავინაა უხეირო. შესაბამისად, ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება როგორც მოგება, ისე წაგება...

### ბელგიაში შეიძლებოდა

- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი რთული მარათონი იყო. ჩვენი ნაკრების წევრები ზოგ მატჩში კარგები იყვნენ, ზოგ შეხვედრებში კი ძნელი მისახვედრი იყო, ჩვეულად რატომ ვერ თამაშობდნენ. მაგალითად, ბელგიასთან თბილისში დიდი სხვაობით დავმარცხდით, ბელგიაში კი აშკარად შეიძლებოდა მოგება, მაგრამ რატომ ვერ მოხერხდა, ძნელი ასახსნელია. წლეულს, ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოს ნაკრები 12 თამაშს ჩაატარებს, რაც კარგი ვარიანტია შესაწყობად. მთავარია, არ გადაიღალონ, ჯანმრთელობამ ხელი შეუწყოთ და ევრობასკეტს სათანადო ფორმაში შეხვდნენ. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მატჩების კალენდარსაც ვერ დავიწყებთ.

ქართველი NBA-ში

# ზაზამ პარკერსაც ჩაუჭრა, ჯინობილისაც, მაგრამ სან ანტონიო ვერ ჩაჭრა

NBA-სრეგულარული ეტაპის დასრულებამდე „ატლანტას" 4 მატჩი დარჩა. იგი 5 მოგებით ჩამორჩება „ორლანდო მეჯიქს" (49 გამარჯვება), ხოლო ორლანდოელებს მესამეადგილოსან „მაიამიმდე" ასევე ხუთი გამარჯვება აშორებთ. შესაბამისად, გადაწყვეტილი ამბავია: პლეი ოფის პირველ ეტაპზე „ატლანტა" „მეჯიქს" დაუპირისპირდება (მოედნის უპირატესობა ფლორიდელთა მხარეს იქნება). ამ თემასთან დაკავშირებით **ზაზა ფაჩულია** გვერდით მდებარე სტატიაში ილაპარაკებს, აქ კი „სან ანტონიოსთან" მის გარჯაზე ვთქვათ.

გასულ კვირას „ორლანდოსა" და „ბოსტონის" ძლევის შემდეგ ატლანტელებს თვითრწმენა დაუბრუნდათ და თამამად შეუტიეს დასავლეთის კონფერენციის ლიდერ „სან ანტონიოს". თავის მხრივ, ტეხასელები მატჩს არცთუ კარგი ფსიქოლოგიური განწყობით შეხვდნენ - ატლანტაში ჩასვლამდე ზედიზედ 6 საგარეო შეხვედრა ჰქონდათ წაგებული. თუმცა, „სან ანტონიოს" მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** საკუთარი უპირატესობა მაინც დაამტკიცა. მართალია, მისი შეგირდები გუნდურ კალათბურთს თამაშობენ, მაგრამ სამი ლიდერი მაინც გამოირჩევა: **პარკერი** (26 ქულა), **ჯინობილი** (18) და **დანკანი** (17). სწორედ მათი კარგი გარჯის შედეგად „სან ანტონიომ" მეოთხე პერიოდის ბოლოს 11:3 გაქცევა მოაწყო და 2-ქულიანი უპირატესობა 10-ქულიან ფორად აქცია - 92:82. დარჩენილ 3 წუთში მასპინძელთა მონდომების მიუხედავად, ტეხასელებმა მიღწეული შეინარჩუნეს.

ბოლო წუთებზე ფაჩულიაც მოედანზე იყო, თუმცა სტუმრები ვერც მან შეაჩერა. ზაზა შავი სამუშაოთი იყო დაკავებული. ეს საბოლოო სტატისტიკითაც დასტურდება: 28 წუთში 3 ქულა, 2 მოხსნა, 3 ჩაჭრა. ზაზამ თამაშიდან ერთადერთხელ ისროლა, ჩააგდო - მეორე პერიოდში „ატლანტას" უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდა. სხვათა შორის, 3 ჩაჭრა ზაზას საამსეზონო რეკორდია.

მისი სათამაშო დროის მატებაზე დიდი გავლენა მოახდინა ცენტრ **ჯეისონ კოლინზის** ტრავმამ - პირველ ტაიმში კოჭი იტკინა და თამაში ველარ განაგრძო. თუ ტრავმა სერიოზულია, პლეი ოფში ეს „ატლანტასთვის" დიდი დანაკლისი იქნება, რადგან „ორლანდოს" ცენტრ **დუაით ჰოვარდს** მხოლოდ ერთი ცენტრი ვერ გასწვდება.

ტრადიციულად გამოირჩნენ ჯორჯიელი უკანახაზელები **ჯო ჯონსონი** და **ჯამალ კროუფორდი**. პირველმა 21 ქულა ჩააგდო, მეორემ - 20.

ზაზა ფაჩულიას გარჯა „ატლანტას" ოფიციალურ საიტზე ასე შეაფასეს: *„სათადარიგოების კარგი თამაშის შედეგად მეორე პერიოდში „ჰოქსმა" 11-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. სიზუსტით თავი დაგვამახსოვრეს ტიგმა და კროუფორდმა (6-6 ქულა). ზაზას გარჯა მატჩის ოქმზე არ აისახა, მაგრამ დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა - მოედანზე მყარად იდგა, დაცვაში ბევრი ღირებული გააკეთა."*

8 აპრილს „ატლანტა" ინდიანაში „პეისერსთან" ითამაშებს.

| ატლანტა-სან ანტონიო | 90:97 |
|---|---|

ზაზა ფაჩულია: 27:40 წუთი, 3 ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 2 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა, 4 ფოლი

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 03:26 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 02:46 | პასი: 1 (კროუფორდი 2ქ, 16:14) |
| 02:20 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:45 | ჩაჭრა: 1 (პარკერს ჩაუჭრა) |
| **II პერიოდი** | |
| 11:20 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ, 22:18) |
| 10:30 | ფოლი: 1 |
| 08:40 | ჩაჭრა: 2 (ჰილს ჩაუჭრა) |
| 07:22 | ორქულიანი: 3ქ (35:26) |
| 06:07 | ფოლი: 2 |
| 06:07 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 09:56 | ფოლი: 3 |
| 07:44 | ჩაჭრა: 3 (ჯინობილის ჩაუჭრა) |
| 05:01 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 00:18 | უილიამსმა ზაზა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 07:50 | ზაზამ უილიამსი შეცვალა |
| 01:54 | ფოლი: 4 |
| 01:10 | ტიგმა ზაზა შეცვალა |



სატრანსფერო მიდი-მოდი

# ცქიტიშვილი პაოკ?

გუშინ ბერძნულმა გამოცემა „ბასკეტბლოგმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმად **ნიკა ცქიტიშვილი** შესაძლოა პაოკ-ში გადავიდეს.

აი, რას წერენ ბერძნები: „211 სმ სიმაღლის მაკედონელი **ტოდორ გეჩევსკი** ამჟამად სკოპიეშია და შესაძლოა პაოკ-ს აღარ დაუბრუნდეს. ამის მიზეზი ფინანსური საკითხებია.

პაოკ-ის ხელმძღვანელობა ტოდორის შემცვლელს ეძებს. შესაძლოა, გეჩევსკის ადგილი ქართველმა ფორვარდმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა დაიკავოს. იგი ესპანეთის „ლაგუნ აროში" თამაშობდა, 24 მატჩში საშუალოდ 5.3 ქულასა და 2.6 მოხსნას აგროვებდა. ქართველმა ესპანურ გუნდთან კონტრაქტი 27 მარტს გაწყვიტა."

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, მანამდე კი მოგახსენებთ, რომ პაოკ-ი საბერძნეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა





# ქართული სპორტული ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხალხური სახეობები

### ცხენზე ვარჯიშობა



ცხენზე ვარჯიშობს სერაპიონ იმნაძე. 1890-იანი წლები. აშშ.



ცხენზე ვარჯიშობა. ქრისტინე ცინცაძე 1890-იანი წლები.

ცხენზე ვარჯიშობა ცხენოსნური სპორტის უძველესი ქართული ნაირსახეობაა. მიღებული იყო გაჭენებულ ცხენზე შეხტომა-ჩამოხტომა (ხშირად ხელების დაუხმარებლადაც), მიზანში სროლა, ცეცხლის ალზე გადახტომა და გაჭენებულ ცხენზე ზეზელა დგომა, აგრეთვე მიწიდან რაიმე საგნის აღება. ზოგჯერ მიწაზე ლითონის ფულს გაამწკრივებდნენ და მხედარს ჭენების დროს უნდა აეკრიფა. ცხენზე ვარჯიშობაში ხშირად ქალებიც მონაწილეობდნენ.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** საფეხბურთო გუნდი, რომელმაც 1927 წელს საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, იყო ბათუმის ნაკრები. ზღვისპირელებმა ყველა მატჩი მოიგეს. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: 2. თბილისი, 3. ფოთი, 4. სოხუმი.

**პირველმა** ბათუმელ ფეხბურთელთაგან საკავშირო პირველობაში თავისი კლუბის ბომბარდირის სახელი დაისაკუთრა **გენადი მენაბდემ**. 1960 წელს მეტოქეთა კარში მან ყველაზე მეტი — 15 გოლი გაიტანა.

**პირველად** ეროვნული თასის გათამაშებაში ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი 1991 წელს ჩაერთო და ნახევარფინალამდე მიაღწია. იმავე შედეგს კიდევ სამჯერ უწია — 1993-1994, 1999-2000 და 2006-2007 წლების სეზონში.

მოგვაწოდა
**გიორგი ფულარიანმა**

## თარიღი 7-13 აპრილი

07. 1964 **წ.** დაიბადა **მაია აზარაშვილი**-მძლეოსნობა
07. 1956 **წ.** დაიბადა **დავით მუჯირი**-ფეხბურთი
08. 1955 **წ.** დაიბადა **ალექსანდრე ჩივაძე**-ფეხბურთი
09. 1980 **წ.** დაიბადა **დავით ოთიაშვილი**-თავისუფალი ჭიდაობა
10. 1974 **წ.** დაიბადა **გიორგი კანდელაკი**-კრივი
11. 1968 **წ.** დაიბადა **ვალერი პარუნაშვილი**- სამბო, ძიუდო
12. 1912 **წ.** დაიბადა **არსენ მეკოკიშვილი**-თავ. ჭიდაობა. გარდაიცვალა 1972 წ.
13. 1968 **წ.** დაიბადა **კობა გულიაშვილი**-ბ/რ ჭიდაობა

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. რამდენი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს საქართველოს და რამდენი ოქროს მედალი აქვს მოპოვებული?**

ა — 28 ჩემპიონი, 31 მედალი
ბ — 33 ჩემპიონი, 36 მედალი
გ — 36 ჩემპიონი, 42 მედალი

**2. სსრ კავშირის თასი ფეხბურთში არ გათამაშებულა 1956 წელს, რატომ?**

ა — მაშინ არ თამაშდებოდა ეს პრიზი
ბ — სსრკ ნაკრები ემზადებოდა ოლიმპიური თამაშებისთვის
გ — იმ წელს ფეხბურთი სსრკ ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა

**3. რომელი მოკრივე გამოდიოდა საქართველოდან 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა — რამაზ ფალიანი
ბ — კონსტანტინე კუპატაძე
გ — ავთანდილ ხურციძე

**4. მსოფლიოს რამდენგზის ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში ლუკა კურტანიძე?**

ა — ორგზის
ბ — სამგზის
გ — ოთხგზის

**5. ვის ეკუთვნის სპორტულ საქართველოზე ნათქვამი სიტყვები: „დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი"...**

ა — მურმან ლებანიძეს
ბ — ჯანსუღ ჩარკვიანს
გ — ზაურ ბოლქვაძეს

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ

## სპორტი და ცნობილი ადამიანები

# გიორგი ახვლედიანი

ბევრჯერ შევხვედრივარ აკადემიკოს **გიორგი ახვლედიანს.** ერთხელ მან მითხრა:

- ყველამ ვიცით, რომ ჭადრაკი კაცობრიობის უძველესი თამაშია, მაგრამ დავფიქრებულვართ კი: რატომ შემორჩა მას მიმზიდველობის საოცარი ძალა? ჩემი აზრით, როგორც ცხოვრებაში, ჭადრაკშიც გამარჯვება მოაქვს ბრძოლას. სწორედ ბრძოლის შესაძლებლობა აძლევს ჭადრაკს გულის მონადირების ძალას.

ჭადრაკის თამაში მისთვის უსწავლებია ბებიას, რაჭა-ლეჩხუმში ცნობილ მოჭადრაკეს, სოფელ დერჩის მკვიდრ ფოტინე ჩიქოვანი-ასათიანს (1812-1907), რომელსაც მზითევში ჭადრაკიც მოჰყოლია. ბატონი გიორგი ამბობდა: „ჭკვიანი მოხუცი იყო. ბევრი იცოდა, ბევრს კითხულობდა. ჭადრაკი მარტო ახლობლებს კი არა, სოფლის ბავშვებსაც ასწავლა".

ჭადრაკისადმი სიყვარული გიორგი ახვლედიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. მაგრამ მეცნიერებით გატაცებულს თამაშისთვის დრო თითქმის არასოდეს რჩებოდა.

- პირველი მსოფლიო ომის დროს ხარკოვში ციხეში ჩამსვეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. სწორედ აქ გამახსენდა ბებია ფოტინეს ნასწავლი ჭადრაკი. პურის გულისგან გამოვძერწე ფიგურები, ქაღალდზე დავხატე დაფა და თამაშიც გაჩაღდა. დროც მალე გადიოდა, - მიამბობდა ბატონი გიორგი.

მართალია, მერეც ვერ იცლიდა ჭადრაკისთვის, მაგრამ არაერთხელ შეხვედრია დაფასთან თავის უნივერსიტეტელ კოლეგა-პროფესორებს აკაკი შანიძეს, ანდრია რაზმაძეს, ალექსანდრე ჯანელიძეს და გიორგი ნიკოლაძეს.

- ახლა ჭადრაკს თითქმის არ ვთამაშობ, - ამბობდა ბატონი გიორგი 60-იან წლებში, - წლებმა თავისი გაიტანა, ჭადრაკი სწრაფად მღლის. სამაგიეროდ, გულშემატკივრობას ვუმატე - სისტემატურად თვალს ვადევნებ ჭადრაკის ახალ ამბებს. ნონა გაფრინდაშვილის თავგამოდებული ქომაგი ვარ.



1973 წლის 8 მაისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დიდი ზეიმი იყო. სწორედ იმ დღეს ბატონ გიორგის გავაცანი 12 წლის მაია ჩიბურდანიძე.

- რა კარგი გოგონა ყოფილხარ. გავიხარე შენი გაცნობით, - თქვა ბატონმა გიორგიმ და თავისებურად მიუალერსა მაიას, გამოჰკითხა სწავლის, ოჯახის ამბები. ბოლოს დასძინა:

- მაია ნამდვილი მოჭადრაკე იქნება: ძლიერი, ნონასავით მარჯვე.

გამოთხოვებისას გიორგი ახვლედიანმა ღიმილით უთხრა მაიას:

- გული მეუბნება, დიდი მომავალი გაქვს!

**გუმანმა არც ჭადრაკში უმტყუნა დიდ მეცნიერს.**

**თენგიზ გიორგაძე**

## შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** გთხოვთ განმიმარტოთ სიტყვა „მუშაითის" მნიშვნელობა და, საერთოდ, არის თუ არა იგი სპორტული ტერმინი?

**გიგი ბუხნიკაშვილი**
თბილისი

**პასუხი:** "მუშაითობა" იგივეა, რაც აკრობატიკა. მუშაითობა საქართველოში ოდითგანვე გავრცელებული იყო, როგორც ხალხური ფიზიკური ხელოვნება და ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი მიმართულება. მუშაითობის განსაკუთრებული აღმავლობა XI-XII საუკუნეებში შეიმჩნეოდა. „ვეფხისტყაოსანში" მუშაითობა მოხსენიებულია როგორც აღზრდის სისტემის შემადგენელი ნაწილი და როგორც პროფესია. 1918-1937 წლები ხასიათდება იმით, რომ აკრობატული ვარჯიშები საცირკო არენიდან თანდათანობით სპორტულ კლუბებში (სექციებში) გადადის.

1980 წლიდან საქართველოს აკრობატები წარმატებით მონაწილეობენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში. მსოფლიოზე მოპოვებულია 10 ოქროს და ვერცხლის 4 მედალი. ევროპაზე ოქრო - 11, ვერცხლი - 3, ბრინჯაო - 5.



## ვინ რა თქვა...

„ცხენოსნობასთან მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები როდი მაკავშირებს. „მთვარის მოტაცების" გადაღებაზე ინგლისურ-არაბული ჯიშის ცხენი მომცეს, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა მთელ კინოსტუდიაში. ყოფილა შემთხვევები, წმინდასისხლიანი ჯიშის სპორტული ცხენებისთვისაც გაუსწრია. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სიამოვნება ძვირად დამიჯდა - გაჭენებული ცხენიდან გადმოვვარდი. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ქვეყანაზე ვერც ერთი მხედარი ვერ დაიკვეხნის, ცხენს არასოდეს გადმოვუგდივარო".

**ოთარ მეღვინეთუხუცესი**

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ფეხბურთში; 4. ნაგებობა წყალში ხტომებისათვის; 10. საციგაო სპორტის სახეობა; 11. სავალდებულო სპორტული ცეკვა ფიგურულ სრიალში; 12. ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონი, რომელსაც თამაზ გიორგაძე წვრთნიდა; 13. ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ქართველი ნახევარმცველი; 14. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა; 16. დოკუმენტი, სადაც შედეგები შეაქვთ; 17. სპორტული შეჯიბრების ბოლო ნაწილი; 19. თბილისის "დინამოს" ყოფილი მეკარე; 20. თავისუფალი მცველი ფეხბურთში; 22. ქუთაისის "ტორპედოს" ძველი თაობის ფეხბურთელი; 23. ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ერთ-ერთი იაპონური ქალაქი; 25. კრივში: გვერდული დარტყმა შორი მანძილიდან; 26. ფეხბურთელი, რომელსაც ყველაზე მეტი ბურთი გააქვს; 28. მორაგბე ... ზედგინიძე; 29. მოძრაობის ელემენტების თანაბარზომიერი მონაცვლეობა გარკვეულ დროში; 30. სროლაში დამიზნების ობიექტი.

**შვეულად:** 2. მიხეილ მესხის სახელობის სპორტული კომპლექსი; 3. "ბორჯღალოსნების" ერთ-ერთი მოთამაშე; 5. გიორგი შერმადინის სლოვენიური გუნდი; 6. ალპინისტთა დროებითი საცხოვრებელი მთაში; 7. 1960 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 8. ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი; 9. მძლეოსნობაში სავარჯიშო ნაგებობა; 14. ძიუდოისტის ჩასაცმელი ტატამზე; 15. საფრენი აპარატებიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 16. საგანი, რომელიც გამოდგება ადგილმდებარეობაში გასარკვევად; 18. გადაწოდება; 20. ჩოგბურთის თამაშში: "უკანასკნელი ბურთი"; 21. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ბათუმელი სპორტსმენი; 24. მთათა სისტემა შუა აზიაში; 25. ვლადიმერ ბარქაიას მეტსახელი; 27. ბურთი მოედნის ხაზის გარეთ.

## ფოტო კომენტარით



1968 წ. მეხიკო. მარცხნიდან: რომან რურუა, დიმიტრი შანიძე და ვიქტორ სანეევი

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



მერაბ კვირიკაშვილი, ბექა ურჯუკაშვილი, ლევან დათუნაშვილი, რეზო გიგაური და დავით ბალანჩივაძე

# ფიჟაკის ქართული კლანი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონში სამოცდაათამდე ქართველი მორაგბე ასპარეზობს. ამათგან ყველაზე მეტი, ხუთი ფედერალ 1 დივიზიონის „ფიჟაკის" ღირსებას იცავს. **მერაბ კვირიკაშვილი, რეზო გიგაური, ლევან დათუნაშვილი, დავით ბალანჩივაძე და ბექა ურჯუკაშვილი** გუნდის წამყვანი მოთამაშეები არიან და სწორედ მათი თამაშის ავ-კარგიანობაზეა დამოკიდებული ფიჟაკელთა სათაყვანებელი გუნდის წარმატება თუ წარუმატებლობა.

ფიჟაკი პატარა სამხრეთული ქალაქია, რომელშიც სპორტის ნომერ პირველი სახეობა სწორედ რაგბია. აქ ზემოთ ნახსენები მოთამაშეების გარდა სხვადასხვა დროს **რატი ურუშაძესა და დიმა პავლოვსაც** უთამაშიათ. ასე რომ, „ფიჟაკი" ქართველთათვის კარგად ნაცნობი გუნდია.

ახლახან ადგილობრივმა სპორტულმა გაზეთმა „სეზონ სპორტივ"-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით - „ფიჟაკის ქართული კლანი". გთავაზობთ ამონარიდს ამ პუბლიკაციიდან.

„წლევანდელ სეზონში „ფიჟაკის" რიგებში მრავლად მოიყარეს თავი ლეგიონერებმა. ბრიტანელი, რუმინელი და კუნძულელი მორაგბეების შემდეგ, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩვენი გუნდის „ქართული კლანი".

„ფიჟაკში" ხუთი ქართველი თამაშობს, ამათგან ოთხი, მეორეხაზელი ლევან დათუნაშვილი, შუამარბი რეზო გიგაური, მგეზავი მერაბ კვირიკაშვილი და ფულბეკი ბექა ურჯუკაშვილი თბილისელები არიან. შერკინების ბურჯი დავით ბალანჩივაძე ქუთაისში დაიბადა და რაგბის ანაბანაც იქ ისწავლა.

საქართველოს ნაკრებმა ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ქართველები ზედიზედ მესამედ ითამაშებენ მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმზე. ამ ქვეყნის ეროვნული გუნდი პროგრესს განიცდის და განუხრელად ვითარდება, რაშიც თავისი მოკრძალებული წვლილი ფიჟაკელ ქართველებსაც შეაქვთ.

დავით ბალანჩივაძე 30 წლისაა, მან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში 1999 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ისასპარეზა, რის შემდეგაც მისი ხანგრძლივი მოგზაურობა დაიწყო. ჯერ რუსეთში, „პენზას" ღირსებას იცავდა, მერე საქართველოში დაბრუნდა და რამდენიმე წელიწადი ბათუმის „დათვებში" თამაშობდა.

ბათუმიდან „ბანიამ" ფრანგულ „დეკასვილში" ამოჰყო თავი, იქიდან კი „გურდონში" გადაბარგდა. „ფიჟაკის" რიგებში ბალანჩივაძე წლევანდელი სეზონის წინ ჩაირიცხა. ჰყავს მეუღლე თამარი და ქალ-ვაჟი, ანი და გიორგი.

ლევან დათუნაშვილი 27 წლისაა. ის საქართველოს ნაკრების მეორეხაზელია, რომლის რიგებშიც 38 კეპი მოიხვეჭა. ლევანმა ეროვნული ნაკრების ღირსება 2007 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე დაიცვა. „ფიჟაკში" „ჩაქუჩა" ელიტური, მეორე დივიზიონის „ორიაკიდან" მოხვდა განათხოვრების წესით და მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელის პიერ-ანრი ბრონკანის მოთხოვნით ისევ უკან დაბრუნდება.

ლევანს ჰყავს მეუღლე ქეთევანი და ორი შვილი, მარიამი და ნიკოლოზი.

რეზო გიგაური ლევანზე ერთი წლით უმცროსია. ისიც ეროვნული ნაკრების წევრია და 2007 წლის მსოფლიო თასზეც ნათამაშები აქვს. მისი ფრანგული კარიერა ფედერალ 1 დივიზიონის „მონლუსონში" დაიწყო. 2007 წლიდან პარიზის მახლობლად, „მასიში" გადავიდა, სადაც ქართველი მწვრთნელის **ვიქტორ დიდებულიძის** ხელმძღვანელობით თამაშობდა.

„მასიდან" წასვლის შემდეგ რეზომ კარიერის გაგრძელება „სენაკში" გადაწყვიტა. იქიდან კი ჩვენთან, „ფიჟაკში" გადმობარგდა. ჰყავს მეუღლე ნათია და პირველ შვილს აპრილის ბოლოს ელოდება.

27 წლის მერაბ კვირიკაშვილი ქართველებიდან „ფიჟაკის" ყველაზე სტაჟიანი მორაგბეა. მის სახელთანაა დაკავშირებული ფიჟაკელთა ფედერალ 2 დივიზიონიდან რანგით უფრო მაღალ დივიზიონში აღზევება. მისი ფრანგული კარიერა ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „პოში" დაიწყო. მერე რამდენიმე წელიწადი „მასის" ღირსებას იცავდა, დღესდღეობით კი ჩვენი გუნდის მგეზავი და ლიდერია.

თავად განსაჯეთ, წლეულს გამართულ 16 მატჩში „მეკომ" გუნდს 159 ქულა მოუტანა. მის ანგარიშზე 3 ლელო, 37 საჯარიმო, 15 გარდასახვა და ერთი არეკნია.

კვირიკაშვილმა საქართველოს ნაკრებში 44 კეპი მოიხვეჭა და წლეულს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასი მისთვის მესამე იქნება. ჰყავს მეუღლე ანანო ბუაძე და სამი შვილი, ელისაბედი, მარიამი და დავითი.

ბექა ურჯუკაშვილი „ფიჟაკის ქართულ კლანში" ყველაზე ახალგაზრდაა. ის 21 წლისაა. თამაშობდა საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში. მისი ბიძა მალხაზ ურჯუკაშვილი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი მორაგბეა. ბექა საფრანგეთში სწორედ მან ჩაიყვანა და „გურდოს" ახალგაზრდულ გუნდში მიაბარა.

ბექამ იქ სერიოზული ტრავმა მიიღო, გამოჯანმრთელების შემდეგ კი „ფიჟაკში" ჩაირიცხა. ის გუნდს მალე შეეწყო, 11 თამაშში 4 ლელო, 14 საჯარიმო, ორი გარდასახვა და ერთი არეკნი გაიტანა. სულ კი გუნდს 69 ქულა მოუტანა. მისი შესანიშნავი თამაში მხედველობიდან არც საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს გამორჩენიათ. ბექა ეროვნულ გუნდში მიიწვიეს და ერთა თასის გამარჯვებული გახდა.

ბექა ახლა სულმოუთქმელად ელის სეზონის დამთავრებას, რათა სამშობლოში დაბრუნდეს და თავის მეგობარ ხატიას შეხვდეს."

ოლიმპიზმი

# შვიდკაცა რაგბის ოლიმპიური დილემა

რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB) კმაყოფილია, რომ შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სახეობა გახდა. მართალია, ამ ამბავმა საქმე და თავსატეხი მოუმატათ, მაგრამ მსოფლიო რაგბის მაღალჩინოსნებს მიაჩნიათ, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ოვალური ბურთის გამოჩენა რაგბის პოპულარიზაციას და საყოველთაო განვითარებას შეუწყობს ხელს.

ეს, ცხადია, ასეა, მაგრამ რაგბი ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდა. გასაკვირი არაა, რომ თუ რიო დე ჟანეიროში 2016 წელს გასამართ ოლიმპიურ თამაშებზე გუნდებს ისეთი დონის ვარსკვლავები ეყოლებათ, მაგალითად, ინგლისელი **კრის ეშტონი** რომ არის, რაგბის ტურნირი ერთ-ერთი გამორჩეული იქნება. მაგრამ, მაშინ რა ქნან იმ მორაგბეებმა, რომლებიც წლების განმავლობაში მსოფლიო სერიის ეტაპებზე რეგულარულად თამაშობდნენ.

IRB-ს ერთ-ერთ ხელმძღვანელ **მაიკ მილარს** მიაჩნია, რომ მწვრთნელებს ძნელი არჩევანის გაკეთება მოუწევთ.

„გუნდების მწვრთნელებისთვის რთული იქნება, თავიანთი ქვეყნების ცნობილი მოთამაშეები მიიწვიონ. როგორია, როცა გყავთ მოთამაშეები, რომლებიც წლების განმავლობაში მხოლოდ შვიდკაცა რაგბის თამაშობენ, პროფესიონალი მეშვიდკაცეები არიან, გუნდი ჩამოყალიბებულია, შეთამაშებულია და წარმატებებს აღწევს. ამ დროს თხუთმეტკაცას ვარსკვლავებს სურვილი გაუჩნდებათ, ოლიმპიური მედლისთვის იბრძოლონ. ამაში, ცხადია, ცუდი არაფერია, მაგრამ ისინი გუნდს დაანგრევენ, ვინაიდან მათ აწყობილ მექანიზმში ერთ-ერთი რგოლი უნდა დაიკავონ, ეს კი ადვილი არ არის.

ეს ყველაფერი ძალიან რთულია. ნამდვილად არ მშურს შვიდკაცა რაგბის ნაკრებების მწვრთნელების. განსაკუთრებით ცხელი დღეები კი მათ ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე ექნებათ.

გასაგებია, რომ ცდუნება დიდია. მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ. რაგბის ტურნირი გამორჩეული კარგი თამაშით უნდა იყოს. ამიტომ შვიდკაცა რაგბის გუნდები ცალკე უნდა შეიქმნას, განვითარდეს. ვისაც რაგბი უყვარს და ესმის, ის ოლიმპიადის თამაშებს მაინც უყურებს. ვინც არ იცის, იმისთვის სულ ერთია დენ კარტერი ითამაშებს თუ ვინმე სხვა. ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ პროფესიონალი მეშვიდკაცეების ინტერესები დავიცვათ"- თქვა მან.



ახალი ზელანდიის შვიდკაცა რაგბის ნაკრები

რაგბი ლიგა

# კუპერი რაგბილიგელებს აღარ სურთ

ავსტრალიის ნაკრების მგეზავს, ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მორაგბედ შერაცხილ **ქუადე კუპერს**, სულ ახლახან მთხოვნელების რიგი ედგა. ბრისბენის „რედსის" წამყვანი მორაგბის თავის რიგებში ხილვა ავსტრალიური რაგბი ლიგის გუნდ „პარამატა ილზს" სურდა. ამ ამბავს, სამი ერის გათამაშების მსვლელობისას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

ავსტრალიის რაგბის კავშირმა „რედსთან" ერთად ყველა ღონე იხმარა, კუპერი რაგბიში რომ დაეტოვებინა. ქუადემაც გადაწყვიტა, მოდი, ერთ წელიწადს კიდევ ვითამაშებ, „ვოლაბებს" მსოფლიო თასზე დავეხმარებიო.

საქმე კი ისე შემოტრიალდა, კუპერის შეძენა რაგბილიგელებს აღარ სურთ. მისი აგენტი **ჰოდერ ჰესერი** სინანულით ამბობს:

„ჩვენი მხრიდან სისულელე იქნებოდა, „რედსთან" კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ რაგბილიგელთა შემოთავაზებას არ დავთანხმებულიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, „ილზის" ინტერესი კუპერის მიმართ განელდა".

„ილზთან" ერთად კუპერის „მყიდველთა" რიგში ბრისბენის „ბრონკოსიც" იდგა.

„კუპერი შესანიშნავი, ნიჭიერი სპორტსმენია, როგორც პიროვნებაც კარგი ტიპია, მაგრამ, ვფიქრობ, ის „რედსისთვისაა" ზედგამოჭრილი. ამ ეტაპზე ქუადე კუპერი არ გვაინტერესებს" - თქვა ბრისბენელთა მწვრთნელმა **ენტონი გრიფინმა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ქუადე კუპერი

ჭაბუკთა ლიგა

# ჭაბუკები კვირის თავზე იწყებენ

საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებაში წლეულს ჭაბუკთა ლიგაში გუნდების სარეკორდო რაოდენობა იასპარეზებს. განსაკუთრებით გაიზარდა კლუბების რიცხვი B ლიგაში, სადაც საქართველოს რაგბის კავშირი იძულებული გახდა გუნდები სამ ჯგუფად გაეყო.

აღმოსავლეთ საქართველოში B ლიგის ორი ჯგუფი იქნება, სადაც ჯამში 19 გუნდი იასპარეზებს. დასავლეთ საქართველოს ერთ, მესამე ჯგუფში კი პლეი ოფში გასვლისთვის 12 გუნდი იბრძოლებს. აღსანიშნავია, რომ აქ ქუთაისის ხუთი გუნდი ითამაშებს. ორ-ორი გუნდი ეყოლება „ლელოსა" და „აკადემიას". პირველად გამოვლენ ჭაბუკთა ასპარეზზე ჭიათურისა და საჩხერის გუნდები.



მატება აქვს აღმოსავლეთ საქართველოსაც, გურჯაანის „კახები" და თბილისის „ჯვაროსნები", ვფიქრობთ, ტურნირს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

ჭაბუკთა A ლიგა რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტმა ორ ჯგუფად დაჰყო. თითოეულში რვა-რვა გუნდია. ქუთაისი აქ ორი გუნდით იასპარეზებს. პირველად გამოვა A ლიგაში ჭიათურის გუნდი. შეჯიბრება 13 აპრილს დაიწყება.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**A ჯგუფი**

თი ბი სი, ლელო, ლოკომოტივი, მუტრუკები (თელავი), ქუთაისი, ქუთაისი 2, ყოჩები, ჭიათურა

**B ჯგუფი**

ადიგენი, აკადემია, არმაზი, ვეფხვები (პატარძეული), ივერია, ხარები (რუსთავი), ხულიგანა, ჯიქები.

**ჭაბუკთა B ლიგა**

**A ჯგუფი**

აკადემია, თორი (ბორჯომი), ლელო, ლოკომოტივი, ტორნადო, უნივერსიტეტი, ყოჩები, ნიქარა, ხარები (რუსთავი), ჯვაროსნები.

**B ჯგუფი**

აკადემია 2, არმაზი, თი ბი სი, ივერია, კახები (გურჯაანი), ლელო 2, მიმინო (დედოფლისწყარო), ხულიგანა, ჯიქები.

**C ჯგუფი**

ასპინძა, ბაგრატი (ქუთაისი), ბათუმი, რაინდები (ფოთი), ქუთაისი, ქუთაისი 2, ქუთაისი 3, ქუთაისი 4, ოზურგეთი, ჭიათურა, ჯიხა (სენაკი), ჯრუჭი (საჩხერე).

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სპურსმა დასავლეთი მოიგო

რეგულარული ჩემპიონატი ერთდღიანი შესვენების შემდეგ 13 შეხვედრით განახლდა და მთავარი მოვლენა ის იყო, რომ დასავლეთ კონფერენციაში ჩემპიონობა გაინაღდა „სან ანტონიო სპურსმა". ლიდერმა „ატლანტას" მოუგო, მისი უახლოესი მდევარი „ლეიკერსი" კი მოულოდნელად შინ დამარცხდა „იუტასთან".

მართლაც არავის ეგონა, რომ პირველი ადგილის ბედი სწორედ გუშინ გადაწყდებოდა. წამყვანი მოთამაშეების ტრავმებით დასუსტებულმა „იუტამ", რომელსაც არც კი ახსოვდა ბოლოს როდის მოიგო „სტეიპლ ცენტრში", დღის მთავარი სენსაცია შემოგვთავაზა.

ჩემპიონმა თამაშიდან ტყორცნების საშინელი პროცენტი დააფიქსირა. **პაუ გასოლისა** და **ენდრიუ ბინუმის** გარდა, „ლეიკერსის" მოთამაშეებმა (მათ შორის **კობი ბრაიანტმა**) თავიანთი შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინეს. ესპანელი ხშირად იღებდა საკუთარ თავზე ინიციატივას, ბინუმი კი ბრწყინვალედ მუშაობდა ორივე ფარზე (ამის ხარჯზე პირადი რეკორდი დაამყარა - 22-ჯერ მოხსნა ბურთი). რაც შეეხება „იუტას", ამ დღეს მისი მთავარი იმედი **პოლ მილსეპისა** და **გორდონ ჰეივორდის** დუეტი იყო. ეს უკანასკნელი საერთოდ მატჩის გმირი გახდა. სწორედ ის გაუძლვა მეოთხე მეოთხედში პარტნიორებს და გადამწყვეტ მომენტში საჭირო ქულები დააგროვა.

საფინალო სირენამდე 16 წამით ადრე „ლეიკერსი" სამი ქულით (82:85) აგებდა, როცა კობიმ საფირმო სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ საპასუხო შეტევაში ჰეივორდმა მეტოქეს პერსონალურის აღება აიძულა და ერთი საჯარიმო ჩააგდო. დარჩენილი ექვსი წამი საკმარისი იყო გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში ბრაიანტს ბურთი ხელიდან გაუვარდა. 86:85 - „იუტას" სასარგებლოდ.

■ ■ ■

მოულოდნელად წააგო „მემფისმა". პლეი ოფის წინ შესანიშნავ ფორმაში შესულმა „გრიზლისმა" შინ „კლიპერსთან" წაგება მოახერხა. არადა, „დათვები" თითქმის მთელი მატჩი აკონტროლებდნენ თამაშის მსვლელობას. იმის მიუხედავად, რომ **ზაკ რენდოლფს** ბევრი არაფერი გამოსდიოდა **ბლეიკ გრიფინის** წინააღმდეგ, ტენესურ კლუბს დიდი ხანი სოლიდური უპირატესობა ჰქონდა. რენდოლფს წარმატებით აზღვევდნენ **მაიკ კონლი** და **მარკ გასოლი**. მაგრამ **ჰოლინზის** შეგირდებმა ფინალურ სერიამდე ვერ გაძლეს და უმნიშვნელოვანესი შეხვედრა წააგეს.

ბოლო მეოთხედის წინ „მემფისის" უპირატესობა 10 ქულას შეადგენდა. ისე ჩანდა, რომ ეს სხვაობა კიდევ გაიზრდებოდა, მაგრამ სწორედ ბოლო 12-წუთეულში „კლიპერსმა" დაცვაში ბრწყინვალე თამაშით საგონებელში ჩააგდო მასპინძელი. **დელ ნეგროს** ბიჭებმა მატჩის საინტერესო ფინალი უზრუნველყვეს და იქ საჭირო შედეგს მიაღწიეს. თუმცა არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა ყველაფერი, ბოლო წამებზე მსაჯებს **ერიკ ბლედსოუზე** შეტევაში პერსონალური რომ დაეფიქსირებინათ.

■ ■ ■

„ჰიუსტონმა" კი ვერ ისარგებლა „მემფისის" საჩუქრით და პლეი ოფში მოხვედრის შანსი დაკარგა. ბოლო ათ მატჩში რვა გამარჯვების შემდეგ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ „რაკეტები" საკუთარ მოედანზე წააგებდნენ მოკრძალებულ „საკრამენტოსთან". მართალია, ბოლო დროს „მეფეებიც" კარგ ფორმაში შევიდნენ, მაგრამ ყველას ეგონა, რომ „ჰიუსტონის" მოტივაცია ყველაფერზე მაღლა დადგებოდა.

„როკეტსის" პრობლემები მეორე მეოთხედში დაიწყო, როცა სტუმრებმა წარმატებული გაქცევა მოაწყვეს და მეტ-ნაკლებად სოლიდური სხვაობით გავიდნენ წინ. „ჰიუსტონი" **კევინ მარტინის** მონდომებით ახერხებდა მეტოქის შეკავებას, მაგრამ ბოლო მეოთხედში „რაკეტებს" კიდევ ერთხელ გაექცათ მოწინააღმდეგე და მასპინძელი წაგებას ვერც **კაილ ლოურის** სამქულიანმა გადაარჩინა. ამ ყველაფრის მიზეზი გახდა „ჰიუსტონის" ქრონიკული პრობლემები დაცვაში, რის გამოც მასპინძლებმა გადამწყვეტ მომენტში ვერაფერი მოუხერხეს „საკრამენტოს".

■ ■ ■

პლეი ოფის პირველი რაუნდის რეპეტიცია გაიმართა დენვერში, სადაც „ნაგეტსი" საკუთარ არენაზე „ოკლაჰომას" მასპინძლობდა. ორივე გუნდის პოზიციებს არაფერი ემუქრება და თუ სასწაული არ მოხდა, აპრილის მეორე ნახევარში სწორედ მათ შორის ველოდებით დაძაბულ მერვედფინალურ სერიას.

გუშინდელი მატჩი კი „ოკლაჰომას" გამარჯვებით დასრულდა. მართალია, რამდენიმე დღის წინ „ნაგეტსმა" სტუმრად „ლეიკერსი" დაამარცხა, მაგრამ **ჯორჯ კარლის** შეგირდებმა მშობლიურ არენაზე „თანდერის" შეტევები ვერაფრით შეაჩერეს.

უკვე შეხვედრის დებიუტში **დურანტმა** და კომპანიამ დიდი გაქცევა მოაწყვეს და რომ არა დენვერელი **ტაი ლუსონის** შედეგიანი თამაში, მატჩი დიდ შესვენებამდე დამთავრებული იქნებოდა. „დენვერმა" თამაში გაათანაბრა, მაგრამ კევინ დურანტის ბრწყინვალე თამაშის ფონზე მასპინძლებს წარმატების იმედი არ დარჩენიათ. თუმცა კარლს საკმარისი დრო აქვს შეცდომებზე სამუშაოდ.

**ატლანტა-სან ანტონიო 90:97**

21:16, 25:27, 19:23, 25:31

ა: ჯონსონი (21), კროუფორდი (20), ჰაინრიხი (13), ჰორფორდი (12+9 მოხსნა+5 პასი).

ს-ა: პარკერი (26+5 მოხსნა), ჯინობილი (18), დანკანი (17+6 მოხსნა), ჰილი (13).

**კლივლენდი-შარლოტი 99:89**

34:16, 21:22, 19:28, 25:23

კ: სეშენსი (18), ჰიქსონი (16+19 მოხსნა), ჰოლინზი (16), გი (13+6 მოხსნა), დევისი (11+5 პასი), ჰარანგოდი (11), გიბსონი (10+5 პასი).

შ: ოგუსტინი (22+8 პასი+5 ჩაჭრა), ჰენდერსონი (15), კეროლი (13), კანინგემი (10+11 მოხსნა), ბრაუნი (10), დიაო (3+11 მოხსნა+5 პასი).

**ნიუ ჯერსი-მინესოტა 107:105**

29:23, 32:27, 24:25, 22:30

ნ-ჯ: ლოპესი (30+12 მოხსნა), უილიამსი (18+21 პასი), ვუიაჩიჩი (17+10 მოხსნა), აუთლო (13), ფარმარი (12).

მ: ბიზლი (20+11 მოხსნა+7 პასი), რენდოლფი (20+10 მოხსნა), უებსტერი (16+5 მოხსნა), ტოლივერი (14+5 მოხსნა), პეკოვიჩი (12), რიდნური (11+9 პასი).

**ორლანდო-მილუოკი 78:72**

26:14, 16:19, 15:22, 21:17

ო: ჰოვარდი (18+17 მოხსნა), ნელსონი (17+5 ჩაჭრა), ბასი (13), თურქოგლუ (12+10 მოხსნა).

მ: გუდენი (18), დულინგი (10).

**ვაშინგტონი-დეტროიტი 107:105**

31:22, 21:32, 26:27, 29:24

ვ: უოლი (26+12 პასი+6 მოხსნა), ბლეტჩი (26+10 მოხსნა), ევანსი (20), კროუფორდი (17).

დ: მონრო (22+14 მოხსნა), მაკგრეიდი (14+6 პასი+5 მოხსნა), დეი (14+6 მოხსნა), ბინუმი (14), პრინსი (14), უილკოქსი (10+9 მოხსნა).

**ბოსტონი-ფილადელფია 99:82**

24:26, 30:24, 21:15, 24:17

ბ: პირსი (18+7 მოხსნა), რონდო (16+13 პასი), გარნეტი (14), ალენი (13).

ფ: ტერნერი (21+5 პასი), ბრენდი (12+5 მოხსნა), ჰოლიდეი (11), იგუოდალა (10+5 მოხსნა), მიქსი (10).

**ნიუ იორკი-ტორონტო 131:118**

39:26, 39:28, 21:28, 32:36

ნ-ი: დუგლასი (28+5 პასი), ენტონი (23+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (23+6 მოხსნა+5 პასი), ბილაპსი (13+9 პასი), ფილდსი (10).

ტ: დეროზანი (36+10 მოხსნა), დევისი (22+13 მოხსნა), ბეილესი (19+5 პასი), უიმსი (14), ჯონსონი (10).

**ჩიკაგო-ფინიქსი 97:94**

25:24, 28:16, 28:30, 16:24

ჩ: როუზი (19), დენგი (18), ბუზერი (12+9 მოხსნა+7 პასი), ნოა (12), გიბსონი (10+9 მოხსნა), ბრიუერი (10+6 მოხსნა).

ფ: კარტერი (23+5 მოხსნა), ფრაი (13+9 მოხსნა), ჰილი (13), დადლი (12), გორტატი (10+13 მოხსნა), ნეში (6+16 პასი).

**მემფისი-კლიპერსი 81:82**

23:18, 20:21, 25:20, 13:23

მ: კონლი (20+5 მოხსნა), გასოლი (14+15 მოხსნა), რენდოლფი (14+7 მოხსნა), იანგი (13).

კ: უილიამსი (16), გრიფინი (15+14 მოხსნა), კამანი (14+7 მოხსნა), გორდონი (11+6 მოხსნა).

**ჰიუსტონი-საკრამენტო 101:104**

28:24, 18:28, 28:24, 27:28

ჰ: მარტინი (30), სკოლა (18+10 მოხსნა+5 პასი), ლოური (15+9 პასი), ლი (12+6 მოხსნა).

ს: დალემბერი (21+15 მოხსნა), ტორნტონი (21), ევანსი (18+5 პასი), კაზინსი (15+15 მოხსნა), ტომპსონი (14+6 მოხსნა), უდრიხი (10).

**დენვერი-ოკლაჰომა 94:101**

16:27, 31:21, 20:21, 27:32

დ: ლოუსონი (28+5 პასი), გალინარი (17+6 მოხსნა), მარტინი (14+7 მოხსნა), ფელტონი (11+6 მოხსნა).

ო: დურანტი (32+9 მოხსნა), უესტბრუკი (18+6 პასი), ჰარდენი (13), მეინორი (10), იბაკა (9+11 მოხსნა), პერკინსი (4+14 მოხსნა).

**პორტლენდი-გ. სტეიტი 87:108**

19:19, 28:28, 21:37, 19:24

პ: ოლდრიჯი (17+12 მოხსნა), მეტიუზი (17), ბატუმი (15), მილერი (12), უოლასი (10).

გ-ს: ელისი (30+5 პასი), ლი (29+20 მოხსნა), კარი (28+8 მოხსნა).

**ლეიკერსი-იუტა 85:86**

24:20, 16:14, 17:23, 28:29

ლ: ბრაიანტი (20+5 პასი), გასოლი (19+5 მოხსნა), ბინუმი (12+22 მოხსნა), ოდომი (11+8 მოხსნა).

ი: მილსეპი (22+7 მოხსნა), ჰეივორდი (22+6 მოხსნა+5 პასი), ფეივორსი (14+11 მოხსნა), ჯეფერსონი (11+11 მოხსნა), უოტსონი (11+8 მოხსნა+6 პასი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ჰეივორდი ყველას სჯობდა



ლებრონი ზემოთ იყურება

# ლებრონი ლეგენდებში გაერია

კიდევ ორი ქულა და „მაიამი ჰიტის" ლიდერის - **ლებრონ ჯეიმსის** მონაგარი ამ სეზონში ორი ათას ქულას გადააჭარბებს. შესაბამისად, ეს იქნება ზედიზედ მეშვიდე რეგულარული, როცა NBA-ის სუპერვარსკვლავის სტატისტიკა ორი ათას ქულას გადააჭარბებს. ადრე ასეთი რამ ასოციაციის ისტორიაში შვიდმა კალათბურთელმა შეძლო.

ჯეიმსი ამ სიის ყველაზე ახალგაზრდა წევრი იქნება. **ოსკარ რობერტსონი** მასზე ორი წლით უფროსი იყო, როცა 28 წლის ასაკში თავისი მეშვიდე ორიათასიანი სეზონი ჩაატარა.

შვიდივე კალათბურთელი - რობერტსონი, **ქარიმ აბდულ-ჯაბარი, უილტ ჩემბერლენი, ალექს ინგლიში, მაიკლ ჯორდანი, კარლ მელოუნი** და **დომინიკ უილკინსი** დიდების დარბაზში არიან შესულები.

სხვათა შორის, ამ ჯგუფში მოხვედრის კანდიდატია „ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი**. მიმდინარე რეგულარულის დარჩენილ ექვს შეხვედრაში მას 85 ქულა დასჭირდება 2000 ქულის მოსაგროვებლად და კობიც მეშვიდედ გადალახავს სეზონში ამ დიდოსტატურ ზღვარს.

ოლიმპიზმი

# პროგრამა ხუთით გაიზარდა

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მოიწონა 2014 წლის ზამთრის თამაშების პროგრამაში ხუთი ახალი დისციპლინის დამატება. სოჭში მედლები გათამაშდება: ქალებს შორის ტრამპლინიდან ხტომაში, ფრისტაილის ჰალპ-პაიპში (კაცები და ქალები), ბიატლონში შერეულ ესტაფეტაში, ფიგურული სრიალის გუნდურ ტურნირსა და ციგაობაში გუნდურ ესტაფეტაში. ამის შესახებ სააგენტო „როიტერი" წერს.

კომიტეტი აგრეთვე განიხილავდა ოლიმპიურ პროგრამაში ფრისტაილისა და სნოუბორდის ერთ-ერთინაირსახეობის - სლოპსტაიტის შეტანას. ასევე რიგში იდგა სამთო-სათხილამურო სპორტში გუნდური შეჯიბრება. მაგრამ გადაწყდა, რომ ამ დისციპლინებს ოლიმპიურ პროგრამაში მოგვიანებით შეიტანენ.

ასე რომ, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე მედლების ექვსი ახალი კომპლექტი გათამაშდება. წინა ოლიმპიადაზე ვანკუვერში ჯამში 86 ჩემპიონი გამოვლინდა.

აღსანიშნავია, რომ ქალებს შორის ტრამპლინიდან ხტომაში ჯერ კიდევ ვანკუვერის ოლიმპიადაზე აპირებდნენ მედლების გათამაშებას, მაგრამ მაშინ ოლიმპიურმა კომიტეტმა უსაფრთხოების მოსაზრებებით უთხრა უარი ამ სახეობის წარმომადგენლებს.

ამბები

**კალათბურთი**

## კიდს პლეი ოფამდე დაასვენებენ

„დალას მავერიქსის" გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** რეგულარული ჩემპიონატის ბოლომდე არ ითამაშებს და პლეი ოფისთვის შეუერთდება გუნდს. ამის შესახებ ESPN-ს კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **რიკ კარლაილმა** განუცხადა.

*„მან ამ დროის განმავლობაში კარგად უნდა დაისვენოს. გვინდა, რომ ჯეისონი პლეი ოფის მატჩებს მაქსიმალურად ენერგიულად შეხვდეს"*, - ამბობს კარლაილი.

ამ სეზონში 38 წლის კიდის საშუალო მაჩვენებლები 7.9 ქულას, 8.3 პასსა და 4.4 მოხსნას უდრის.

## მეორე უოლასიც ამთავრებს

ამერიკული პრესა ვარაუდობს, რომ „დეტროიტ პისტონზის" ვეტერანი ცენტრი **ბენ უოლასი** ამ ზაფხულს დაასრულებს კარიერას. ასეთი დასკვნის გაკეთება კალათბურთელის ბოლო კომენტარიდან შეიძლება.

*„ბოლო ორი წელია მუდმივად ამაზე ვფიქრობ. როცა სეზონი დასასრულს უახლოვდება, ვაკვირდები რა მდგომარეობაშია ჩემი სხეული. ვნახოთ, შემრჩა თუ არა ძალები კარიერის გასაგრძელებლად. თუ ვიგრძნობ, რომ შემიძლია გუნდისთვის დახმარების გაწევა, თამაშს აუცილებლად გავაგრძელებ"*, - განუცხადა უოლასმა The Detroit News-ს.

თუმცა ბენის წლევანდელი მოკრძალებული სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი მომავალი კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

## მინესოტა ვალებშია

მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებდა „მინესოტა ტიმბერვულვზი" - წერს Star Tribune. კლუბი სავარაუდოდ 20-მილიონიანი გარღვევით დაასრულებს მიმდინარე სეზონს. გარდა ამისა, „ვულვზს" მინესოტას ერთ-ერთ ბანკში სოლიდური ვალი დაუგროვდა, აღსანიშნავია, რომ „მინესოტას" სახელფასო ბიუჯეტი 54 მილიონ დოლარს უდრის.

**ჰოკეი**

## ტორონტო ზედიზედ მეექვსედ ჩარჩა

„ტორონტომ" გუშინ „ვაშინგტონთან" წაგების შემდეგ რეგულარული ჩემპიონატის დასრულებიდან ორი მატჩით ადრე დაკარგა პლეი ოფში მოხვედრის შანსი. ამ მომენტისთვის **რონ უილსონის** გუნდს 85 ქულა აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-10 ადგილზეა, მერვე საფეხურზე მყოფი „რეინჯერსის" მონაგარი კი 91 ქულაა. აღსანიშნავია, რომ „ტორონტო" ზედიზედ მეექვსე სეზონია ვერ მოხვდა პლეი ოფში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# ოლიმპიადას ჩოგბურთი სჭირდება


უიმბლდონს ოლიმპიადისთვის მოამზადებენ

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ფრანჩესკო რიჩი ბიტიმ** ინტერვიუ მისცა სააგენტო „როიტერს", რომელშიც 2012 წლის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირის შესახებ ილაპარაკა.

ფედერაციის შეფმა თავისი სახეობის ოლიმპიური უფლებამოსილება დაიცვა და განაცხადა, რომ ლონდონში მოპოვებული ოქროს მედალი „დიდი სლემის" ტიტულზე არანაკლებ ღირებული იქნება. მანვე დაამატა, რომ უიმბლდონის ბალახის კორტები შესაფერისი არენაა იმისთვის, რომ პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელებმა სრულად წარმოაჩინონ თავიანთი ოსტატობა.

## ოლიმპიური ტურნირის შემადგენლობაზე

2008 წელს **ენდი როდიკმა** აშშ-ის ლია პირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად ოლიმპიური თამაშები გამოტოვა, ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** კი პირველივე წრე წააგო, თუმცა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ უიმბლდონის კორტების მომხიბვლელობა ოლიმპიადაზე წამყვანი მოთამაშეების მონაწილეობის გარანტია იქნება.

*„როცა მოთამაშეებს უშუალოდ ჩოგბურთზე ველაპარაკები, მათთვის „დიდი სლემის" ტიტული ყველაზე პრესტიჟულია. თუმცა საკითხავია, კარიერის ბოლოს ყველაზე მეტად რომელი ტურნირი ამახსოვრდებათ... მაგალითად, ვიცი, რომ რაფაელ ნადალი პეკინის თამაშებზე გამარჯვებას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს უწოდებს კარიერაში. ოლიმპიადა არ არის ჩვეულებრივი საჩოგბურთო ტურნირი და ძალიან სასიამოვნოა, რომ ასეთი დონის მოთამაშეები მსგავს შეგრძნებებს განიცდიან. დარწმუნებული ვარ, არ არსებობს არც ერთი მოთამაშე, ვისაც ოლიმპიადა მნიშვნელოვან ტურნირად არ მიაჩნდია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი სახეობა ოლიმპიურ პროგრამაში მხოლოდ 1988 წლიდან არის, უკვე ბევრს მივაღწიეთ. ჩოგბურთს სჭირდება ოლიმპიადა და პირიქით - ოლიმპიადას ჩოგბურთი".*

## ოლიმპიური ტურნირის განრიგის შესახებ

ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც ერთ დროს თავად თამაშობდა საერთაშორისო დონეზე, ახლა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრია. ის გვაფრთხილებს, რომ თამაშების განრიგი რთული იქნება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მედლები უკვე სამ კატეგორიაში გათამაშდება - ერთეულებში, წყვილებსა და მიქსტში.

უიმბლდონის არენაზე მხოლოდ ცენტრალური კორტია აღჭურვილი მოძრავი სახურავით, ასე რომ, თუ განმეორდა პეკინის ისტორია და მატჩები მუდმივად გადაიდო წვიმების გამო, ორგანიზატორებს გაუჭირდებათ გრაფიკის დაცვა. რაც არ უნდა იყოს, უიმბლდონის ტურნირი ორი კვირა გრძელდება, ოლიმპიური ჩოგბურთი კი ათ დღეში (27 ივლისი-5 აგვისტო) უნდა ჩაეტიოს.

*„ოლიმპიურ პროგრამაში მიქსტის შეტანის შემდეგ განრიგი ძალიან მძიმე იქნება. პირველ დღეებში კარგი ამინდი გვჭირდება იმისთვის, რათა პირველ წრეში ერთეულებში დამარცხებულმა ჩოგბურთელებმა მშვიდად შეძლონ წყვილებსა და მიქსტში გადასვლა.*

*თამაშები უფრო ადრე დაიწყება, ვიდრე უიმბლდონზე, მაგრამ ძალიან ადრეც ვერ შევძლებთ სტარტს, რადგან დილით ბალახი ნამიანია. მეორე პრობლემა ისაა, რომ ოლიმპიურ ტურნირზე მატჩები შეიძლება დროში გაიწელოს, რადგან ნაადრევ ეტაპზე არავინ მოისურვებს გავარდნას. ეს წყვილებსაც ეხება, სადაც ოლიმპიური მედლებისთვის მიდის ბრძოლა".*

## დევისის თასზე

ოლიმპიური თემის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულ გუნდურ ტურნირზე საუბრისას რიჩი ბიტიმ აღნიშნა, რომ მომავალი სეზონიდან დევისის თასის ფინალი უფრო ადრე გაიმართება.

*„ვაპირებთ დევისის თასის ფინალი წლის შემაჯამებელი „მასტერსის" დასრულებისთანავე ჩავატაროთ. ეს ლოგიკური იქნებოდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. გამორიცხული არაა, მომავალ წელს სეზონის დასკვნითი ტურნირი ლონდონში ორშაბათს დასრულდეს და ამან შეიძლება პრობლემები გამოიწვიოს. ამიტომაც სწორი გადაწყვეტილებაა მოსაძებნი".*

# ვენუსს ბრიუსელში ვნახავთ

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ვენუს უილიამსმა** კორტზე დაბრუნების სავარაუდო თარიღი დაასახელა. ვენუსს ავსტრალიის ღიას შემდეგ არ უთამაშია ოფიციალური მატჩი - იქ მან მუცლის კუნთის დაზიანება მიიღო და დღემდე მკურნალობს. ამ პაუზის გამო უფროსი უილიამსი WTA-ის რეიტინგში მე-15 ადგილამდე დაქვეითდა.

ვენუსის ვარაუდით, მან 14-21 მაისს ბელგიაში ბრიუსელის ტურნირზე უნდა ითამაშოს. უფრო ადრე ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა დაადასტურეს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ, ვერა ზვონარევამ**, როლან გაროსის ჩემპიონმა **ფრანჩესკა სკიავონემ, იანინა ვიკმაიერმა** და **ელენა იანკოვიჩმა**.

სხვათა შორის, ვენუს უილიამსი 16-17 აპრილს გერმანიაში ფედერაციის თასის მატჩზე დასწრებას აპირებს. ის აშშ-ის ნაკრებთან ერთად გაემგზავრება ევროპაში და ტრიბუნიდან გაამხნევებს თავის თანაგუნდელებს. შეგახსენებთ, ამერიკას გერმანიის წინაამდეგ უწევს პლეი ოფის მატჩის ჩატარება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ვენუს უილიამსი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ტამპა ბეი 4:2**

1:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 0:1 მელოუნი-13 (ლუნდინი-11), 1:1 ვანეკი-29 (პომინვილი-28, ტიმ კონოლი-27), 2:1 ვანეკი-30 (პომინვილი-29, ტიმ კონოლი-28), 3:1 ტიმ კონოლი-13 (მონტადორი-19, სტეფორდი-21), 3:2 ლეკავალიე-22 (სენტ ლუისი-65, პურსელი-32), 4:2 ვანეკი-31.

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 4:2**

1:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 ჯ. სტაალი-11 (ნილი-23, კოვალიოვი-17), 1:1 შტეკელი-6 (პელეი-6, პალმიერი-8), 2:1 დუპუი-15 (ტელბოტი-12, ზ. მიხალეკი-14), 3:1 კუნიტცი-23 (ტაილერ კენედი-23, ჯ. სტაალი-19), 3:2 როლსტონი-14 (ტედენბი-14, ელიაში-40), 4:2 დუპუი-16 (ადამსი-10).

**მონრეალი-ჩიკაგო 2:1 (ო)**

0:0, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კამალერი-18 (ა.კოსტიცინი-23, მარა-5), 1:1 პ.კეინი-27 (ბროუერი-19, სიბრუკი-37), 2:1 სუბანი-14 (ა.კოსტიცინი-24, კამალერი-28).

**ოტავა-ფილადელფია 5:2**

1:1, 2:1, 2:0

**გოლები:** 0:1 მ. რიჩარდსი-22 (ტიმონენი-30, ჟირუ-50), 1:1 ფოლინო-14 (სპეცა-32, კუბა-13), 1:2 მ. რიჩარდსი-23 (ქერდიოვი-6, ტიმონენი-31), 2:2 შენონი-11 (სპეცა-33, კუბა-14), 3:2 ბატლერი-8 (სმიტი-5, სპეცა-34), 4:2 სპეცა-20 (შენონი-15, ბატლერი-9), 5:2 მ.მიხალეკი-18 (ვინჩესტერი-9, ჰეილი-4).

**ტორონტო-ვაშინგტონი 2:3 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კულემინი-30 (მაკარტური-41, გუნარსონი-16), 1:1 ოვეჩკინი-31 (ლეიჩი-30, შტურმი-11), 2:1 ლუპული-14 (კესელი-32, შენი-17), 2:2 ერსკინი-4 (ჰენდრიქსი-16, ბრედლი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ნუბლი (ვაშინგტონი).

**დალასი-კოლამბუსი 3:0**

1:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ოტი-12 (ბ. რიჩარდსი-46, გოლიგოსკი-31), 2:0 ლ. ერიქსონი-25, 3:0 მოროუ-30.

**ედმონტონი-ვანკუვერი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 რ. ჯონსი-18 (ებერლე-24, პეტრი-3), 2:0 პააიარვი-14 (უმარკი-20, პეტრი-4).

**ნეშვილი-ატლანტა 6:3**

3:0, 1:0, 2:3

**გოლები:** 1:0 ჰალიშჩუკი-3 (ტუტუ-9, სმიტსონი-7), 2:0 ტუტუ-7 (ერატი-33, ბლუმი-5), 3:0 ს.კოსტიცინი-21 (ჰორნკვისტი-24, ფრენსონი-20), 4:0 ტუტუ-8 (ჰალიშჩუკი-8), 5:0 ს.კოსტიცინი-22 (ფრენსონი-21, ჰორნკვისტი-25), 5:1 ველერი-17 (ლედი-29), 6:1 ფიშერი-19 (ს.კოსტიცინი-27, ჰორნკვისტი-26), 6:2 ველერი-18 (ჰეინსი-15, სტეპლტონი-2), 6:3 ანტროპოვი-16 (ე. კეინი-24, ბურმისტროვი-14).

**სტ. ლუისი-კოლორადო 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბეკსი-30 (შატენკირკი-33, ენდი მაკდონალდი-28), 1:1 პორტერი-14 (ოლვერი-7, დუშენი-36), 2:1 შატენკირკი-9 (კოლაიაკოვო-20, ენდი მაკდონალდი-29), 3:1 ენდი მაკდონალდი-20 (ნიკიტინი-8).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ბრაუნშვაიგი-ვერდერი A | 1:2 |
| ჰაიდენჰაიმი-ჰანზა | 1:1 |
| ოფენბახი-უნტერჰახინგი | 1:0 |
| ზანდჰაუზენი-ალენი | 5:0 |
| დინამო-ერფურტი | 1:3 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰანოვერი A-ბრაუნშვაიგი A | 0:0 |
| კილი A-ვოლფსბურგი A | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ფრანქფურტი A-ვეენი A | 0:0 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| სერკლი-ვესტერლო | 3:3 (0:0) |
| სტანდარდი-გენტი | 4:2 (0:1) |
| **შოტლანდია** | |
| სელტიკი-ჰიბერნიანი | 3:1 |
| მოზერველი-დანდი იუნ | 2:1 |
| სტ. მირენი-აბერდინი | 3:2 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰობრო-სკივე | 5:4 |
| აკადემისკი-კიოლდინგი | 2:3 |
| როსკილდე-ჰიორინგი | 2:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 3:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩი** | |
| არისი-ომონია | 1:3 (0:3) |
| **რუსეთის თასი** | |
| ალანია-სატურნი | 3:0 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ლეჩია-ლეგია | 0:1 |
| **ხორვატიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| დინამო-სლავენი | 4:1 |
| **სერბეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ვოივოდინა-სენოინო | 1:0 (2:1) |
| ცრ. ზვეზდა-პარტიზანი | 1:0 (0:2) |
| **სლოვენია** | |
| პუბლიკუმი-კოპერი | 0:3 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-ტარგუ | 0:0 |
| ტიმიშოარა-ასტრა | 2:2 |
| ოცელული-ვასლუი | 0:0 |
| დინამო-ბრაშოვი | 2:1 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| ლოკომოტივი (პ)-პირინი | 1:2 |
| ლიტექსი-ლევსკი | 1:1 პენ. 4:2 |
| **ბელარუსი** | |
| ბელშინა-დინამო (ბრ) | 1:1 |
| ბატე-ნაფტანი | 1:0 |
| ვიტებსკი-ტორპედო | 1:1 |
| გომელი-დნეპრი | 2:1 |
| ნემანი-შახტიორი | 0:1 |
| მინსკი-დინამო (მნ) | 0:0 |
| [illegible] | |
| ცსკა-ნისტრუ | 3:2 |
| აკადემია-კოსტულენი | 1:0 |
| ისკრა-დაჩა | 0:1 |
| ზიმბრუ-გაგაუზია | 3:1 |
| მილსამი-სფინტული | 4:0 |
| ოლიმპია-შერიფი | 1:0 |
| ტირასპოლი-დინამო | 7:0 |
| **ბოსნია** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| შ. ბრიეგი-ჟელეზნიჩარი | 1:1 (0:0) |
| ოლიმპიკი-ცელიკი | 1:1 (0:1) |
| **ბალტიის ლიგა** | |
| იურმალა-მეტალურგსი | 1:1 |
| ფლორა-ვენტსპილსი | 0:1 |
| **კოლუმბია** | |
| ატ. ნასიონალი-ინდეპენდიენტე | 1:0 |
| ლა ეკვიდადი-კუკუტა | 1:1 |
| ამერიკა-ატ. უილა | 2:1 |
| დეპ. პერეირა-ჩიკო | 0:1 |
| რეალ კარტახენა-იტაგუი | 2:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ესტეგალი-ფახთაქორი | 4:2 |
| ალ რაიიანი-ზოგ აჰანი | 1:3 |
| ალ შაბაბი-ემირეიტსი | 4:1 |
| ნაგოია-სეული | 1:1 |
| ჰანგჯოუ-ალ აინი | 0:0 |
| სიდნეი-წანგაი | 1:1 |
| სუვონი-კაშიმა | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-აეკ | 111:70 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-იუვასკიულა | 2:0 |
| **გერმანია** | |
| კრეფელდი- ვოლფსბურგი | 3:4 (ო) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| გოლუბევი-**რიბა** | 6:0, 1:6, 5:7 |
| შარდი-**ანხუდარი** | 6:7, 1:6 |
| ბალდატისი-**კუზნეცოვი** | 4:6, 6:4, 4:6 |
| **ჰანესკუ**-ბერერი | 6:4, 7:6 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| დიმიტროვი-**გაბაშვილი** | 6:7, 3:6 |
| **კარლოვიჩი**-კუნიცინი | 6:4, 6:1 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| **პეერი**-არვიდსონი | 6:1, 6:3 |
| **პეტროვა**-გალოვიტცი | 6:1, 6:1 |
| **ჰანტუხოვა**-როდინა | 6:0, 6:1 |
| **ვოზნიაცკი**-ფალკონი | 6:1, 6:1 |
| კირილენკო-**ტატიშვილი** | 7:5, 5:7, 3:6 |
| მეირი-**სტოსური** | 1:6, 2:6 |
| როდიონოვა-**ბ. ზახვალოვა** | 3:6, 6:1, 3:6 |
| **იანკოვიჩი**-პაჩეკი | 6:2, 6:3 |
| მატეკი-**ვესნინა** | 4:6, 6:7 |
| **WTA. მარბელია** | |
| **ზაკოპალოვა**-დომ. ლინო | 7:6, 1:6, 7:6 |
| ბენეშოვა-**მედინა გარიგესი** | 0:6, 2:6 |
| **აზარენკა**-პარა სანტონხა | 6:2, 6:3 |
| ბაროისი-**ერანი** | 1:6, 2:6 |
| **საფინა**-პირონკოვა | 6:3, 6:4 |
| შავაი-**კუზნეცოვა** | 7:6, 1:6, 2:6 |

TV პროგრამა

**7 აპრილი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა-ესტუდიანტესი.
**14:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-მარსელი.
**16:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-რასინგი.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი.
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:10** იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ლაციო.
**00:10** ინგლისის ჩემპიონატი. ვესტჰემი-მანჩესტერი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. გერმანია-იტალია.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მილუოკი.
**13:45** კრივი.
**16:15** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-შოტლანდია.
**17:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-პორტლენდი.
**19:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-მარდი ფიში.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რაფაელ ნადალი-როჯერ ფედერერი.
**22:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**22:45** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. V მატჩი. რეალი-ვალენსია (LIVE).
**00:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მილუოკი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. პორტუ-სპარტაკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**22:50** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. დინამო (კ)-ბრაგა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**22:50** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბენფიკა-ეინდჰოვენი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კასაბლანკა. მაროკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**22:45** ევროლიგა. 1/4 ფინალი. V მატჩი. რეალი-ვალენსია (LIVE).

**EUROSPORT**

**20:55** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ჩარლსტონი. აშშ (LIVE).
**00:45** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჩინეთი-ნორვეგია. დანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**22:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. 1/4 ფინალი. I მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხელმოცარული ლეგენდები


ივან ლენდლი

YAHOO SPORTS-ის მიმომხილველმა **ჯონ ფიგარომ** გვიამბო ჩოგბურთის დიდების დარბაზის იმ წევრების შესახებ, რომლებსაც ერთი ნაბიჯი დააკლდათ ნებისმიერი ჩოგბურთელის ოცნების ასრულებამდე. ამ ოცნებას „კარიერული დიდი სლემი" ჰქვია.

**ანდრე აგასი** პირველი ჩოგბურთელი იყო, ვინც ე. წ. „ღია ერაში" ოთხივე დიდი ტურნირი მოიგო. შემდეგ იგივეს გამეორება **როჯერ ფედერერმა** და **რაფაელ ნადალმა** შეძლეს. მსოფლიო ჩოგბურთის სხვა ლეგენდებს სულ ცოტა დააკლდათ დიადთა კლუბში შესასვლელად.

**ჯონ მაკინროი** და **ბიორნ ბორგი** ვერ დაიკვეხნიან „დიდი სლემის" ყველა ტურნირზე სტაბილური შედეგებით. ბორგმა ყველაზე დიდ წარმატებას როლან გაროსსა და უიმბლდონზე მიაღწია, რამდენჯერმე ფინალში ითამაშა აშშ-ის ღია პირველობაზე, ხოლო ავსტრალიის ღიაზე მესამე წრეზე შორს არ გასულა.

მაკინროის ძირითადი მიღწევები უიმბლდონსა და ამერიკის ღია პირველობას უკავშირდება. ის ერთხელ იყო როლან გაროსის ფინალში - 1984 წელს, როცა **ივან ლენდლს** პირველი ორი სეტი მოუგო, მაგრამ მაინც დათმო გადამწყვეტი მატჩი - 6:3, 6:2, 4:6, 5:7, 5:7. ეს ითვლება ამერიკელის კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ იმედგაცრუებად.

ჩოგბურთის დიდების დარბაზის ცხრა წევრი, რომლებსაც ერთი ტიტული არ ეყოთ სასურველი „კარიერული დიდი სლემის" მოსაპოვებლად, აუცილებლად იმარჯვებდნენ მელბურნსა და ნიუ იორკში. ხოლო იმ ტურნირზე, რომელსაც ვერაფერს უხერხებდნენ, მინიმუმ მეოთხედფინალში გადიოდნენ. სამი მათგანისთვის გადაულახავი ბარიერი გახდა უიმბლდონის ტურნირი, ექვსისთვის - როლან გაროსი. ამ სტატისტიკით ირკვევა, რომ დიადი ჩემპიონებისთვის ყველაზე რთული სწორედ პარიზულ გრუნტის დაპყრობა იყო. აი, როგორ გამოიყურება იმ ჩოგბურთელების სრული სია, რომლებსაც კარიერის განმავლობაში „დიდი სლემის" შესასრულებლად ერთი ტიტული დააკლდათ.

### ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია)

ულვაშა ავსტრალიელი ერთ-ერთი უდიადესი ჩოგბურთელი იყო. **ჯონმა** პირველმა გამოიყენა ფორჰენდიდან დარტყმა, რომელსაც დღეს აქტიურად მიმართავს რაფაელ ნადალი. ნიუკომბმა ვერ შეძლო კარიერული „დიდი სლემის" მოპოვება როლან გაროსზე წარუმატებლობების გამო. აქ მას საუკეთესო შედეგი 1969 წელს ჰქონდა - მეოთხედფინალში ითამაშა.

### გილერმო ვილასი (არგენტინა)

**ვილასს** კარიერაში ერთი უცნაურობა შეემთხვა. ერთ დროს ავსტრალიის ღია პირველობა ბალახის კორტებზე თამაშდებოდა. არგენტინელი იქ სამჯერ გავიდა ფინალში და ორჯერ მთავარი პრიზი მოიპოვა. მაგრამ უიმბლდონზე ანალოგიური საფარის კორტებზე სამხრეთამერიკელს არ უმართლებდა - აქ მისი საუკეთესო მიღწევა 1975 და 1976 წლებში მეოთხედფინალში გასვლა იყო.

### არტურ ეში (აშშ)

ამერიკელის სათამაშო სტილი ნაკლებად ერგებოდა როლან გაროსის ნელ კორტებს, მაგრამ **ეშმა** მაინც მოახერხა იქ ორჯერ ნახევარფინალში გასვლა და ორივეჯერ სულ ცოტა დააკლდა საფრანგეთის ღია პირველობის მოსაგებად და „კარიერული შლემის" შესასრულებლად.

### მატს ვილანდერი (შვედეთი)

სამი მატჩის მოგება დააკლდა შვედს 1988 წელს უიმბლდონის მოსაგებად. ამ შემთხვევაში არამარტო „კარიერულ შლემს", არამედ იშვიათ შედეგს მიაღწევდა - ერთი წლის განმავლობაში ოთხ მთავარ ტურნირს მოიგებდა (**ვილანდერმა** 1988 წელს მოიგო ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობები). ვილანდერი სულ სამჯერ გავიდა უიმბლდონის მეოთხედფინალში, მაგრამ უფრო შორს ვერ გააღწია.

### პიტ სამპრასი (აშშ)

**პიტ სამპრასს** როლან გაროსზე წარმატების ერთი შანსიც არ ჰქონდა - ძირითადად, სუსტი ბექჰენდის გამო. ის ფაქტი, რომ მან პარიზში სამჯერ წააგო მეოთხედფინალში და ერთხელ - ნახევარფინალში, იმაზე მიუთითებს, რომ პიტის სტრატეგია („რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს საკუთარი მოწოდება და შეძლებისდაგვარად მოიგოს ბრეიკი") გრუნტზე ნაკლებად ეფექტური იყო. ისე საინტერესოა, რა უფრო შთამბეჭდავი შედეგია - სამპრასის 14 ტიტული (როლან გაროსის გამოკლებით) თუ ანდრე აგასის კარიერული შლემი?

### სტეფან ედბერგი (შვედეთი)

ის შესანიშნავად იყენებდა თავის სტილს (მოწოდება და ბადესთან გასვლა) 1989 წლის როლან გაროსის ფინალამდე, სანამ ამერიკელ **მაიკლ ჩანგს** არ შეხვდა, იქ კი ხუთსეტიანი ფინალი წააგო - 1:6, 6:3, 6:4, 4:6, 2:6. ჩანგმა სწორედ აქ მოიგო თავის კარიერაში „დიდი სლემის" ერთადერთი ტიტული - გზად მან ივან ლენდლი ჩამოიცილა და **ედბერგს** „კარიერული შლემის" შესრულების საშუალება მოუსპო. კიდევ სამჯერ სკანდინავიელი საფრანგეთის ღია პირველობაზე მეოთხედფინალში გავიდა.

### ბორის ბეკერი (გერმანია)

ლეგენდარულ გერმანელს არ უმართლებდა და არ გამოსდიოდა თამაში გრუნტზე. ბევრს ახსოვს მონტე კარლოს მასტერსის ფინალი ავსტრიელი **ტომას მუსტერის** წინააღმდეგ, რომელშიც **ბეკერს** მატჩბოლი ჰქონდა, თანაც თავის მოწოდებაზე. მან პირველ ცდაზე ვერ ჩააწოდა, მეორეზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. ერთი საათის შემდეგ კი ბადესთან გავიდა და ბედნიერ მუსტერს გამარჯვება მიულოცა. ბორისი სამჯერ გავიდა როლან გაროსის ნახევარფინალში, მაგრამ „კარიერული შლემი" ვერც მან შეასრულა.

### ჯიმი კონორსი (აშშ)

მართალია, **როჯერ ფედერერს** „დიდი სლემის" ორჯერ მეტი ტიტული აქვს მოგებული, ვიდრე **ჯიმი კონორსს**, მაგრამ ამერიკელს ისეთი რეკორდები აქვს დამყარებული, რომელსაც შვეიცარიელი ვერასოდეს შეწვდება. როლან გაროსზე ოთხი მეოთხედფინალი და ამდენივე ნახევარფინალი კონორსს მეორე ადგილზე აყენებს იმ ჩოგბურთელებს შორის, რომლებმაც კარიერაში ვერ მოიგეს ოთხი მთავარი ტურნირი.

### ივან ლენდლი (აშშ)

„კარიერული შლემის" მაძიებელ ლეგენდებს შორის ლენდლი ყველაზე უიღბლო ჩოგბურთელია. მან სამჯერ მოიგო როლან გაროსი, მაგრამ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს - ვერ დაიპყრო უიმბლდონი. არავის შეუცვლია თავისი თამაშის სტილი ისე, როგორც ეს ყოფილმა ჩეხოსლოვაკიელმა გააკეთა იმისთვის, რომ უიმბოლდონის ბალახზე წარმატებისთვის მიეღწია. პარიზულ გრუნტზე ის „ჩაწოდებისა და ბადესთან გასვლის" სტილს ამუშავებდა და ამ ტაქტიკით იქ სამჯერ მოიგო მთავარი პრიზი (1984, 1986, 1987). ლონდონში ყველაზე ახლოს წარმატებასთან ავსტრალიელ **პატ კეშთან** ფინალში იყო. იმჟამინდელი სპორტული ფორმით ლენდლი ამ ჩოგბურთელს ათიდან ცხრა შემთხვევაში დაამარცხებდა, მაგრამ 1981 წელს ივანმა სამ სეტში წააგო - 6:7, 2:6, 5:7.

## ამბები

### ვერდასკო დაჩაგრეს

უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს ბარსელონაში ATP-ის ტურნირის ორგანიზატორებმა. მათ ე. წ. „უაილდ-ქარდი" არ გამოუყვეს მოქმედ ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოს**. ტურნირის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ სპორტსმენს საკმარისი დრო ჰქონდა მონაწილეობაზე განაცხადის შესატანად.

ასე რომ, ბარსელონას ნაცვლად მსოფლიოს მერვე ნომერი პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში გაემგზავრება სათამაშოდ.

*„რატომ არ ვითამაშებ ბარსელონაში? ამის შესახებ ორგანიზატორებს ჰკითხეთ - ტურნირის შემადგენლობას ისინი ადგენენ. წელს იქ ნადალი ითამაშებს და არსებობს ერთი ადამიანი - არ მინდა მისი გვარის დასახელება - რომელიც არ არის დაინტერესებული ჩემი იქ ჩასვლით. არ მიყვარს ის ადგილები, სადაც ჩემი ნახვა არ სურთ. მთავარია, რომ ეშტორილში მელოდებიან"*, - განაცხადა ვერდასკომ.

### ფრანგები ბარტოლის გარეშე

ფედერაციის თასის კიდევ ერთმა ნახევარფინალისტმა გამოაცხადა შემადგენლობა. 16-17 აპრილს ესპანეთის ქალაქ ლერიდაში ადგილობრივი ნაკრები საფრანგეთს უმასპინძლებს. ფრანგების კაპიტანმა **ნიკოლა ესკუდემ** ამ მატჩისთვის შემდეგი ჩოგბურთელები გამოიძახა: **არავან რეზაი, ალიზ კორნე, მატილდ იუჰანსონი** და **ვირჟინ რაზანო**.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანგების რიგებში ვერ ვხედავთ გუნდის ლიდერ **მარიონ ბარტოლის**. წინასწარ იყო ცნობილი, რომ უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი ნახევარფინალში არ ითამაშებდა, რადგან საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ ვერ დააკმაყოფილა ბარტოლის მოთხოვნები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი
წარმოგიდგენთ
საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე"

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი
და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰეინეკენი
და შანსი გაემგზავრო უეფას ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ყოველ შაბათს
12 სთ-დან – 16-მდე.




FM 103.9
რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA TV-RADIO